დამოუკიდებელი და ზეპარტიული

# ასავალ დასავალი

WWW.ASAVALI.COM

2025 წლის 2 – 8 ივნისი

N23 1594

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

## რა მოხდებოდა, ვასილ მაღლაფერიძე ჟვანიას საქმეზე რომ გამოეკითხათ?





ზურაბ ჟვანიას სიკვდილის საქმეზე ვასილ მაღლაფერიძის გამოკითხვა პარლამენტის საგამოძიებო კომისიისათვის საინტერესო უნდა იყოს! 12

10

### ვასილ მაღლაფერიძე: მიშამ იცოდა? რასაკვირველია, იცოდა!



სასაცილოა, რომ გელა გელაძის ნაცების-დროინდელ კარიერაზე თავად ნაცები აპელირებენ! 2

სად მუშაობდა გელა გელაძე ზურაბ ჟვანიას დაღუპვისას!













„ყველა ისე უნდა გაილახოს, რომ ლიდხანს ვერ იდგეს ფეხზე...“

## სამშობლოს ღალატისათვის სააკაშვილის ე.წ. გენერლებმა პასუხი უნდა აგონ! 8-9







4

## მეშოკით ჩამოტანილი



მნიშვნელობა არა აქვს, ვის დაუძახებენ **„ივანიშვილის კადრებს“** და ვის დაარქმევენ **„კობახიძის კადრებს“**, მთავარია, საქართველო **სამშობლოს კადრებმა** მართონ და არა — უსამშობლო **ყველაფრის მკადრებლებმა!** 2

## თავად კობახიძე ვისი კადრია, თუ არა ივანიშვილის?!



*გომელაურის გადადგომით დასრულდა ერთგვარი პოლიტიკური ციკლი...* 3

### ვალერი ქორიაშვილი: გერმანიის ელჩის შეგინების გამო 14



500-ლარიანი ჯარიმის გადახდას არ ვაპირებ!

## გუგაზ მეგრელიძე: ფრთხილად, საშიში ტენდენციაა!




ირაკლი კობახიძის „ქართულ ოცნებაში“ გამოჩენა და პარტიის აღმასრულებელი მდივნობიდან ჯერ — პარლამენტის თავმჯდომარეობამდე, შემდეგ კი პრემიერ-მინისტრობამდე აღზევება ვისი პოლიტიკური ნება-სურვილით მოხდა, თუ არა ბიძინა ივანიშვილის?

მარეობიდან გადადგა, არამედ, საერთოდ, პოლიტიკიდან წავიდა.

რას შეიძლება, უკავშირდებოდეს **ივანიშვილის კადრებად** მიჩნეული პერსონების საკვანძო თანამდებობებიდან გადადგომა და პოლიტიკიდან წასვლა?

ამასთან დაკავშირებით საზოგადოებაში, მედიასა და პოლიტიკურ წრეებში ნაირგვარი ვერსია მუსირებს, რომელთაგან ზოგს შეთქმულების თეორიის ელფერიც კი დაჰკრავს. მაგალითად, ერთნი ფიქრობენ და ამბობენ, რომ **ღარიბაშვილის, გომელაურისა და ლილუაშვილის** პოლიტიკური ველიდან გაყვანა **ბიძინა ივანიშვილის** შორსგამიზნული სვლაა, რომელიც 2028 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის ახალი ოპოზიციური ძალის ფორმირებას უკავშირდება.

მეორენი თვლიან, რომ **ბიძინა ივანიშვილს** საქართველოს მთავრობაში თავისი პირადი კადრების ყოლა აღარ სჭირდება და ძალაუფლების ბერკეტებს მთლიანად აბარებს **პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძეს,** რომელსაც სრულად ენდობა.

მესამენი, რომლებიც ე.წ. ოპოზიციას, ანუ ნაცლიბერალურ ბანაკს წარმოადგენენ, აცხადებენ, რომ **დასავლეთის მიერ შერისხულმა და სანქცირებულმა ივანიშვილმა გადაწყვიტა, ხელები კობახიძეს შეაწმინდოს, პასუხისმგებლობის მთელი სიმძიმე მას აჰკიდოს და თვითონ, თავის ფავორიტ კადრებთან ერთად, თამაშიდან გავიდეს.**

ამ ვერსიებიდან თუ თეორიებიდან რომელია რეალობასთან ახლოს და რომელი განეკუთვნება ფანტასტიკის სფეროს, ამის განსჯა მკითხველისათვის მიგვინდვია, თუმცა, როცა **ივანიშვილის კადრების კობახიძის კადრებით** ჩანაცვლებაზეა საუბარი, გვინდა, ერთი კითხვა დავსვათ — **კი მაგრამ, თავად ირაკლი კობახიძე ვისი კადრია, თუ არა ბიძინა ივანიშვილის?!**

ჯერ კიდევ 10 წლის წინათ, 2015 წლის დასაწყისში, ფართო საზოგადოებისათვის იმხანად სრულიად უცნობი სამართლის დოქტორის — **ირაკლი კობახიძის „ქართულ ოცნებაში“ გამოჩენა და პარტიის აღმასრულებელი მდივნობიდან პარლამენტის თავმჯდომარეობამდე და პრემიერ-მინისტრობამდე აღზევება ვისი პოლიტიკური ნება-სურვილით მოხდა, თუ არა ბიძინა ივანიშვილის?**

სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლების **„ივანიშვილის კადრებად“** და **„კობახიძის კადრებად“** დაყოფა პირობითია, თუმცა, ისიც ფაქტია, რომ 2013 წლის ნოემბრის შემდეგ, რაც **ბიძინა ივანიშვილმა** საქართველოს პრემიერ-მინისტრის პოსტი დატოვა, **ირაკლი კობახიძე** გახლავთ მთავრობის პირველი და ერთადერთი მეთაური, რომლის დროსაც მთავარი ძალოვანი უწყების — შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სათავეში პირადად **ივანიშვილთან დაკავშირებული და მის უშუალო კადრებად მიჩნეული პერსონები** აღარ არიან.

შესაბამისად,

**ივანიშვილის შემდეგ კობახიძე არის პირველი და ერთადერთი პრემიერ-მინისტრი, რომელსაც საშუალება მიეცა,**

# თავად კობახიძე ვისი კადრია,

***2025 წლის 28 მაისს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტიდან გენერალ-პოლკოვნიკ ვახტანგ გომელაურის გადადგომით დასრულდა ერთგვარი პოლიტიკური ციკლი, რომელსაც პირობითად შეიძლება, ეწოდოს ბიძინა ივანიშვილის კადრების გადინება საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლებიდან.***

ცხადია, საქართველოს მთავრობის შემადგენლობა, პრემიერ-მინისტრ **ირაკლი კობახიძის** მეთაურობით, ისედაც **ბიძინა ივანიშვილის საკადრო კონტინგენტს** წარმოადგენს, რადგან მმართველი პარტიის სულისჩამდგმელი და 2012 წლის 1 ოქტომბრის ისტორიული გამარჯვების მთავარი ავტორი სწორედ იგი გახლავთ.

მეტიც, **ბიძინა ივანიშვილი არის უპირველესი და უმთავრესი ფაქტორი, რომელმაც უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში ჩატარებულ ყველა არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვება განაპირობა.**

მოკლედ რომ მოვჭრათ, **ბიძინა ივანიშვილი,** აქტიური პოლიტიკიდან გასვლის მიუხედავად, კვლავ რჩება **ყველაზე გავლენიან და წონად პოლიტიკურ ლიდერად** არამხოლოდ „ქართულ ოცნებაში“, არამედ მთელ ქართულ პოლიტიკურ სპექტრში.

შესაბამისად, **დაყოფა, რომ მთავრობაში ვიღაცა ივანიშვილის კადრია და ვიღაცა — არა, უფრო პირობითია, ვიდრე არსებითი,** თუმცა, ისიც ლოგიკურია, რომ ადამიანებს, რომლებიც **ივანიშვილთან** ჯერ კიდევ მანამდე მუშაობდნენ, სანამ იგი პოლიტიკაში შემოვიდოდა და შემდეგ პოლიტიკურ ბრძოლაშიც მასთან ერთად ჩაებნენ, საზოგადოება **„ივანიშვილის კადრებს“** უწოდებს.

უფრო კონკრეტულად, **ივანიშვილის კადრებში** იგულისხმებიან ისინი, ვინც მისი განსაკუთრებული ნდობითა და კეთილგანწყობით სარგებლობენ და საქართველოს მთავრობაში სხვადასხვა დროს სხვადასხვა მაღალ პოლიტიკურ თანამდებობას იკავებდნენ. მაგალითად, **ირაკლი ღარიბაშვილი** ჯერ შინაგან საქმეთა მინისტრი იყო, მერე — პრემიერ-მინისტრი, მერე — თავდაცვის მინისტრი და ბოლოს — ისევ პრემიერ-მინისტრი; **ვახტანგ გომელაური** ჯერ შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა, მერე — სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსად, ბოლოს კი კვლავ შინაგან საქმეთა მინისტრი იყო; სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის თანამდებობას 2019 წლის ოქტომბრიდან 2025 წლის აპრილამდე იკავებდა **გრიგოლ ლილუაშვილი,** რომელიც 2004 წლიდან, სანამ 2016 წელს თბილისის მერის მოადგილედ დაინიშნებოდა, **ბიძინა ივანიშვილის** ბიზნესკომპანიებში სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობდა.

თუმცა, დღეისათვის აღარც **ლილუაშვილია** სუს-ის ხელმძღვანელი და აღარც **გომელაური** — შინაგან საქმეთა მინისტრი, ხოლო **ღარიბაშვილი** არამხოლოდ თავისი ბოლო თანამდებობიდან — პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდო-

**ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელებად პირადად მასთან ასოცირებული კადრები დაენიშნა.**

კერძოდ, **ანრი ოხანაშვილი,** რომელმაც **სუს**-ის უფროსის თანამდებობაზე **გრიგოლ ლილუაშვილი** შეცვალა, **ირაკლი კობახიძის** გუნდის წევრად ითვლება და ასეთივედ მოიაზრება შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე **ვახტანგ გომელაურის** მაგივრად დანიშნული **გელა გელაძეც,** რომელიც **სუს**-ში **ოხანაშვილის** მოადგილე იყო, მანამდე კი თავდაცვის მინისტრ **ირაკლი ჩიქოვანის** მოადგილედ მუშაობდა.

ზოგადად, ახალი შინაგან საქმეთა მინისტრის ბიოგრაფიას თუ გადავხედავთ, სახელმწიფო უწყებებში მუშაობის საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იგი, ძირითადად, მოადგილის ან მრჩევლის თანამდებობას იკავებდა. მაგალითად, **2005-2006 წლებში გელა გელაძე** შსს-ის კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე იყო; **2007 წელს** — იუსტიციის სამინისტროს პრობაციის დეპარტამენტის მრჩეველი; **2007-2008**

## სასაცილოა, რომ გელა გელაძის ნაცებისდროინდელ კარიერაზე თავად ნაცები აპელირებენ და ცდილობენ, შინაგან საქმეთა ახალი მინისტრი გააშაოვნ!

## კვირგვინოსნები

**ირაკლი კობახიძე**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



ვფიქრობთ, ყველანაირი საფუძველი იქნება მომზადებული, რათა **კოლექტიური ნაცმოძრაობა, მასთან დაკავშირებული პარტიები გამოცხადდეს არაკონსტიტუციურად** საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ.

საინტერესო არ არის, **ვინ მიიღებს ან არ მიიღებს მონაწილეობას** თვითმმართველობის არჩევნებში, **64-ვე მუნიციპალიტეტში მოვიგებთ როგორც მერის, ისე საკრებულოს არჩევნებს.**

„პირველი არხი“

**ვიქტორ ორბანი**
*უნგრეთის პრემიერ-მინისტრი*



**ირაკლი კობახიძე არის საქართველოს გმირი,** საერთაშორისო პატრიოტი, რომელმაც **მოიგო არჩევნები, ლიბერალური მოძრაობების წინააღმდეგ წავიდა, დაამარცხა ყველა** და უმსხვილესი ეკონომიკური ზრდის მომტანია ქვეყანაში.

„პირველი არხი“

**მიხეილ ყაველაშვილი**
*საქართველოს პრეზიდენტი*



ქართველმა ხალხმა **მთელი მსოფლიოს გასაგონად ხმა აიმაღლა** და თქვა, რომ **ტრადიციული ოჯახი და ოჯახური ღირებულებები** არის ჩვენი ეროვნული იდენტობის განუყოფელი ნაწილი.

„პირველი არხი“

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



**ნატო-ს ზოგიერთი ქვეყანა როცა იმალებოდა** შტაბებში და ავღანეთში აგზავნიდა 30-კაციან კონტინგენტს, **ჩვენი ჯარისკაცები იდგნენ წინა ხაზზე.**

„აიპრესი“

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



აშშ უნდა იყოს ჩვენი **სტრატეგიული პარტნიორი,** ჩვენი **მეგობარი** და **არა — მბრძანებელი.**

„იმედინიუსი“

**წლებში** — იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მრჩეველი; **2010-2012 წლებში** — განათლების სამინისტროს მანდატურის სამსახურის უფროსის მოადგილე; **2012-2016 წლებში** — პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე; **2023-2024 წლებში** — განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე.

კიდევ უფრო ადრე, სანამ სხვადასხვა უწყებაში ხელმძღვანელის მოადგილის თანამდებობას დაიკავებდა, **გელა გელაძე** ძალოვან სისტემაში გამომძიებლად მუშაობდა. კერძოდ, **2004 წელს** შს სამინისტროს დიდუბე-ჩუღურეთის საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელი იყო; **2004-2005 წლებში** — შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის (**სოდ**-ის) უფროსი გამომძიებელი; **2005 წელს** — შს სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს გამომძიებელი და იმავე წელს — ვაკე-საბურთალოს სამმართველოს ზედამხედველი.

როგორც ხედავთ, ახალ შინაგან საქმეთა მინისტრს სააკაშვილის რეჟიმისდროინდელ ძალოვან უწყებებში მუშაობის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს, რაც ხელისუფლების ოპონენტებს ნიშნისმოგებით საუბრის საშუალებას აძლევს — **„ქართულმა ოცნებამ“, რომელმაც თითქოს ნაცებთან კოჰაბიტაცია დაასრულა და ვითომ ნაცმოძრაობის აკრძალვასაც კი აპირებს, შინაგან საქმეთა მინისტრად ვანო მერაბიშვილისა და ერეკლე კოდუას ყოფილი ხელქვეითი დანიშნაო!**

თავის მხრივ, „ქართული ოცნების“ მომხრეები აცხადებენ — მერე რა, რომ **გელა გელაძე** ნაცების დროს ძალოვან სტრუქტურებში მუშაობდა, თითო-ოროლა წესიერი ადამიანი იქაც მოიძებნებოდა და, რაც მთავარია, მისი სახელი სააკაშვილის რეჟიმის მიერ ჩადენილ არცერთ გახმაურებულ და სისხლიან დანაშაულში არ ფიგურირებს, რამე უკანონობაში რომ ყოფილიყო გარეული, აქამდე არ დაიმალებოდაო!

ყველაზე უცნაური და სასაცილო კი ის გახლავთ, რომ **გელა გელაძის** ნაცებისდროინდელ კარიერაზე თავად ნაცები აპელირებენ და ამით ცდილობენ, ახალი შინაგან საქმეთა მინისტრი გააშავონ, აქაოდა — ეგ კაცი ჩვენთან მუშაობდა და ჩვენსავით ცუდიაო!

კერძოდ, **ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ხატია დეკანოიძე იყო პირველი, რომელმაც გელა გელაძის შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშვნისთანავე სოციალურ ქსელში დაწერა: *„ახლა გამახსენდა: ეს „ახალი“ შს მინისტრი იმ მანდატურების სამსახურის უფროსი იყო, „ქოცობა“ რომ საშინლად ერჩოდა“.***

როგორი ამბავია?

ნაცი ცდილობს, ოპონენტის დისკრედიტაციას მის ნაცობასა თუ ყოფილ ნაცობაზე ხაზგასმით მიაღწიოს!

ესე იგი, **ნაცმა ყველაზე უკეთ თავად იცის, რომ ქართველი საზოგადოების თვალში ნაცობა ბოროტებასა და უსამშობლობასთან ასოცირდება!**

სამაგიეროდ, **ქართველ საზოგადოებას არანაირი ფაქტობრივი, სამართლებრივი და პოლიტიკური საფუძველი არ გააჩნია იმისათვის, რომ ახალი შინაგან საქმეთა მინისტრი მის თვალში ბოროტებასა და უსამშობლობასთან ასოცირდებოდეს!**

იმედია, **გელა გელაძე** შინაგან საქმეთა მინისტრის პასუხისმგებლობას ისეთივე პროფესიონალიზმითა და ღირსებით ზიდავს, როგორც ეს შეძლო **ვახტანგ გომელაურმა,** რომელმაც საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების რამდენიმე მცდელობა აღკვეთა, ქვეყანა ნაცრევანშისტების ხელში ჩავარდნისაგან გადაარჩინა და თანამდებობიდან სამშობლოსა და ხალხის წინაშე ვალმოხდილი წავიდა!

სწორედ სამშობლოსა და ხალხის წინაშე ვალის პირნათლად მოხდა უნდა იყოს მთავარი მიზანი და დანიშნულება სახელმწიფო სამსახურში მყოფი ნებისმიერი ადამიანისათვის, განურჩევლად იმისა, **„ივანიშვილის კადრი“** ერქმევა თუ **„კობახიძის კადრი“**.



***2025 წლის 31 მაისს,*** *პოლიციის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, საქართველოს პრეზიდენტმა* ***მიხეილ ყაველაშვილმა*** *სამშობლოსა და ერის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის* ***ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვა*** *საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი, გენერალ-პოლკოვნიკი* ***ვახტანგ გომელაური.***

# თუ არა ივანიშვილის?!



## იმედია, გელა გელაძე შინაგან საქმეთა მინისტრის პასუხისმგებლობას ისეთივე პროფესიონალიზმითა და ღირსებით ზიდავს, როგორც ეს ვახტანგ გომელაურმა შეძლო!

მნიშვნელობა არა აქვს, ვის დაუძახებენ **„ივანიშვილის კადრებს“** და ვის დაარქმევენ **„კობახიძის კადრებს“**, მთავარია, საქართველო **სამშობლოს კადრებმა** მართონ და არა — უსამშობლო **ყველაფრის მკადრებლებმა!**

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**ვახტანგ გომელაური**
*შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი*



დღეს, როდესაც ქვეყანაში მშვიდი ვითარებაა, **თავს უფლება მივეცი და გუნდს ვთხოვე თანამდებობის დატოვება**, რაც მომცემს საშუალებას, რომ ოჯახს მეტი დრო დავუთმო. **ვრჩები ჩემი ქვეყნისა და გუნდის ერთგული.** ჩემს ქვეყანას და ხელისუფლებას **მშვიდობას, უსაფრთხოებას და ყველა დასახული მიზნის შესრულებას** ვუსურვებ.

„REZONANSIDEILI“

**თეა წულუკიანი**
*პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე*



მინდა, **ვახტანგ გომელაურს** მადლობა გადავუხადო გაწეული საქმიანობისთვის, ვთვლი, რომ **90-ანი წლებიდან დღემდე, ის იყო საუკეთესო შინაგან საქმეთა მინისტრი,** ვინც თავისი საქმით, **პროფესიონალიზმით და ღირსებით** ქმნიდა ისეთ პირობებს, რომ ქვეყანა იყო მშვიდად.

„ნიუსჰაბი“

**გელა გელაძე**
*შინაგან საქმეთა მინისტრი*



**დიდი პატივია, ვუხელმძღვანელო შსს-ს** ღირსეულ და საამაყო პოლიციელებთან, შსს-ს თანამშრომლებთან ერთად, **ვემსახურო ჩვენს ქვეყანასა და ხალხს.** „იმედინიუსი“

**თორნიკე შარაშენიძე**
*ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში*



**კობახიძის პოზიციების გამყარება ხდება.** მთლიანად მას ჩაბარდა ხელისუფლება. სწორედ ამით აიხსნება კადრების გადანაცვლება. **ყველგან მოდიან მისი კადრები.**

„ახალი თაობა“

**გია ვოლსკი**
*პარლამენტის ვიცე-სპიკერი*



სალომე ზურაბიშვილი უნიათო ადამიანია, **აზრზე არ არის, რა ხდება,** დაბნეულია, მაგრამ ფაქტია, **არ არის ქართული სულით განწყობილი** და ჰყვება იმ სტრატეგიას, რასაც **ქვეყნის ნგრევა** ჰქვია.

„აიპრესი“

***1960 წლის 11 მაისს არგენტინაში, ბუენოს-აირესში, პირდაპირ ქუჩიდან მოიტაცეს ფაშისტური „სს“-ის ობერშტურმბანფიურერი, ავადსახსენებელი მე-4 განყოფილების უფროსი, ებრაელთა მთავარი მწამებელი და, როგორც დღემდე უწოდებენ, „ჰოლოკოსტის არქიტექტორი“ ადოლფ ოტო აიხმანი, რასაც უშუალოდ ხელმძღვანელობდა ებრაული „მოსადის“ ოპერატიული განყოფილების უფროსი პიტერ მალკინი, ანუ „აგენტი სემ სოროკი“.***

გატაცებიდან მეცხრე დღეს, 1960 წლის 20 მაისს, ექიმმა-ანესთეზიოლოგმა **იონა ელიანმა აიხმანს** გაუკეთა დამაძინებელი ტრანკვილიზატორი, რის შემდეგაც იგი ისრაელის ავიაკომპანიის კუთვნილი თვითმფრინავის ეკიპაჟის წევრად გაასაღეს და ხალიჩაში შეხვეული თუ მეშოკში ჩადებული ისრაელში ჩამოათრიეს. ხანგრძლივი და მომქანცველი სასამართლო პროცესების შემდეგ, 1962 წლის 1 ივნისს, თელ-ავივიდან 24 კილომეტრის მოშორებით მდებარე ქალაქ რამლას ციხეში აიხმანი ჩამოხრჩობილ იქნა.

ამ ამბიდან ზუსტად 65 წლის შემდეგ, 2025 წლის 26 მაისს, გერმანელი გენერლის **ფონ ლოსოვის** მიერ 1918 წელს გამოცხადებული საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, **ადოლფ აიხმანის მსგავსად, აბუ-დაბიდან საქართველოში მეშოკით ჩამოათრიეს თანაინვესტირების ფონდის ყოფილი ხელმძღვანელი, ერთ დროს ბიძინა ივანიშვილის პირად ფინანსისტად ხმობილი გიორგი ბაჩიაშვილი, რომელმაც 39 მილიონ 215 ათას 820 დოლარის ღირებულების ბიტკოინები მიითვისა.**

როგორც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში განაცხადეს, **ბაჩიაშვილი** სადახლოს სასაზღვრო-გამშვები პუნქტის ე.წ. მწვანე ზონაში დააპატიმრეს. თუმცა, მისი როგორც ქართველი, ისე უცხოელი ადვოკატები ხმის ჩახლეჩამდე გაჰკივიან, რომ არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა გიორგი ბაჩიაშვილი საქართველოს ხელისუფლებას აჩუქეს!

სხვები სულ სხვა სიმღერას მღერიან... აი, მაგალითად, ქართველი პოლიტიკური მეძავების განცხადებით, რომელთათვისაც სამყაროს ცენტრი ბრიუსელიდან იწყება, შემდეგ **რასა იუკნევიჩიენეს თუ ძუკნავიჩიენეს** კუდუსუნის ძვალზე გადის და კლიმაქსიანი **ჯო უილსონის** საოხრესთან მთავრდება, **გიორგი ბაჩიაშვილი** აბუდაბიმ საქართველოს გარიგების სანაცვლოდ გადმოსცა.

თავად **ბაჩიაშვილი** აბუ-დაბიდან გამოტაცების ფაქტს ასე იხსენებს — **„გამიტაცეს საზღვარგარეთიდან, თვალები ამიხვიეს და ორი დღე თვალახვეული მატარეს!“**

მიგვაჩნია, რომ მეგობრის მოღალატეს და თაღლითს, რომელიც გამოცხადებულ ნდობას არად ჩააგდებს და მოყვასს გაძარცვავს, არათუ თვალები უნდა აუკრა და მეშოკით ჩამოათრიო, არამედ ისე უნდა გაუხადო საქმე, რომ მთელი ცხოვრება ხელების ცეცებით იაროს! გაგახსენებთ, როგორი მკაცრი და შეუბრალებელი იყო ქართველი კაცი მეგობრის, ამხანაგისა და, საერთოდ, მოყვასის მოღალატის მიმართ... „ამხანაგის მოღალატეს დამმარხველი არა ჰყავდეს!“ — მღეროდნენ დარდიმანდი მოქეიფენი ძველი თბილისის ქუჩაბანდებში ბედდამწვარი **იეთიმ გურჯის** ლექსს...

ახლა კი იმის შესახებ, თუ რას ედავება გამოძიება **„ამხანაგის მოღალატე“** და თაღლით **გიორგი ბაჩიაშვილს.** საქვეყნოდ ცნობილია, რომ ბიტკოინების ქურდობის გამო, თბილისის საქალაქო სასამართლომ მას 2023 წლის 6 ივლისს აღკვეთის ღონისძიებად 2,5 მილიონი ლარის გადახდა შეუფარდა, ხოლო 2025 წლის 10 მარტს იმავე სასამართლომ „კრიპტოვალუტის საქმეზე“ დაუსწრებლად მიუსაჯა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გიორგი ბაჩიაშვილს 11-წლიანი ციხე დაუსწრებლად იმიტომ მიესაჯა, რომ 2025 წლის 2 მარტს მანქანაში მოწყობილი სამალავით საქართველოდან უკანონოდ გაიძუძგა და სომხეთის გზით საქართველო დატოვა. ბიტკოინების მოპარვის გარდა, **ბაჩიაშვილს** გამოძიება საზღვრის უკანონოდ გადაკვეთასა და „მტკვარი ჰესის“ საქმეზეც ედავება, სადაც მას, დიდი ალბათობით, ისევ და ისევ, დიდძალი ფულები აქვს შეჭმული! **საქმე ის გახლავთ, რომ „მტკვარი-ჰესი“, რომლის მშენებლობის მენეჯერიც სწორედ ბაჩიაშვილი იყო და 140 მილიონი დოლარის ბიუჯეტს განკარგავდა, დღემდე არ არის დასრულებული, ხოლო ხარჯებმა უკვე 240 მილიონ დოლარს გადააჭარბა.** არადა, როგორც გამოძიება გვარწმუნებს, „მტკვარი-ჰესის“ მშენებლობა ჯერ კიდევ წლების წინათ უნდა დასრულებულიყო.

იმისათვის, რათა **ბიძინა ივანიშვილისთვის** მოპარული 40 მილიონი დოლარის ღირებულების ბიტკოინები აეწაპნა, **ბაჩიაშვილი** ხან **მამუკა ხაზარაძის** ლექსმწერთა უბორნიის ფეკალიებში გორავდა, ხანაც **თინა ბოკუჩავასა და ნიკუცუ გვარამიას** მაქმანებიან ნიფხავს იხურავდა თავზე, რათა ობოზიციონერ პოლიტმეძავთა და ლგბტ პარტიების გული მოეგო და თავი პოლიტიკურ დევნილად გაესაღებინა. არადა, სინამდვილეში **გიორგი ბაჩიაშვილის** სახით საქმე გვაქვს ჩვეულებრივ თაღლითთან, რომელმაც მოყვასს უღალატა!

ბარაქალა ქართულ სპეცსამსახურებს, ეს ნაგავი და „ამხანაგის მოღალატე“ ბაჩიაშვილი საქართველოში აიხმანივით მეშოკით რომ ჩამოათრიეს და სამართალში მისცეს!




# მეშოკით ჩამოტანილი



**მოღალატესა და თაღლითს, რომელიც გამოცხადებულ ნდობას არად ჩააგდებს და მოყვასს გაძარცვავს, არათუ თვალები უნდა აუკრა და მეშოკით ჩამოათრიო, არამედ ისე უნდა გაუხადო საქმე, რომ მთელი ცხოვრება ხელების ცეცებით იაროს!**

**იმედია, საქართველოში საკმარისი მეშოკები მოიძებნება, რათა დათა ახალაია, სოსო თოფურიძე, ალექსანდრე მუხაძე, ზურაბ ადეიშვილი, დავით საყვარელიძე და სააკაშვილის რეჟიმის სხვა მწვალებლები და მწამებლებიც ჩამოათრიონ!**

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**ილია მეორე**
*სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი*



**დამოუკიდებლობა უდიდესი და უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია** ჩვენი ერისა და მას **დაცვა და გაფრთხილება სჭირდება.**

„რეზონანსი“

**მეუფე შიო**
*საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე*



ვიდგეთ მტკიცედ, **არაფრის გვეშინოდეს,** რადგან უფალი იყო, არის და იქნება ჩვენთან!

„რეზონანსი“

**მეუფე იაკობი**
*ბოდბელი ეპისკოპოსი*



**დამოუკიდებლობა** ვინმეს უნდა ვანაცვლოთ? **ან რუსეთს, ან ევროპას, ან ნებისმიერს უნდა ვანაცვლოთ?** ჩვენ ხომ თავისუფალი ადამიანები ვართ.

„რეზონანსი“

**პაატა სალია**
*იუსტიციის მინისტრი*



**რთულია** თავისუფლების მოპოვება, **მაგრამ უფრო რთულია** მისი შენარჩუნება. დღეს საქართველო ბევრი გამოწვევის წინაშე დგას.

„იმედინიუსი“

**ლევან დავითაშვილი**
*ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი*



დამოუკიდებლობის მოპოვება, რა თქმა უნდა, **რთული იყო,** მაგრამ შენარჩუნება **არანაკლებ რთული აღმოჩნდა.**

„იმედინიუსი“



ერთხელ — **საქართველო,** მაგრამ არცერთხელ — **საქართველოს ხელისუფლება.**

ცხადია, **აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ეს ჟესტი — საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებულ წერილში საქართველოს ხელისუფლების არხსენება — პირდაპირი პოლიტიკური გზავნილია, რომ იგი საქართველოს 1 200 000-ზე მეტი მოქალაქის მიერ არჩეულ ხელისუფლებას ლეგიტიმურად არ მიიჩნევს და მილოცვის ღირსადაც არ თვლის.**

რასაკვირველია, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ეს გზავნილი დიდი აღტყინებით აიტაცა კოლექტიურმა ნაცმოძრაობამ, რომლის პოლიტიკურ არსებობასაც მხოლოდ და მხოლოდ კი მაგრამ, რა ხდება?

რა მოქმედებაა?

რა ვითარებაა?

რას უნდა მივაწეროთ ის ფაქტი, რომ **ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი** საქართველოს ხელისუფლებას არ იმჩნევს და არ აღიარებს, მაგრამ იმავე **ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი** საქართველოს ხელისუფლებას ურთიერთკავშირების გაღრმავებასა და განმტკიცებას სთავაზობს?

ვფიქრობთ, პასუხი ძალიან მარტივია — ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ გვერდზე სახელმწიფო მდივან **მარკო რუბიოს** სახელით გამოქვეყნებული წერილის რეალური ავტორი **ე.წ. დიფ სთეითი, ანუ ფარული დასი**

**დიფ სთეითი,** ანუ **ფარული დასი?** იხილეთ **სახელმწიფო მდივან რუბიოს წერილი ქართველი ხალხისადმი!**

მართლა გაინტერესებთ, რით განსხვავდება **დიფ სთეითის,** ანუ **ფარული დასის** პოლიტიკისაგან ოფიციალური ვაშინგტონის პოლიტიკა? იხილეთ **პრეზიდენტ ტრამპის წერილი პრეზიდენტ ყაველაშვილისადმი!**

**რაც შეეხება საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს, ეს ორგანიზაცია, დაჯგუფება თუ დასტურდება, თუ როგორ მიჩქმალა მან პრეზიდენტ ტრამპის მიერ პრეზიდენტ ყაველაშვილისათვის გამოგზავნილი წერილი, რომელშიც საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობის განმტკიცების სურვილია გამოთქმული.**

# ვაშინგტონიდან გამოგზავნილი ორი ურთიერთ-გამომრიცხავი წერილი, რომელმაც





## ამერიკელ და ქართველ დიფსთეითელებს ნიღბის უკანასკნელი ნაფლეთიც ჩამოჰგლიჯა!

*2025 წლის 27 მაისს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დონალდ ტრამპის მიერ საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ ყაველაშვილისათვის გამოგზავნილი წერილი ლაკმუსის ქაღალდი აღმოჩნდა, რომელმაც ამერიკულ პოლიტიკაში არსებული აბსურდული ვითარება და ქართულ პოლიტიკაში გამეფებული სიშლეგე ერთდროულად გამოააშკარავა.*

კერძოდ, **პრეზიდენტ ტრამპის** მიერ **პრეზიდენტ ყაველაშვილისათვის** მოწერილი წერილის კვალდაკვალ, კიდევ ერთხელ და საბოლოოდ დამტკიცდა შემდეგი გარემოებანი:

**1. ე.წ. დიფ სთეითი, ანუ ფარული დასი** ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯერ კიდევ მძლავრობს და თვით ტრამპის ადმინისტრაციის შიგნითაც კი საცეცები აქვს გაშლილი!

**2. საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო** არ არსებობს, ხოლო დიღომში მდგარი უზარმაზარი შენობა, სადაც ელჩად წოდებული რობინ დანიგანი 300-ზე მეტ თანამშრომელთან ერთად არის დაბუდებული, სინამდვილეში ე.წ. **დიფ სთეითისა და გლობალური ომის პარტიის შტაბს** წარმოადგენს!

**3.** ოპოზიციად სახელდებული **კოლექტიური ნაცმოძრაობა** არამხოლოდ უსამშობლო აგენტებისა და ქართული სახელმწიფოს შიდა მტრებისაგან, არამედ აბსოლუტური იდიოტებისა და ბრიყვებისაგან შედგება!

მაშ, მივყვეთ თანმიმდევრობით...

არასრული 24 საათით ადრე, სანამ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მიერ გამოგზავნილ წერილს გაასაჯაროებდა და ცნობილი გახდებოდა, რომ **დონალდ ტრამპმა მიხეილ ყაველაშვილს** არამხოლოდ დამოუკიდებლობის დღე მიულოცა, არამედ საქართველოს მთავრობასთან მჭიდრო თანამშრომლობის სურვილი და იმედი გამოთქვა, ვაშინგტონიდან თბილისში აშშ-ის სახელმწიფომ მდივან **მარკო რუბიოს** უადრესატო წერილი მოვიდა.

საქმე ის არის, რომ 2025 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნდა სახელმწიფო მდივან **რუბიოს** წერილი, რომელიც ასე იწყება: ***„ამერიკის შეერთებული შტატების სახელით, ვულოცავ ქართველ ხალხს ამ ეროვნულ დღეს“...*** მოკლე წერილში კიდევ ორჯერ არის ნახსენები **ქართველი ხალხი** და უცხოეთიდან გადმოგდებული მსგავსი „მაშველი რგოლები“ განაპირობებს.

თუმცა, უსამშობლო ნაცლიბერალთა დაფი და ნაღარა დიდხანს ვერ გაგრძელდა, რადგან სახელმწიფო მდივან რუბიოს მიერ წერილის გამოქვეყნებიდან არასრულ 24 საათში **გამოქვეყნდა პრეზიდენტ ტრამპის წერილი პრეზიდენტ ყაველაშვილისადმი, რომელშიც დამოუკიდებლობის დღის მილოცვასთან ერთად ვკითხულობთ:**

*„ჩემი ადმინისტრაცია ერთგულია, განამტკიცოს საქართველოს მთავრობასთან მშვიდობიანი და ნაყოფიერი ურთიერთობები. სამომავლოდ ველოდები ჩვენს ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირების გაღრმავებას სამართლიანი ვაჭრობის მხარდაჭერისა და ორმხრივი თანამშრომლობის არეალის გაფართოების გზით“.*

შესაბამისად, ისე გამოდის, რომ **სახელმწიფო მდივან რუბიოს წერილში** უხსენებელი საქართველოს ხელისუფლება **პრეზიდენტ ტრამპის წერილში** მკაფიოდ და ხაზგამით არის ნახსენები!

გახლავთ, ხოლო **ამერიკის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის სახელით საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ ყაველაშვილისათვის გამოგზავნილი წერილის** ავტორი რეალურად არის ამერიკის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი!

ეს გახლავთ საუკეთესო ილუსტრაცია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში **პრეზიდენტ ტრამპსა** და ე.წ. დიფ სთეითს შორის მართლაც დიდი ბრძოლაა გაჩაღებული!

ეს გახლავთ მკაფიო დადასტურება, თუ როგორ ებრძვის გლობალური ომის პარტია პრეზიდენტ ტრამპის სამშვიდობო პოლიტიკას, რომელიც, ბევრ სხვა რამესთან ერთად, საქართველოს ხელისუფლებასთან მშვიდობიანი და ნაყოფიერი ურთიერთობების დამყარებას გულისხმობს.

ასე რომ, ყეყეჩ ნაცჟურნალისტებსა და ნაცპოლიტიკოსებს, რომლებსაც **ფარულ დასზე** საუბარი ვითომ სასაცილოდ არ ყოფნით და ირონიულად ქირქილებენ — ერთი გვაჩვენეთ, ეს **დიფ სთეითი** სად არის და როგორ გამოიყურებაო, ვეუბნებით:

მართლა გაინტერესებთ, რას ნიშნავს და როგორ მოქმედებს **სინდიკატი, რეალურად, დიფ სთეითის, ანუ ფარული დასის კანტორას რომ წარმოადგენს, იმითაც** დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ელემენტარული წესი მოითხოვდა, რომ **პრეზიდენტ ტრამპის** მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*



## კვირგვინოსნები

**მამუკა მდინარაძე**
*„ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი*



**გლობალური ომის პარტია, დიფ სთეითი, არაფორმალური მმართველობის მქონე ძალიან დიდი ძალები** ცდილობენ საქართველოში **თავიანთი გავლენების გაძლიერებას,** რასაც ჩვენ არ ვუშვებთ და **საქართველო დღეს დგას ისე მყარად, როგორც არასდროს.**

„პირველი არხი“

**დავით მათიკაშვილი**
*პარლამენტარი*



არ არის გამორიცხული, ოპოზიცია **თვითმმართველობის არჩევნების წინ** დაეწყოს და დარეგისტრირდეს.

„რეზონანსი“

**ირაკლი კირცხალია**
*პარლამენტარი*



**ზურაბიშვილი** რამდენიმე ადამიანს შეკრებს და **ერთ ნაწილს ერთ დავალებას აძლევს, მეორე ნაწილს — მეორეს,** ეს ყველაფერი ერთი დიდი სცენარია, ყველა მოქალაქესა და **აგენტს** ამ თამაშში თავისი როლი აქვს.

„პირველი არხი“

**ფრიდრიხ მერცი**
*გერმანიის კანცლერი*



**უკრაინაში ომი გაგრძელდება იმაზე დიდხანს,** ვიდრე ჩვენ გვსურს ან შეგვიძლია, წარმოვიდგინოთ.

„რეზონანსი“

**ალან ბერსე**
*ევროსაბჭოს გენერალური მდივანი*



ის, რაც მიუღებელია **საქართველოში ან უნგრეთში,** ასევე უნდა შეფასდეს **გერმანიაში ან რუმინეთში.**

„რეზონანსი“

# საქართველოში ამერიკის საელჩო, სინამდვილეში, ე.წ. დიფ სთეითის შტაბს წარმოადგენს!

*დასაწყისი მე–5 გვერდზე*

**პრეზიდენტ ყაველაშვილისადმი** გამოგზავნილი წერილი აშშ-ის საელჩოს თავის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოექვეყნებინა, მაგრამ **დანიგანის კანტორამ,** როგორც **გლობალური ფარული დასის** ქვედანაყოფმა, ეს არ გააკეთა.

სამაგიეროდ, იგივე **დანიგანის კანტორამ,** როგორც **გლობალური დიფ სთეითის ქვედანაყოფმა,** თავის ოფიციალურ ვებგვერდზე განათავსა სახელმწიფო მდივან **რუბიოს** წერილი, რომელშიც საქართველოს ხელისუფლება მიზანმიმართულად და დემონსტრაციულად არ არის ნახსენები.

თუმცა, ეს კიდევ არ არის ყველაფერი!

აშშ-ის საელჩოდ წოდებულმა **დიფ სთეითის** კანტორამ მეტად მდაბიო და ვულგარული საქციელი — **პრეზიდენტ ტრამპის მიერ პრეზიდენტ ყაველაშვილისათვის გამოგზავნილი მისალოცი წერილის** გადამალვაც არ იკმარა და მისი ეფექტის გასანეიტრალებლად უფრო უარესი რამ ჩაიდინა!

კერძოდ, როგორც კი საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ **დონალდ ტრამპის** მიერ **მიხეილ ყაველაშვილისათვის** გამოგზავნილი წერილი გამოაქვეყნა, მეორე დღესვე, 28 მაისს, აშშ-ის საელჩომ გაავრცელა ოფიციალური განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

*„ბიძინა ივანიშვილმა უარი თქვა ელჩ დანიგანთან შეხვედრაზე, სადაც მას ტრამპის ადმინისტრაციის გზავნილი უნდა მოესმინა. სახელმწიფო მდივან რუბიოს თხოვნით, 22 მაისს ელჩმა* ***დანიგანმა*** *ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრა ითხოვა, რათა შეეტყობინებინა ადმინისტრაციის გზავნილი და კიდევ ერთხელ გადაეცა კონკრეტული ნაბიჯების შესახებ, რომელთა გადადგმაც საქართველოს მთავრობას შეუძლია იმის საჩვენებლად, რომ სერიოზულად არის განწყობილი შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის გადატვირთვის მიმართ“.*

კი მაგრამ, თუ **ბიძინა ივანიშვილს ელჩ დანიგანთან** შეხვედრა 2025 წლის 22 მაისს შესთავაზეს და მისგან უარი მიიღეს, აშშ-ის საელჩომ ამის შესახებ ინფორმაცია იმავე დღეს ან თუნდაც 2-3 დღის შემდეგ მაინც რატომ არ გაავრცელა?

საინტერესოა, **22 მაისიდან 28 მაისამდე,** ანუ მთელი 6 დღის განმავლობაში რას ელოდებოდნენ და ამ ინფორმაციის გასაჯაროება მაინცდამაინც მას შემდეგ რატომ გადაწყვიტეს, რაც აშშ-ის პრეზიდენტის მიერ საქართველოს პრეზიდენტისათვის გამოგზავნილი წერილი გამოქვეყნდა?

პასუხი აქაც მარტივია: **აშშ-ის საელჩოდ წოდებულმა დიფ სთეითის კანტორამ სცადა, ნეგატივით გადაეფარა ის პოზიტიური სიგნალი, რომელსაც დონალდ ტრამპის მიერ მიხეილ ყაველაშვილისათვის გამოგზავნილი წერილი შეიცავს** და რომელიც ამერიკისა და საქართველოს ხელისუფლებებს შორის ურთიერთობების დალაგებისაკენ არის მიმართული.

ასე რომ, თამამად შეიძლება, ითქვას: **საქართველოში აშშ-ის საელჩოდ წოდებული დიფ სთეითის კანტორა, რომელიც უკადრებელსაც კი კადრულობს, რათა საქართველოს ხელისუფლებასა და ტრამპის ადმინისტრაციას შორის ურთიერთობის დალაგებას შეუშალოს ხელი, არამხოლოდ ქართული, არამედ ამერიკული სახელმწიფოს წინააღმდეგაც მოქმედებს,** ვინაიდან საქართველო-ამერიკის ურთიერთობის ნორმალიზება არამხოლოდ ქართული, არამედ ამერიკული სახელმწიფოს ინტერესებშიც შედის!

რაც შეეხება **აშშ-ის ელჩად წოდებულ, სინამდვილეში კი, ფარული დასის ემისარ რობინ დანიგანთან შეხვედრაზე უარის თქმას, ამის მიზეზს თავად ბიძინა ივანიშვილი განმარტავს წერილში, რომელიც 2025 წლის 28 მაისს გაავრცელა:**

*„წინა ადმინისტრაციის დროიდან მოყოლებული, ამერიკულმა მხარემ დამიწესა ჯერ არაფორმალური და შემდეგ ფორმალური სანქციები* ***(ჩემ მიმართ არაფორმალური სანქციები ძალზე უხეში ფორმით მოქმედებს. მაგალითად, შვეიცარიული ბანკი „იულიუს ბერი“ ჩემ მიერ სასამართლოს გზით მოგებულ თანხას, რომელიც არავითარ ფორმალურ სანქციას არ ექვემდებარება, სრულიად თავხედურად არ მიბრუნებს, რაშიც ამერიკელი ადვოკატებიც არიან ჩართული).*** *ამგვარი პირადი შანტაჟის ფონზე ელჩთან შეხვედრა და სახელმწიფო საქმეებზე საუბარი არასწორად მიმაჩნია. ასეთ დროს აუცილებლად* ***მექნება კომპლექსი,*** *რომ გადაწყვეტილებას სახელმწიფო საკითხებთან დაკავშირებით ჩემი პირადი ინტერესების საპირწონედ ვიღებ, რაც ჩემთვის პრინციპულად მიუღებელია... მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩემი პირადი ინტერესი სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა არ დამიყენებია არც 2012 წელს და არც ათი წლის შემდეგ — 2022 წელს, როდესაც, სწორედ სახელმწიფო ინტერესების სასარგებლოდ, ჩემი პირადი ინტერესები უდიდესი რისკის ქვეშ დავაყენე“.*

**იმავე წერილში ბიძინა ივანიშვილი აღნიშნავს, რომ აშშ-ის ელჩს პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძესთან შეხვედრა შესთავაზეს, მაგრამ უარი მიიღეს:**

*„პრემიერ-მინისტრი არ არის არც ფორმალური და არც არაფორმალური სანქციების ქვეშ და, შესაბამისად, მას პირად შანტაჟთან დაკავშირებული* ***ვერავითარი კომპლექსი ვერ ექნება.*** *თუმცა, ელჩმა ამაზე უარი განაცხადა, რაც გვიმყარებს რწმენას, რომ ისინი სწორედ* ***პერსონალურ შანტაჟს*** *განიხილავენ წამყვან ფაქტორად ქართული მხარის მიერ სახელმწიფო ინტერესებთან დაკავშირებული პოტენციური გადაწყვეტილების მიღებისას“.*

მოკლედ და მარტივად რომ ვთქვათ, **აშშ-ის ელჩად წოდებული რობინ დანიგანის** მეშვეობით, **ფარულმა დასმა** კიდევ ერთხელ სცადა, **ბიძინა ივანიშვილი** პოლიტიკურ ხაფანგში შეეტყუებინა, მაგრამ ეს კიდევ ერთხელ ვერ მოახერხა!

**ფარული დასის** ადგილობრივი აგენტურის, ანუ ნაცლიბერალი იდიოტების, ყოველივე ამის ფონზე, ერთი ნაწილი სრული სერიოზულობით ამტკიცებს, რომ ამერიკის პრეზიდენტს არავითარი წერილი არ გამოუგზავნია და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ზღაპარი შეთხზა, ხოლო მეორე ნაწილი აცხადებს — **ყაველაშვილს წერილი ტრამპმა კი არ მისწერა, არამედ აშშ-ის პრეზიდენტის სამუშაო კომპიუტერთან ვიღაც სხვა მიიპარა, ღილაკს ხელი დააჭირა და შაბლონური ტექსტი გამოგზავნა!**

ცხადია, ასეთი გამოთაყვანებული სექტანტების ბოდვებზე კომენტარის გაკეთება აბსოლუტურად ზედმეტია!

ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ვაშინგტონიდან თბილისში გამოგზავნილმა ორმა ურთიერთგამომრიცხავმა წერილმა **ამერიკელ და ქართველ დიფსთეითელებს ნიღბის უკანასკნელი ნაფლეთიც ჩამოჭგლიჯა და მათი ბინძური სახე საბოლოოდ გააშიშვლა!**

***ჯაბა ხუბუა***



რობინ დანიგანი

**აშშ-ის ელჩად წოდებული რობინ დანიგანის მეშვეობით, ფარულმა დასმა კიდევ ერთხელ სცადა, ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურ ხაფანგში შეეტყუებინა, მაგრამ ეს კიდევ ერთხელ ვერ მოახერხა!**





***ჟურნალისტი მაყვალა ბერიანიძე საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს ეხმიანება და აცხადებს, რომ გარკვეულ ძალებს ევროპაში ფაშიზმის აღორძინება სურთ:***

— გაეროს გენერალურმა მდივანმა **ანტონიო გუტერეშმა** განაცხადა — *მსოფლიოში სიგიჟის ქარი ქრის!* ხოლო ამერიკის ყოფილმა ელჩმა საქართველოში **რიჩარდ მაილსმა** 2008 წლის აგვისტოს ომზე ასეთი რამ თქვა — *ამ ომის თავიდან აცილება, რა თქმა უნდა, შეიძლებოდა და ამ კონფლიქტში ისე შესვლა, როგორც ეს სააკაშვილმა გააკეთა, პოლიტიკური სიგიჟე იყო!* ამ დღეებში მოხდა *კიდევ ერთი სიგიჟე* — **ურსულა ფონ დერ ლაიენს** კარლოს დიდის პრემია მიანიჭეს! პრემიის მიღების შემდეგ მან ასეთი რამ განაცხადა — *უფრო დიდი ევროპა გვინდა. ახლა ისეთივე ისტორიული მომენტია, როგორც 1989 წელს დაუბერა განახლებისა და ცვლილებების ქარმა ევროპაში. ევროკავშირში გაწევრიანება, რა თქმა უნდა, დამსახურებაზე იქნება, მაგრამ, როგორც 1989 წელს, ისტორია მოგვიწოდებს, ამ მოწოდებას ვუპასუხოთ უკრაინის, ბალკანეთის, მოლდოვისა და იმედია, საქართველოსთვისაცო!*

**— ამით ურსულა ფონ დერ ლაიენი ქართველ რადიკალებს უპაჭუნებს თვალს — აქაოდა, ეს ხელისუფლება დაამხეთ და საქართველოს ევროკავშირში მივიღებთო?**

— ცხადია, ერთი მიმართულება ესაა, მაგრამ აქ სხვა მზაკვრობასა და ბინძურ ჩანაფიქრსაც ვხედავ! კერძოდ, საბჭოთა კავშირი სანამ დაიშლებოდა, 1989 წლის 9 აპრილს, თბილისში სისხლის ტბები დააყენეს და უდანაშაულო ხალხი ჩახოცეს! ვკითხულობ — **ევროკავშირიც ხომ არ იშლება და ამ დაშლის წინ ისევ და ისევ**

## „ასეთი გაბედული და თავდაჯერებული ბიძინა ივანიშვილი თვით 2012 წელსაც კი არ მახსოვს!“



## კვირგვინოსნები

**ნიკა გვარამია**
*პარტია „ახალის“ ლიდერი*



წინა ხელისუფლების **ზოგიერთ სუპერგავლენიან პოლიტიკოსს არ ახსენებს ქოცების „კომისია“.** ამას რა ჭკვია, ვიცით. **გაასხით, თორემ მდუმარების აღთქმა კი არ მაქვს დადებული.**

„რეზონანსი“

**გიგა ბოკერია**
*„ფედერალისტების“ ლიდერი*



**ნიკა გვარამიამ** დააღოს პირი და **თქვას, თუ რამე აქვს ჩემზე სათქმელი.**

„რეზონანსი“

**მაია ორჯონიკიძე**
*ნაციონალური მოძრაობის ყოფილი წევრი*



2016 წლის საპარლამენტო არჩევნების დღიდან ვამბობ და ხელს ვაწერ იმაზე, რასაც ვამბობ: **ბიგა ბოკერია იყო და დღემდე არის რუსი ივანიშვილის მთავარი და შეუცვლელი დასაყრდენი ოპოზიციაში** და ამას ვერ შენიღბავს მისი ცრუ ვერბალური თავდასხმები ბიძინასა და მის რეჟიმზე.

„რეპორტიორი“

**ლევან ლორთქიფანიძე**
*ანალიტიკოსი*



**ადრე მქონდა იმედი,** რომ საერთაშორისო ზეწოლა „ქართულ ოცნებას“ დაასუსტებდა, მაგრამ **დღეს სხვანაირად ვფიქრობ.** დღეს პროტესტი **ჩაფერფვლის პირასაა** და თუ რამე ახალი ენერგიითა და ფორმით არ გააცოცხლეს, **ჩაკვდება.** რეალურად, **10-პროცენტიანი რეიტინგი აქვს ნაცმოძრაობას — კვდება ეს პარტია** და როგორც კი კვდება, ზუსტად იმ მომენტში **სულს უბერავს ხოლმე „ოცნება“ და გამოაცოცხლებს.**

„კვირის პალიტრა“

# მაყვალა ბერიანიძე:

# მოვუწოდებ ბატონ დემურ გიორხელიძეს, გაასაჯაროოს ეს დოკუმენტები და გამოჩნდება, ვინ გაყიდა აფხაზეთი!



დემურ გიორხელიძე

**საქართველოში ხომ არ უნდათ მორიგი სისხლისღვრის გამოწვევა?** რა ხდება, რა ისტორიის მოწოდებები აუტყდა ევროპას? ევროპას ისტორია თუ მოუწოდებს რამეს, მაშინ დაუბრუნდეს ევროპულ ღირებულებებს და შეეშვას საქართველოს საშინაო საქმეებში ხელების ფათურს. თუ ევროპა საქართველოს გულშემატკივარია, ევროკავშირმა 26 მაისი რატომ არ აღნიშნა? რატომ თქვა უნგრეთის ევროკავშირის საქმეთა მინისტრმა **იანუშ ბოკამ** ასეთი რამ — *ძველი და ახალი იმპერიების ოკეანეში თავისუფლების ორი კუნძული ვართ — საქართველო და უნგრეთიო*?! თუ მთელი მსოფლიო დემოკრატიისკენ მიდის, მაშინ მხოლოდ საქართველო და უნგრეთი რატომ არის თავისუფლების ორი კუნძული? ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვაცხადებ — **როცა ე.წ. დიდი ევროპა მოუნდათ, ევროპაში ფაშიზმი აღორძინეს! მაქვს სერიოზული ეჭვი ვიფიქრო, რომ დღევანდელ ევროპაშიც ფაშიზმის აღორძინება სურთ!**

**— რა გაძლევთ ამის განცხადების საფუძველს?**

— ამის განცხადების საფუძველს ის მაძლევს, რომ უკრაინას უკვე ნება დართეს, დაარტყას რუსეთის შიდა ობიექტებს! რა შედეგი მოჰყვება ამას? **მზად არის ევროპა რუსეთთან ღია ომისთვის? ეს არის სამშვიდობო მოლაპარაკებისთვის მზადება?** ყველაზე მთავარი, თუ ის მართალია, რაც ევროპაში სოციალური ქსელების საშუალებით ვრცელდება, მაშინ მართლა დაღუპული ვყოფილვართ და ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში ფაშისტები ხელისუფლებაში უკვე მოსულან!

**— დააკონკრეტეთ!**

— როგორც ევროპაში წერენ და ამტკიცებენ, პოლონეთის ლიდერის **დონალდ ტუსკის** წინაპარი **იოსებ ტუსკი** ფაშისტურ ვერმახტში მუშაობდა და სოლოვიოვკასთან საკონცენტრაციო ბანაკი დააარსა; გერმანიის **კანცლერ მერცის** წინაპარი ფაშისტების მსახური იყო, რომელმაც ბერლინში ყველაზე საუკეთესო ქუჩებს ჰიტლერის, გებელსისა და გერინგის სახელები უწოდა; გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის **ანალენა ბერბოკის** წინაპარი ვერმახტის ოფიცერი იყო და საშინელი სიმკაცრით გამოირჩეოდა; პრეზიდენტ **მაკრონის** წინაპარი ანრი მაკრონი გერმანიაში საკონცენტრაციო ბანაკების დამაარსებელი იყო, რკინიგზის ოკუპაცია მოახდინა და ათასი ებრაელი გაწყვიტა! თუ ეს ყველაფერი მართალია და იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი ყოფილი პრეზიდენტი, ფაშისტების შთამომავალი **სალომე ზურაბიშვილი** ზემოხსენებული პოლიტიკური გვამების ბრძანებების უტყვი შემსრულებელია, ალბათ, მიხვდებით, თუ რა საფრთხის წინაშე დგას ქვეყანა!

**— რით ახსნით ვახტანგ გომელაურის გადადგომას, რა ხდება ხელისუფლების კულუარებში?**

— არაფერიც არ ხდება! გაიხსენეთ ჩვენი ინტერვიუ, სადაც გითხარით — ოჯახში იქმნება შიდაოპოზიცია, რომელიც ქვეყანას აუცილებლად დასჭირდება და როცა ეს მომენტი დადგება, ეს ბიჭები უმალ დაბრუნდებიან და გამოჩნდებიან-მეთქი! **ვახტანგ გომელაური** არავის გაუთავისუფლებია, თვითონ წავიდა. **გელაძე,** რომელიც **გომელაურის** ნაცვლად მოვიდა, ვინ არის, არ ვიცი... სააკაშვილი გამოხტა და განაცხადა — **გელაძე** რიგითი გამომძიებლის პოსტს არ ავაცილეთ, მე მხოლოდ საუკეთესო კადრებს ვნიშნავდიო! **სააკაშვილი** რომ კაცს ლანძღვას დაუწყებს, ეს უკვე საინტერესო და საყურადღებო ფაქტია! მოკლედ, არ ვიცი, რას აკეთებდა **გელაძე** სააკაშვილის დროს, მაგრამ

**ვიცი, რომ ამ ბოლო დროს მნიშვნელოვან თანამდებობებზე სულ ნაცები დანიშნეს! ისიც ვიცი, რომ ის ხალხი, ვინც 2011-2012 წლებში ბიძინას გვერდით დაუდგა, რათა ამ ქვეყანაში რაღაც უკეთესობისკენ შეეცვალათ, დღეს აბსოლუტურად იგნორირებულია! საერთოდ, ერთი რამ გვახსოვდეს – კოალიციამ „ქართულ ოცნებას“ დედა უტირა!**

**— სანაცეთში დიდი ამბავია ატეხილი ნიკა მელიას დაპატიმრების გამო!**

— **ნიკა მელიაზე** რა გითხრათ, მაგრამ მამამისი **ანზორ მელია** რომ დაეპატიმრებინათ, იმდენი გული აქვს გადარჩენილი, აუცილებლად გვერდით დავუდგებოდი და მისი გათავისუფლების მოთხოვნით ქუჩაში გავიდოდი! დიახ, ამას გავაკეთებდი, მიუხედავად იმისა, რომ ერთხელ ძალიან ცუდად მყოფი მელიას კლინიკიდან შუაღამისას გამომისროლეს გარეთ, რადგან ფული არ მქონდა. **ნიკა მელია,** მიუხედავად იმისა, რომ მის წინააღმდეგ სამი-ოთხი სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული, **ბატონმა ანზორმა** გაიყვანა იმ მანკიერი წრიდან. მელია უშიშროების სკოლის კურსდამთავრებულია! **არ ვიცი, რა მეთოდით მუშაობს და რატომ დგამს ასეთ სცენებს... სახალხოდ მოისროლა სამაჯური, არ გადაიხადა გირაო, რომელიც ევროკავშირმა გადაუხადა; არ მიდის სასამართლოზე, არ გამოცხადდა კომისიის სხდომაზე, არ გადაიხადა გირაო...** ეს რა არის? ამას ვერცერთი სახელმწიფო ვერ მოითმენს! ეს ყველაფერი კეთდება იმისათვის, რათა საზოგადოება კიდევ უფრო გაიხლიჩოს, ხოლო **ნიკა მელია** ამ ყველაფერში არის გამოყენებული!

**— ვინ იყენებს ნიკა მელიას, გვარამია?**

— **გვარამიას ნიკა მელია აქეთ გამოიყენებს!** კიდევ ვიმეორებ, მელიას უშიშროების სკოლა აქვს დამთავრებული და ეს არავის დაავიწყდეს! მანდ ვინ ვისთან დააწყვილეს და ვინ ვისი გავლენის ქვეშ იმყოფება, ჯერ კიდევ საკითხავია!

**— ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობა-არმონაწილეობის საკითხი ოპოზიციისთვის თითქოსდა დილემად იქცა. მაინც რა მოხდება?**

— ჩემი სიტყვა დაიმახსოვრეთ — **ადგილობრივ არჩევნებში ყველა ე.წ. ოპოზიციონერი მიიღებს მონაწილეობას!**

**— ნაცებიც?**

— კი, თუ ევროპიდან უბრძანებენ, მიიღებენ! ოპოზიციას რა ეგონა, იცით? ხელისუფლება ვერ გაბედავდა და ოპოზიციას პარლამენტში იმ 61 ადგილს ვერ გაუუქმებდა! თავად ოპოზიციამ რატომ და როგორ გაბედა ის, რომ თავის ამომრჩეველს ყველაფერზე უარი უთხრა, სრული იგნორირება გაუკეთა და პარლამენტში არ შევიდა? ე.წ. ოპოზიციას ერთ რამეს ვეტყვი — **მე ასეთი გაბედული და თავდაჯერებული ბიძინა ივანიშვილი თვით 2012 წელსაც კი არ მინახავს, როცა მთელი საქართველო სააკაშვილის გადასაგდებად დაირაზმა!** გაიხსენეთ **ბიძინა ივანიშვილის** მაშინდელი ინტერვიუ, სადაც ამბობდა — ხმების 40 პროცენტიც კი გვეყოფაო! ანუ 2012 წლის 1 ოქტომბრის დიდი გამარჯვების წინ ბიძინა ბოლომდე გაბედული არ ყოფილა და ფიქრობდა, რომ შესაძლოა, „ქართული ოცნება“ არჩევნებში მეორე ადგილზე გასულიყო და ხმების 40 პროცენტი მიეღო.

**— რა არის ივანიშვილის თავდაჯერებისა და გაბედულების მიზეზი? ხელისუფლება ტრამპის ადმინისტრაციასთან „დალაგდა“?**

— ისტორიულად საქართველო თავის პოლიტიკას ერთ სახელმწიფოზე არასოდეს აგებდა და დიდ იმპერიებს შორის ყოველთვის ლავირებდა. თუ ამერიკას საქართველოსთან მეგობრობა ნამდვილად უნდა, მაშინ მეგობრობისთვის ჩვენი კარი ღიაა. რატომ უნდოდა ამერიკის ელჩს ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრა და არა პრემიერ-მინისტრთან? მერე რა, რომ ბიძინა საქართველოში ყველაზე გავლენიანი პირია, სახელმწიფოს საერთაშორისო ურთიერთობებში პრეზიდენტი, პრემიერი და პარლამენტის თავმჯდომარე წარმოადგენენ. **მაინც მგონია, რომ ამერიკის ელჩს ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრა ისეთივე ტონალობაში სურდა, როგორც კელი დეგნანი შეხვდა მას რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებიდან რამდენიმე დღეში. თუ ეს ერთი კაცია საქართველოში უპირველესი ავტორიტეტი და მის გარეშე პოლიტიკას ვერ აწყობთ, მაშინ რატომ აშანტაჟებთ და ასანქცირებთ? თუ აღიარებთ, რომ ბიძინა ივანიშვილი ბოსია, მაშინ აცალეთ ბოსობა! რა ხდება, რაშია საქმე და რა ქვედინებებია ისეთი, რაც ჩვენ არ ვიცით?**

**— თეა წულუკიანის კომისიამ წინა კვირას განიხილა კოდორის ხეობისა და დიდი და პატარა ლიახვის ხეობების, ასევე ახალგორის ჩაბარების საქმე! ხომ არ შეცდა კომისია, როცა წინდაწინ გამოაცხადა, რომ ქართველ სამხედროებს არ შეეხებოდნენ და 2008 წლის კატასტროფის გამო პასუხისგებაში არ მისცემდნენ?**

— ჩვენ დეტალურად გვაქვს ნასაუბრები, თუ რა ტერიტორიას დაარქვა სააკაშვილმა **„ზემო აფხაზეთი“** და რა ხალხი მონაწილეობდა ამ საქმეში! ყველა გამოკითხული მყავს, ყველა ჩავწერე და ბატალიონის უფროსის ხელნაწერიც მაქვს იმის შესახებ, თუ როგორ გადაისროლეს 2008 წლის 7 აგვისტოს ცხინვალის მისადგომებთან და 23:45 საათზე როგორ დაიწყო ომი. სწორედ იმავე 7 აგვისტოს სახელმწიფო მინისტრი **თემურ იაკობაშვილი** გამოვიდა და განაცხადა — **გენერალი კულახმეტოვი ჩვენი გმირიაო!** მეორე დღეს გახდა რუსის გენერალი **კულახმეტოვი** მტერი? სწორედ **თემურ იაკობაშვილს** შეაქმნევინეს სოხუმში **„ახალგაზრდა სიონისტთა კავშირი“** მაშინ, როცა იქ **ბინ ლადენი** ჩამოიყვანეს.

თუ იმ სამხედროებს არ ასამართლებთ, რომლებმაც კოდორის ხეობაში, ახალგორსა და ცხინვალის რეგიონში ხალხი ჩატოვეს და თავიანთ ტანკებს გამოასწრეს, მაშინ კომისიას რა დანიშნულება აქვს?

სხვათაშორის, ამ დღეებში ვუსმინე **დემურ გიორხელიძეს,** რომელმაც განაცხადა, რომ **ბინ ლადენის ოჯახმა და სანათესაომ საქართველოში მიწების დიდი უმრავლესობა იყიდეს!** აქედან გამომდინარე ვკითხულობ — **ვინ გაყიდა აფხაზეთი და ვინ ჩამოიყვანა 1991 წლის აგვისტოში სოხუმში ბინ ლადენი?** ეტყობა, ყველაფერი წინასწარ იყო დაგეგმილი! მოვუწოდებ ბატონ **დემურ გიორხელიძეს,** გაასაჯაროოს ეს დოკუმენტები და გამოჩნდება, ვინ გაყიდა აფხაზეთი!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

> „ნიკა მელიაზე რა გითხრათ, მაგრამ მამამისი ანზორ მელია რომ დაეპატიმრებინათ, იმდენი გული აქვს გადარჩენილი, აუცილებლად გვერდით დავუდგებოდი და მისი გათავისუფლების მოთხოვნით ქუჩაში გავიდოდი!“



*ნიკა მელიამ წყალი შეასხა მოსამართლეს, რომელმაც მას პატიმრობა შეუფარდა. 2025 წლის 30 მაისი*

## კვირგვინოსნები



**თამარ ჩიხურდანიძე**
*პარტია „ხალხის ძალის“ წევრი*

ძალიან გინდოდათ, გენახათ **სასოწარკვეთილი პრემიერი** და იხილეთ **სასოწარკვეთილი საკუთარი თავები.** ხომ ხედავთ, რომ დამთავრდით! **ნუთუ მართლა გეგონათ, რომ რევოლუციას მოაწყობდით?** კაცს, რომელმაც **„მსოფლიოს მბრძანებლებს“ გაუბედა და პირში მიახალა სიმართლე,** თქვენ უპირებდით „ჩამოგდებას“? თამაშის ეს პარტია **ბიძინა ივანიშვილმა** დაიწყო და ახლა რომელი ფიგურითაც გინდათ, იმით ირბინეთ, **მატი მატია!** „რეპორტიორი“



**თინა ხიდაშელი**
*თავდაცვის ყოფილი მინისტრი*

**როცა ლილუაშვილი გადადგა,** მაშინ სრულიად ნათელი გახდა, რომ **გომელაური აუცილებლად წავიდოდა** ისევე, როგორც, ჩემი აზრით, **ანზორ ჩუბინიძეც აუცილებლად გადადგება.** ამით **ბიძინა ივანიშვილი** წერტილს დასვამს და იტყვის საჯარო მოხმარებისთვის, საერთაშორისოდ, რომ ის არაფერ შუაში აღარ არის, **მისი პირადი წრიდან წამოსული კადრები მთავრობაშიც კი აღარ არიან,** ამიტომ ვინმეს თუ რამე კითხვები აქვს, ვინმესთან რამე სასაუბრო აქვს, რამე გასარკვევი აქვს, **უნდა ელაპარაკონ ირაკლი კობახიძეს.** „ახალი თაობა“



**მურმან დუმბაძე**
*„ნაციონალური მოძრაობა — ერთობის“ წევრი*

**ივანიშვილი კობახიძესაც** მალე შეელევა. **ლილუაშვილი და გომელაური ბაჩიაშვილის** საქმეს გადააყოლეს. „ახალი თაობა“



**ლელა ჯეჯელავა**
*ანალიტიკოსი*

**ივანიშვილს** მთავრობაში **სანდო** ხალხი აღარ ჰყავს. „ახალი თაობა“

**2025 წლის 30 მაისს პარლამენტის საგამოძიებო კომისიის წინაშე კოდორის ხეობის მკვიდრი ქართველები — თორნიკე ბერლიანი და სიმონ ბასვიანი წარდგნენ. მათი განცხადებით, სწორედ კოდორის ხეობის ჩაბარებას ემსახურებოდა 2006 წელს ჩატარებული ე.წ. წმენდის ოპერაცია, როცა წესრიგის დამყარების მიზნით, კოდორის ხეობაში სააკაშვილის თავდაცვის სამინისტრო და პირადად მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი შევიდნენ და ქართველთა სახლები დაბომბეს, რასაც მსხვერპლი მოჰყვა.**

# სამშობლოს ღალატისათვის სააკაშვილის ე.წ. გენერლებმა პასუხი უნდა აგონ!

**თორნიკე ბერლიანმა,** რომელმაც ხეობა 2008 წლის 11 აგვისტოს დატოვა და იქ მომხდარი ამბების ცოცხალი მოწმეა, კომისიას დეტალურად მოუთხრო იმის შესახებ, თუ როგორ იქცეოდნენ **ოქრუაშვილი და მისი ბანდა** კოდორში და რა ენით ელაპარაკებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, რომელმაც აფხაზეთის კატასტროფის შემდეგ საქართველოს ეს ნაწილი არც რუს სპეცრაზმელებს, არც აფსუა სეპარატისტებს და არც სომეხ ბაგრამიანელებს არ დაუთმო.

აი, რა გაიხსენა **თორნიკე ბერლიანმა** იმის შესახებ, თუ როგორ ნელ-ნელა და ნაბიჯ-ნაბიჯ აბარებდა კოდორის ხეობას **სააკაშვილი:**

*მამაჩემი — **ზურაბ ბერლიანი** იყო კოდორის ხეობაში მოქმედი სამხედრო დანაყოფის — „მონადირეს“ მეთაური... თავიდან ამ ბატალიონის მეთაური გახლდათ **ემზარ კვიციანი,** ხოლო შემდეგ, ვიდრე ბატალიონი არ დაშალეს, **ზურაბ ბერლიანი.** მამაჩემს დაურეკეს თავდაცვის სამინისტროდან... ელაპარაკა ერთ-ერთი მაღალჩინოსანი და უთხრა — **ბატალიონი გაუქმებულია!** უზრუნველყავით იარაღის ჩაბარება! ჩამოიტანეთ და ჩააბარეთ ვაზიანში! ტელეფონით ეუბნებიან ამას... თან იარაღის ჩაბარება მოსთხოვეს სამ დღეში მაშინ, როცა ვერტმფრენები არ გამოუყვეს. არადა, ამ დროს კოდორის ხეობის უღელტეხილზე ათი მეტრი თოვლი იყო მაშინ...*

**კომისიის სხდომაზე მეხის გავარდნის ტოლფასი იყო იმის განცხადება, რომ სააკაშვილი და მისი ბანდა კოდორის ხეობას თავად ბომბავდნენ.** იმავე თორნიკე ბერლიანის თქმით, *„2007 წლის თებერვალში კოდორის ხეობა ორჯერ დაიბომბა... ჯერ დაბომბვა განახორციელეს ვერტმფრენებით, ხოლო შემდეგ — „გრადით“!*

მაშინდელ სისხლიან პროცესებში ჩაუხედავი მკითხველისათვის შესაძლოა, ეს ყველაფერი ფანტასტიკის სფერო იყოს და ვიღაცამ გულუბრყვილოდ იკითხოს — **ხელისუფლება საკუთარ ხალხს როგორ დაბომბავდაო?** — მაგრამ ასეთთა გასაგონად ვიტყვით, რომ **სააკაშვილმა საკუთარი ხალხის შეურაცხყოფა და დაბომბვა თავისი პოლიტიკური მამამასწავლებლისა და შემქმნელის — ედუარდ შევარდნაძისგან ისწავლა.**



ზაზა გოგავა პარლამენტის საგამოძიებო კომისიის სხდომაზე გამოკითხვისას. 2025 წლის 27 მარტი

## არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ 2004 წლის 24 მარტს მესტიის რაიონის სოფელ ეცერში ევგენი აფრასიძის სახლი, სადაც ოთხი მცირეწლოვანი ბავშვი იმყოფებოდა, სააკაშვილმა და წყეულმა ბარამიძემ სწორედ ვერტმფრენებით დაბომბეს!

როგორც ჩანს, საქართველოს ხელისუფლების ქართველების დაბომბვის ამბავი თვით თეა წულუკიანისთვისაც კი სიურპრიზი აღმოჩნდა და ამიტომაც იყო, რომ თორნიკე ბერლიანს ჩაეკითხა:

***— თქვენივე ხელისუფლებამ, საქართველოს ხელისუფლებამ დაგბომბათ?***

*თორნიკე ბერლიანი:*

*— კი! ჭურვი ქვევიდან ზევით იყო ნასროლი, ხეობაშივე ნასროლი ჭურვი იყო... ერთ-ერთი ხეობიდან, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება აკონტროლებდა, იბომბებოდა კოდორის ხეობის სოფელი ჩხალთა!*

**რაც შეეხება ე.წ. წმენდის ოპერაციას, რომელიც ოქრუაშვილმა კოდორის ხეობაში „წესრიგის დასამყარებლად“ ჩაატარა, მაშინ განვითარებული პროცესების შესახებ თორნიკე ბერლიანის მონათხრობმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა:**

*— 2006 წელს სააკაშვილის თავდაცვის სამინისტრო შემოვიდა კოდორში ვერტმფრენებით და ასე დაიწყო **„კოდორის ხეობის გათავისუფლების“** ოპერაცია, როცა სახლები დაბომბეს! სახლებს ვერტმფრენებიდან ესროდნენ რაკეტებს, ისროდნენ ტყვიამფრქვევებიდანაც, რომელიც ვერტმფრენს აქვს. 49 წლის ახალგაზრდა ქალი, მამიდაჩემი, შეშინებული გამოვარდა გარეთ და სამი ტყვია „ამოატარეს“... ორი ტყვია მუცელში ჰქონდა მოხვედრილი, ხოლო ერთი — ყელში!*



მამუკა ყურაშვილი პარლამენტის საგამოძიებო კომისიის სხდომაზე გამოკითხვისას. 2025 წლის 28 მარტი

*თეა წულუკიანი:* ***— მამიდათქვენი მოკლეს?***

*თორნიკე ბერლიანი:*

*— კი ბატონო, მამიდაჩემი იყო 49 წლის ქალი და მოკლეს... თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები რომ შემოვიდნენ, **პირადად ირაკლი ოქრუაშვილმა** სოფელ ჩხალთაში ხალხს უთხრა — **აბა, რა გეგონათ თქვენ?!** ოქრუაშვილს ერთ მხარეს იარაღი ჰქონდა, ხოლო მეორე მხარეს — დანა. აიღო ეს დანა, რომელიც ძალიან დიდი იყო, იქ მყოფებს დაანახა და დაიმუქრა — ამ დანით გამოგჭრით ყელს ქალს, ბავშვს, მოხუცს, არავის დავინდობ, თუ ოდნავი წინააღმდეგობა მაინც იქნება თქვენგანო!*

*თეა წულუკიანი:* ***— ოქრუაშვილი ამბობდა ამას?***

*თორნიკე ბერლიანი:*

*— კი, **პირადად ოქრუაშვილი** ამბობდა! მამიდაჩემის შვილი **გენო გუგუსიანი** 16 წლიდან იბრძოდა აფხაზეთში და სწორედ თექვსმეტი წლისა იყო, როცა ომში ფეხი დაკარგა. ბატონ ემზარ კვიციანთან ერთად იბრძოდა გენო... აი, ასეთი გმირი შვილის გამზრდელი დედა, ცხონებული მამიდაჩემი, 49 წლის ქალი, საკუთარი სახლის კიბეზე ჩაცხრილეს. **ირაკლი ოქრუაშვილმა** ასეთი რამ თქვა ჩხალთაში: **მადლობა თქვით, რომ ერთი ქალი დაიღუპა და არა ათი, ოცი და ოცდაათი...** აი, თქვენ სადაც დგახართ, წესით, ის მიწა უნდა დაიწვასო! ერთი მაღალჩინოსანი იყო მანდ, რომელზეც **ირაკლი ოქრუაშვილმა** გამოაცხადა — **გენერალ-გუბერნატორი** ხარო! სანამ თავდაცვის სამინისტრო მანდ იყო, სწორედ ის განაგებდა ყველაფერს — პოლიციას, გამგებლებს... აბსოლუტურად ყველაფრის უფროსი იყო ის და მისი სახელია **ხვიჩა ბუჯიჯიანი,** რომელიც ყველაზე აგრესიულად იქცეოდა!*

*თორნიკე ბერლიანის თქმით, სააკაშვილის ხელისუფლება კოდორის ხეობის მოსახლეობას არწმუნებდა, რომ ყველაფერი კარგად იყო და ცხინვალის დაკავების შემდეგ აფხაზეთისა და სოხუმის დაკავებაც იგეგმებოდა, თუმცა, კოდორის ხეობის დაბომბვამდე ერთი დღით ადრე, სამხედროებმა პოსტები მიატოვეს და გაიქცნენ, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობა მხოლოდ იმან გადაარჩინა, რომ არსებული ვითარების შესახებ მათ მაშინდელმა სახალხო დამცველმა **სოზარ სუბარმა** ტელეფონით ამცნო!*

*ამ ფონზე ძალიან საეჭვოდ გამოიყურება **სააკაშვილის გენშტაბის უფროსის, 7 ნოემბერს ხალხის დამრბევისა და გიული ალასანიას ახალ „ქართვლის დედად“ გამომცხადებლის, ე.წ. გენერალ ზაზა გოგავას** მიერ კომისიისთვის მიცემული ჩვენება იმის შესახებ, რომ მან **„ვერ შეძლო“** და კოდორის ხეობის მოსახლეობა ვერ გააფრთხილა არსებული საფრთხის შესახებ, რათა ხალხს თავი გადაერჩინა და ხეობა დაეტოვებინა. **როგორც ჩანს, პატრონებმა, რომლებმაც სააკაშვილსა და მის გარყვნილ ბანდას 2008 წლის აგვისტოში ომის გაჩაღება უბრძანეს, თავიანთ აგენტებს ისიც დაავალეს, რომ ქართულ მოსახლეობაში მაქსიმალურად დიდი მსხვერპლი გამოეწვიათ, რათა ამის შემდეგ სალაპარაკო მისცემოდათ და რუსეთი მსოფლიოს უმაღლესი ტრიბუნებიდან გაენიორწყლებინათ, როგორც კაციჭამია, საერთაშორისო სამართლის უგულებელმყოფელი და დიქტატორული სახელმწიფო!***

*თორნიკე ბერლიანი:*

*— ჩვენ გვეუბნებოდნენ — ყველაფერი კარგად არის, ვაკონტროლებთ სიტუაციას და არანაირი წინაპირობა არ არსებობს იმისათვის, რომ თქვენ ხეობიდან გახვიდეთ და ევაკუაცია გამოაცხადოთ!*

*თეა წულუკიანი:* ***— ჯარი გეუბნებოდათ ამას?***

*თორნიკე ბერლიანი:*

*— ჯარი და იქ ვინც იყვნენ ხელისუფლების წარმომადგენლები, მაღალჩინოსნები!*



**დანაშაულის ტოლფას შეცდომად და დაუდევრობად მიგვაჩნია პარლამენტის საგამოძიებო კომისიის მიერ გაცხადებული პოზიცია, რომ 2008 წლის აგვისტოს ომთან მიმართებაში სამხედროები პასუხისმგებლობისგან თავისუფლდებიან!**

## *თორნიკე გერლიანი:*

# საკაშვილმა რამდენჯერმე დაბომბა კოდორის ხეობა და ბოლოს ჩააბარა იგი!





## *სიმონ გასვიანი:*

# კოდორის ხეობიდან ჯერ გაიქცა ჯარი და ჯარს უკან მიჰყვა ხალხი!

***სოზარ სუბარი: — მაინც ვინ გეუბნებოდათ?***

ამ კითხვის პასუხად საუბარში ჩაერთო **სიმონ გასვიანი**, რომელმაც არამარტო **სოზარ სუბარის** შეკითხვას, არამედ ბევრ რამეს გასცა პასუხი, როცა გააჟღერა **ვანო მერაბიშვილის** ხელისბიჭის, ბევრისთვის უცნობი **სოსო ქარჩაიძის** გვარ-სახელი და განაცხადა: **„კოდორის ხეობაში ქარჩაიძე იყო ყველაფრის ბატონ-პატრონი და უფროსი!“**

***თეა წულუკიანი: — რა გვარი, ბატონო სიმონ?***

*სიმონ გასვიანი: — სოსო ქარჩაიძე!*

***თეა წულუკიანი: — სოსო ქარჩაიძე — ვანო მერაბიშვილის წარმომადგენელი!***

*სიმონ გასვიანი: — **კი!***

*სოზარ სუბარი: — სოსო ქარჩაიძე იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი, თუმცა, კოდორის ხეობაში იყვნენ თავდაცვის სამინისტროს ძალებიც. ყველანი **სოსო ქარჩაიძეს** ემორჩილებოდნენ?*

*სიმონ გასვიანი: — კოდორის ხეობაში ყველანი **სოსო ქარჩაიძეს** ვემორჩილებოდით... ერთხელ ვკითხე — **ბატონო სოსო, ევაკუაციის გეგმა თუ გაქვთ-მეთქი? გაეცინა და მიპასუხა** — შენ შენს საქმეს მიხედე და ევაკუაციის გეგმა გვაქვს თუ არა, ეს ჩვენ ვიცითო! ბოლოს, როდესაც უკვე ხეობიდან გამოვდიოდით, ორი დღე ისე გავიდა, საერთოდ კავშირზე ვერ გავედით ვერავისთან, მათ შორის, ვერც **სოსო ქარჩაიძესთან!***

**სიმონ გასვიანმა** ისიც გაიხსენა, რომ **სოსო ქარჩაიძე** მან 2008 წლის 10 აგვისტოს სოფელ გენწვისში ნახა 20 თუ 50 კბილებამდე შეიარაღებული თანამეინახის გარემოცვაში. მასთან შესახვედრად რომ გაემართა, ამ დროს ხუთმა თუ ექვსმა რუსულმა ბომბდამშენმა გადმოიფრინა, რომლებიც მოზდოკიდან მოფრინავდნენ. თვითმფრინავების ხმის გაგონებაზე **ქარჩაიძე და მისი ამალა** თხების არვესავით დაფრთხნენ, ზუსტად ისე, როგორც სააკაშვილი გორში და ტყეში დურთეს თავი. ამის შემდეგ გავიდა ექვსი წელი და 2014 წელს, გაქანებული კოჰაბიტაციის ეპოქაში, **სიმონ გასვიანი** „პეპელასთან“ შემთხვევით გადააწყდა **სოსო ქარჩაიძეს,** რომელიც ჯარისკაცებს პარადისთვის ავარჯიშებდა. როგორც **სიმონ გასვიანმა** განაცხადა, ის კომისიას ვერ ეტყვის იმ სიტყვებს, რაც ქარჩაიძეს მაშინ უთხრა!

*თორნიკე გერლიანის განცხადებით, სააკაშვილის ემისრები კოდორის ხეობის მოსახლეობას აიმედებდნენ და არწმუნებდნენ, რომ არავითარი საფრთხე არ არსებობდა —*

*„ჩვენთვის უფრო დამაჯერებელი რომ ყოფილიყო ყველაფერი, გვეუბნებოდნენ — იმას მანდ ყველაფერი დალაგებული აქვსო!“*

***თეა წულუკიანი: — „იმას“ ვის, სააკაშვილს?***

*თორნიკე გერლიანი: — დიახ! იქ, ცხინვალში, რომ დაიწყო ამბები, მაშინ გვეუბნებოდნენ — აი, ჩვენები უკვე ცხინვალში არიან შესული, თქვენ კი არ გჯერათო! ახლა ორ დღეში მანდ ყველაფერი მორჩება, ბიჭები დალაგდებიან და მერე უკვე სოხუმში ჩავდივართო!*

***თეა წულუკიანი: — ეს საუბრები ხდება 2008 წლის 8 და 9 აგვისტოს?***

*თორნიკე გერლიანი: — კი, ბატონო! 9 აგვისტოს კოდორის ხეობაში იყო ერთი ჩემი ნათესავი ქალბატონის დაკრძალვა. ძალიან კარგი და პატივსაცემი ოჯახია — **წიფიანების ოჯახი** და მთელი კოდორის ხეობა მანდ იყო. იმ დღეს ბედად დაემთხვა, რომ გაეროს წარმომადგენლებიც იყვნენ ხეობაში ამოსული... **წულუკიძეები** იყვნენ მაგ გაეროს ხალხთან — დები და ზარი განხორციელდა წულუკიძეებთან — **„არის ძალიან საეჭვო ვითარება, კოდორის ხეობაშიც შესაძლოა, დაიწყოს დაბომბვა და მოსახლეობამ სასწრაფოდ დატოვოს მაქაურობაო! ზარი განახორციელა მაშინდელმა სახალხო დამცველმა, ბატონმა სოზარ სუბარმა.** გაეროს წარმომადგენლები უკვე მიხვდნენ, რომ ჩვენ მოსალოდნელი საფრთხის შესახებ ინფორმაცია გვქონდა და გვითხრეს — **სამი საათი ვიქნებით ჩვენ აქ და სამი საათის განმავლობაში ხეობა არ დაიბომბებაო!** სწორედ ეს ზარი იყო, რამაც გადაარჩინა და უმსხვერპლოდ გამოიყვანა კოდორის ხეობიდან მთელი მოსახლეობა! არცერთი ადამიანი მანდ არ დაღუპულა... ერთ-ერთი მოსახლე რომ გამოდიოდა, რაღაცას მანქანით დაეჯახა, გადაიარა და საბურავი გაუსკდა. მანამ, სანამ ეს შეემთხვეოდა, გზაში შეამჩნია პოლიციის ამოტრიალებული მანქანა. ეს კაცი უკან დაბრუნდა, ათი კილომეტრი გაიარა, იმ პოლიციის ამოტრიალებულ მანქანას საბურავი მოხსნა, ხელით წამოიღო საბურავი, დაავო თავის „ვილისს“, რომელშიც ხუთი თუ ექვსი ადამიანი იჯდა და წამოვიდა. კაცი ამის გამო ჭუბერში დაიჭირეს და სასტიკად გაუსწორდნენ!*

**თუ რა ხდებოდა კოდორში და როგორ მიატოვეს სააკაშვილის ემისრებმა მშვიდობიანი მოსახლეობა, ამის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის თორნიკე გერლიანის მიერ კომისიისთვის მოთხრობილი ერთი ისტორია:**

*— **თემურ ჩხეტიანი** ცხოვრობდა იქ... დედამისი იყო 90 წლის ლოგინად ჩავარდნილი ქალბატონი. სამეურნეო სამუშაოებისთვის რომ ვიყენებთ ხელის ურიკებს, იმაზე დასვა 90 წლის ლოგინად ჩავარდნილი დედა და 15 კილომეტრი ატარა გრუნტიან გზაზე. მაგის თვალწინ გამოიარა დაახლოებით ათასმა ჯარისკაცმა მანქანებით. 40 მანქანა მაინც იქნებოდა ერთ კოლონაში. მერე კიდევ სხვა კოლონაც მოდიოდა, მაგრამ არცერთმა არ გაუჩერა.*

საბოლოო ჯამში, რა გასაკვირია, რომ კომისიის სხდომაზე საბრალდებო დასკვნასავით გაისმა **თორნიკე გერლიანისა და სიმონ გასვიანის** განცხადება:

***„სააკაშვილმა რამდენჯერმე დაბომბა კოდორის ხეობა და ბოლოს ჩააბარა იგი... კოდორის ხეობიდან ჯერ გაიქცა ჯარი და ჯარს უკან მიჰყვა ხალხი! დიახ, ეს იყო ღალატი!“***

ყოველივე ზემოთქმულის ფონზე, დანაშაულის ტოლფას შეცდომად და დაუდევრობად მიგვაჩნია პარლამენტის საგამოძიებო კომისიის მიერ გაცხადებული პოზიცია, **რომ 2008 წლის აგვისტოს ომთან მიმართებაში სამხედროები პასუხისმგებლობისგან თავისუფლდებიან!**

**სამშობლოს ღალატის, მშვიდობიანი მოსახლეობის განირვისა და ტერიტორიების მიზანმიმართულად ჩაბარების გამო პასუხი სააკაშვილმაც უნდა აგოს, ოქრუაშვილმაც, ბოკერიამაც, ლომაიამაც, კეზერაშვილმაც, ახალაიებმაც და იმ ე.წ. გენერლებმაც, რომლებიც ზვიად გამსახურდიას ტყვიას ესროდნენ, 7 ნოემბერს ხალხს არბევდნენ და გიული ალასანიას „ქართვლის დედად“ აცხადებდნენ!**

**აი, ასეთთა ფეხქვეშ ქართული მიწა მართლა უნდა იწვოდეს!**

მოამზადა

***დიტო ჩუბინიძე***

# ვასილ მაღლაფერიძე:
# მიშამ იცოდა?

***2025 წლის 28 მაისს პარლამენტის საგამოძიებო კომისიამ გამოჰკითხა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე ვასილ მაღლაფერიძე, რომელსაც 2005-2008 წლებში მცხეთა-მთიანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის, ანუ გუბერნატორის თანამდებობა ეკავა.***



**„ყველა ისე უნდა გაილახოს, რომ დიდხანს ვერ იდგეს ფეხზე, სახეს ერიდეთ, არ არის აუცილებელი, ძირითადად — თირკმლებში, მუცელში; ვინც არ იცის, როგორ, გაიარეთ კონსულტაციები ახალაიასთან!“**

მან კომისიის სხდომაზე იმ ანტისახელმწიფოებრივი ავანტიურის შესახებ ისაუბრა, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებამ 2007 წლის გაზაფხულზე ჩაიდინა, როცა **მცხეთა-მთიანეთის ადმინისტრაციულ საზღვრებში შემავალი ახალგორის რაიონი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიად გამოაცხადა.**

თუმცა, **მაღლაფერიძის** გამოკითხვის ძირითადი და ყველაზე საინტერესო ნაწილი ეხება 2007 წლის 4 ნოემბერს შინაგან საქმეთა მინისტრ **ვანო მერაბიშვილის** კაბინეტში გამართულ საგანგებო თათბირს, რომელსაც იგი სხვა გუბერნატორებთან ერთად ესწრებოდა და რომელზეც მშვიდობიან საპროტესტო აქციებში მონაწილე მოქალაქეების წინააღმდეგ **სადამსჯელო ოპერაცია** დაიგეგმა.

**ვასილ მაღლაფერიძის** განცხადებით, **მერაბიშვილის** მიერ ჩატარებული თათბირის შესახებ ინფორმაცია იმავე საღამოს მიაწოდა სახალხო დამცველ **სოზარ სუბარს,** რომელმაც ლიტვაში დაგეგმილი ვიზიტიც კი გააუქმა, რათა საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ოპერატიულად გაეფრთხილებინა — **სააკაშვილის რეჟიმი ქართველ ხალხს დიდ უბედურებას უმზადებსო!**

აღსანიშნავია, რომ მცხეთა-მთიანეთის ყოფილი გუბერნატორი, როგორც **ვანო მერაბიშვილის** სკანდალური სპეცთათბირის მონაწილე, გენერალურ პროკურატურასა და სასამართლოში მოწმის სახით არის დაკითხული და მისმა ჩვენებამ 2007 წლის 7 ნოემბრის საქმის გამოძიებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, თუმცა, პარლამენტის საგამოძიებო კომისიის სხდომაზე **მაღლაფერიძის** გამოკითხვისას ფართო საზოგადოებამ აქამდე უცნობი, მართლაც გამაოგნებელი და შემზარავი დეტალები შეიტყო.

როგორც აღმოჩნდა, **მერაბიშვილის კაბინეტში გამართული თათბირის მეორე დღეს, 2007 წლის 5 ნოემბერს, ვასილ მაღლაფერიძეს ხელში კალამი აუღია და ფურცელზე თითქმის სტენოგრაფიული სიზუსტით გადაუტანია ყველაფერი, რაც იქ მოისმინა და დაინახა.** მან პარლამენტის საგამოძიებო კომისიის წინაშე სწორედ ეს ჩანაწერი წარმოადგინა და სიტყვასიტყვით წაიკითხა.

***ვასილ მაღლაფერიძე:***

*— შევედი შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში. ლიფტთან შემხვდნენ მეორე შემოსასვლელიდან შემოსული* ***დავით კირკიტაძე (იმხანად პარლამენტის დეპუტატი. რედ.)*** *და* ***ზაზა გოროზია (სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი. რედ.).*** *მეხუთე სართულზე ავედით და პირდაპირ შევედით* ***ვანო მერაბიშვილის*** *კაბინეტში, სადაც დაგვხვდნენ* ***ვანო მერაბიშვილი,*** *თავდაცვის მინისტრი* ***დავით კეზერაშვილი,*** *გენერალური პროკურორი* ***ზურაბ ადეიშვილი,*** *თბილისის მერი* ***გიგი უგულავა,*** *კუდ-ის ყოფილი უფროსი* ***დათა ახალაია...***

საინტერესოა, რა სტატუსით ესწრებოდა შინაგან საქმეთა მინისტრის კაბინეტში გამართულ თათბირს **დათა ახალაია,** რომელიც იმხანად არანაირ თანამდებობაზე არ მუშაობდა, რადგან 2006 წლის დასაწყისში, **სანდრო გირგვლიანის** მკვლელობის გახმაურების შემდეგ, იძულებული გახდა, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის (**კუდ**-ის) უფროსის პოსტიდან გადამდგარიყო.

მართალია, **ახალაია** 2008 წელს კვლავ კუდ-ის ხელმძღვანელად დააბრუნეს, თუმცა, 2007 წლის 4 ნოემბერს, როცა **მერაბიშვილის** კაბინეტში საგანგებო თავყრილობა შედგა, მას არავითარი ოფიციალური თანამდებობა არ ეკავა, რიგითი მოქალაქე იყო და არაფერი ესაქმებოდა იქ, სადაც მოქმედი თანამდებობის პირები თათბირობდნენ.

ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ **სანდრო გირგვლიანის მკვლელობის** საქმის ერთ-ერთი მთავარი ფიგურანტის — **დათა ახალაიას** თანამდებობიდან გადაყენება საზოგადოებისთვის თვალებში ნაცრის შეყრა იყო, სინამდვილეში კი იგი არსად გაუშვიათ და კვლავ **კუდ**-ის უფროსის რანგში განაგრძობდა დანაშაულებრივ საქმიანობას.

შესაბამისად, **დათა ახალაია,** როგორც ერთ-ერთი ყველაზე დაუნდობელი ჯალათმეისტერი, აუცილებლად უნდა ყოფილიყო იქ, სადაც სააკაშვილის კრიმინალური რეჟიმის განგსტერები მაფიის სტილში გეგმავდნენ, როგორ განეხორციელებინათ ვენდეტა მათი მმართველობით უკმაყოფილო მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ!

**ვასილ მაღლაფერიძე** აგრძელებს იმ თანამდებობის პირთა ჩამოთვლას, რომლებიც მერაბიშვილის თათბირს ესწრებოდნენ:

*კულტურის მინისტრი* ***გოკა გაბაშვილი, ამირან მესხელი (შს მინისტრ ვანო მერაბიშვილის მოადგილე. რედ.),*** *სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი* ***გოგა ხაჩიძე,*** *იმერეთის გუბერნატორი* ***აკო ბობოხიძე*** *და ქვემო ქართლის გუბერნატორი* ***ზურაბ მელიქიშვილი.*** *ვანო ჩქარობდა — დავიწყოთო! ვიღაცამ თქვა —* ***საცაა, მიხოც მოვაო და მართლაც, ორ წუთში გურიის გუბერნატორი მიხო სვიმონიშვილიც მოვიდა.*** *აი,* ***ოქრუაშვილის*** *კიდევ ერთი კადრიც მოვიდა! — იხუმრა ვიღაცამ — ეგ აუცილებლად გენერალური პროკურორის გვერდით დასვითო! გარკვეული პერიოდის წინ, ივლის-აგვისტოში,* ***მიხოზე*** *საუბრები ეს* ***ვასიკოსთვის*** *დამითმიაო! ჩემმა ყოფილმა მოადგილემ ორი-სამი კვირის წინ მწვავე განცხადება გააკეთა პრეზიდენტის ოჯახის წინააღმდეგ, ოპოზიციას შეუერთდა და ამაზე მეხუმრებოდნენ. ამ თემაზე ერთი-ორჯერ მანამდეც გამეხუმრნენ ორაზროვნად, როგორც ხელისუფლებაშია მიღებული.* ***ვანომ*** *გაიცინა და მითხრა — მართალი არ გეგონოს, არ შეშინდეო! არც მეშინია! — მე ვუთხარი — ჩემგან ერთი კაცი გადავიდა ოპოზიციაში და რაც მთავრობიდან და უმრავლესობიდან ოპოზიციაში ხალხია გადასული, იმდენს აქვს ჰარაკირი გასაკეთებელი, ეს ხანჯალი ჩემამდე ვერც მოაღწევს-მეთქი!*

***ვანომ*** *— გვეჩქარება, ვეღარავის დაველოდებით, დავიწყოთო და* ***უგულავას*** *უთხრა შეთამაშებული ხუმრობით — ზედმეტებმა*

***ვასილ მაღლაფერიძე:***

*— კულტურის მინისტრი.*

***თეა წულუკიანი: — კულტურის მინისტრი ესწრება ამ თათბირს შინაგან საქმეთა მინისტრთან.***

***ვასილ მაღლაფერიძე:***

*— გუბერნატორები და ძალოვნები... მთელი რეალური ძალაუფლება იქ არის! ცხადია, მათ ვიწრო წრეში მოლაპარაკებული და დალაგებული ჰქონდათ, რაც შემდგომ გვითხრეს, მაგრამ ამდენ ხალხში, ასეთ საჩოთირო თემასთან დაკავშირებით ზედმეტი მოწმეები არაფერში სჭირდებოდათ. ჩემი გუბერნატორობის 2,5 წლის განმავლობაში არ მომხდარა, ყველა ძალოვანი სტრუქტურის ხელმძღვანელი ერთად შევხვედროდა გუბერნატორებს. მეტიც, ამ ხნის განმავლობაში, ერთხელაც ვერ მოვახერხე, ტელეფონით დავკავშირებოდი გენერალურ პროკურორს, რომელთანაც საკმაოდ ახლო*

*მიდიოდა — შეიძლება,* ***ოქრუაშვილთან*** *სიახლოვის გამო პრობლემები შეექმნასო! როგორც ამბობენ, ერთი პერიოდი, პროკურატურამ დაუწყო ჩიჩქნა.* ***მიხომ*** *უხერხულად გაიცინა და მართლაც* ***ადეიშვილის*** *გვერდით დაჯდა.*

***მელიქიშვილმა*** *თქვა —* ***გია ნაცვლიშვილმა (კახეთის გუბერნატორმა)*** *დამირეკა, სართიჭალას გამოვცდიო, რაზეც* ***კირკიტაძე*** *ეხუმრა — შენ რას გირეკავს, ვიზას ხომ არ გთხოვს შენს ტერიტორიაზე გადმოვლისთვისო?!* ***კაკომ (ბობოხიძემ. რედ.)*** *საიდანღაც იაპონური ხმალი აიღო, აქეთ-იქით იქნევდა და, როგორც ყოველთვის, ხმაურობდა. ვიღაცამ უთხრა — დადე ეგ ხმალი, ხომ არ გგონია, ჰარაკირის ხანჯალიაო! კაკომ ხმალი სიცილით ჩემკენ გამოაცურა მაგიდაზე — მაშინ დაგვტოვონ, ხელს ნუ გვიშლი,* ***ოტიაშვილთან*** *თუ* ***ოთიაშვილთან*** *(მაშინ არ ვიცნობდი, არც ახლა ვიცნობ) გადიო!* ***გიგი*** *ოთახში წინ და უკან დადიოდა და ღლაბუცობდა — ნუ არღვევ ადამიანის უფლებებსო... მერე გავიდა. დღეს ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, წინასწარ იყვნენ შეთანხმებული, რომ* ***უგულავა*** *ამ ლაპარაკს არ უნდა დასწრებოდა.* ***ვანომ ისევ იხუმრასავით — კიდევ ვინმე ხომ არ არის ზედმეტიო?! მერე გოკას შეხედა — აი, კიდევ ერთი ზედმეტი, მაგრამ რახან დარჩი, იყავიო!*** *ვფიქრობ,* ***გოკა*** *ვერ მიხვდა, რომ მას იქ დარჩენა არ მართებდა და უნდა გასულიყო, რადგან* ***უგულავასავით,*** *ფორმალურად, „თეთრი ხელთათმანით“ უნდა დარჩენილიყო.*

***თეა წულუკიანი: — რა პოზიცია ჰქონდა მაშინ გოკა გაბაშვილს?***



# „ვინც ცოტა მოუშავოა ან ეგეთი ტიპი, ჯიბეში – ნარკოტიკი და ბაჩოსთან, გარეთ ერთი ახალაია მოუყვლით, შიგნით მეორე ახალაია დახვდებათ!“



## კვირგვინოსნები

**გურამ მაჭარაშვილი**
*„ხალხის ძალის“ აღმასრულებელი მდივანი*



ე.წ. ოპოზიცია იმაზეც ვერ თანხმდება, **გირაო უნდა გადაიხადოს თუ არა და ესენი კოალიციურ მთავრობას შექმნიან** და 11 მინისტრს აირჩევენ? სახელმწიფოს ყველა უწყება მზადაა, **ალმოფხვრას პროვოკატორების ნებისმიერი ძალადობა,** ასე რომ, როგორ წარუმატებლადაც დასრულდა მათი ყველა წინა მცდელობა, **მოეხდინათ სახელმწიფო გადატრიალება,** ისევე წარუმატებლად დასრულდება მომავალშიც!

„რეზონანსი“

**ალექსანდრე რაქვიაშვილი**
*„გირჩის“ წევრი*



**„ფეიკ-რევოლუცია“ „მოიხოდა“, რომელზეც გაწირეს 50 ახალგაზრდა და,** ოპოზიციავ, თქვენს როლს როგორ ვერ ხედავთ, რომ ეს ყველაფერი წააქეზეთ? იმის ნაცვლად, რომ გეთქვათ — **ხალხო, ჩვენ არანაირ რევოლუციას არ ვაკეთებთ, არავის ესროლოთ,** ფოიერვერკებს არ გიყიდით, ჯარიმებს არ გადაგიხდით.

„რეზონანსი“

**დიმიტრი ხუნდაძე**
*პოლიტიკური ჯგუფის „ხალხის ძალის“ თავმჯდომარე*



**ბრძოლით მოპოვებულ თავისუფლებას ბრძოლითვე უნდა შენარჩუნება** და სწორედ ამ ბრძოლას გავდივართ დღეს **საქართველოს სრული სუვერენიტეტისთვის.**

„აიპრესი“

**ზვიად შალამბერიძე**
*პარლამენტარი*



არ შეიძლება, **პოლიტიკოსობა იყოს ინდულგენცია ვინმესთვის** და ადამიანები იდგნენ ქვეყნის კანონმდებლობასა და კონსტიტუციაზე მაღლა. **ვინც კანონს დაარღვევს, მას მოუწევს პასუხისგება.**

„იმედინიუსი“

ურთიერთობა მქონდა, სანამ ჩვეულებრივი ადამიანი იყო.

*ვანომ დაიწყო — ორ საკითხთან დაკავშირებით მინდა თქვენთან საუბარიო; უნდა იყოთ ძალიან მხნედ, ყველამ უნდა დაგინახოთ, რომ დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებთ, რაც ქუჩაში ხდება! მერე გვითხრა —* ***ეს ნაძირალები ძალიან „გაბლატავდნენ“, ორ დღეში მოინდომეს იმის წაღება, რისთვისაც ჩვენ ოთხი წელი ვიბრძოდით; მართალია, დიდი არაფერი ძალა არა აქვთ, მაგრამ პრევენციული ზომების მიღება აუცილებელია; კაცმა რომ თქვას, რაიონებიდან ბევრი ხალხი მართლაც არ ჩამოსულა, მაგრამ, ვინც ჩამოვიდა და აწი ჩამოვა, ყველას მიხედვა უნდა;*** *კონსტიტუციურს* **(კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტს, იგივე კუდ-ს. რედ.)** *უკვე დავალებული აქვს, მაგრამ თქვენც აქტიურად უნდა ჩაერთოთ ამ პროცესში (გუ-*



მიხეილ სააკაშვილი სასამართლო დარბაზის გალიაში. 2021



ვანო მერაბიშვილი სასამართლო დარბაზის გალიაში. 2013

**აშვილზე** იყო საუბარი, მაგრამ, რადგან ეს გვარი **მერაბიშვილმა** „მსახიობებისა და ეგეთი ტიპების“ კონტექსტში ახსენა, სავარაუდოა, რომ იგულისხმებოდა ცნობილი მომღერალი, აწ გარდაცვლილი **მამუკა ონაშვილი** ან ცნობილი მოდელი **ირინა ონაშვილი.**

თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ **ირინა ონაშვილი** 2009 წელს ნაცმოძრაობის ერთ-ერთ სახეზე, შიდა ქართლის გუბერნატორ **ლადო ვარძელაშვილზე** დაქორწინდა, ნაკლებად სავარაუდოა, 2007 წელს ოპოზიციის საპროტესტო აქციებზე ევლო და **ახალაიას** „მისახედი“ გამხდარიყო!

**შესაბამისად, უფრო დიდი ალბათობაა, რომ ახალაიამ მამუკა ონაშვილს „მიხედა“!**

**ახალაიასაგან** „მიხედვა“ კი რასაც ნიშნავდა, ყველამ კარგად იცის!

***ვასილ მაღლაფერიძე:***
*— აი, ასეა სხვებთანაც, ეს სასწრაფოდ გასატარებელი ღონისძიებებია, — ამბობს* ***ვანო — დანარჩენებს მერე მოვუ...ნავ დედებს!*** *მთავარია, მიტინგზე წასვლის შეეშინდეთ, ცემა არის ამის წამალი!* ***გაიგეთ, ვინ არიან მათი ნათესავები, მამა, ბიძაშვილი, ზოგზე ასე ვიმოქმედებთ, ზოგზე — ისე; ზოგი გაილახება, ზოგთან ფინანსური შევა, ზოგს — ჯიბეში ნარკოტიკი; ყოფილი პოლიციელები გამოსულან მიტინგზე, დედებს მოვუ...ნავთ! უკვე მოვნახეთ წესიერი და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პატიმრები, რომლებიც დაწერენ, როგორ აწამებდნენ ის პოლიციელები თავის დროზე; ამათ გავუნახევრებთ, იმათ შევყრით! ახლა არის გადამწყვეტი მომენტი და მთავარია სიმტკიცე!***

***ვანომ*** *სიცილით გააგრძელა — სულ წუხდა* ***ბოკერიძე*** *და დანარჩენები, გუბერნატორებს ფუნქცია და უფლებები არა გვაქვსო; აჰა, უფლებებიც გაქვთ და ფუნქციებიც, გამოიყენეთ! რა დრო დაგვიდგა,* **კაკო,** *რომ შენი დახმარება გვჭირდება! (კაკო სიტყვის მასალად თქვა, ადრესატი ყველა გუბერნატორი ვიყავით). ხვალიდანვე შეუდექით საქმეს, დაუძახეთ კონსტიტუციურს, პოლიციის უფროსებს და გააკეთეთ შტაბები; თბილისს ჩვენ მივხედავთ; ახლა მოვრჩით, სხვა საქმეები გვაქვს!*

*შეხვედრის დასასრულ* **უგულავაც** *შემოვიდა,* **ვანოს** *მაგიდასთან დაჯდა და იქიდან გვისმენდა. უკვე ვიშლებოდით, როცა* ***ნაცვლიშვილი (კახეთის გუბერნატორი. რედ.)*** *მოვიდა და იკითხა — რაზე საუბრობდითო? ახლა შენი გულისთვის თავიდან ვერ დავიწყებთ, დარჩი და მიხვ-*

# რასაკვირველია, იცოდა!

*ბერნატორებს მოგვმართავს); შეადგინეთ ყველა მიტინგზე ჩამომსვლელის სიები, შეუშვით თქვენი ხალხი მიტინგზე,* ***არცერთი ადამიანი არ უნდა წავიდეს გაულახავი,*** *არა — სახალხოდ, არამედ — სათითაოდ; მაგალითად, გურიიდან ან ზუგდიდიდან ჩამოსულ ადამიანს უკანა გზაზე გააჩერებენ, ვთქვათ, ქუთაისთან და დაუნგრევენ თირკმლებს, გენერალური პროკურორი აგერ არის და გვაძლევს ნებართვას (იცინის); მე არაფერი გამიგია, ჩუმად ვარ და რომ მორჩება ყველაფერს, მერე გეტყვით, რასაც ვფიქრობ! — ეს იყო ერთადერთი და ღიმილით წარმოთქმული რეპლიკა, რომელიც* ***ადეიშვილმა*** *ჩემი იქ ყოფნის დროს თქვა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ შიგადაშიგ ორიოდე წამოძახილს —* ***დავიჭიროთ და დედა მოვუ...ნათო! ვანო*** *აგრძელებს — მოკლედ, ყველა ისე უნდა გაილახოს, რომ დიდხანს ვერ იდგეს ფეხზე, სახეს ერიდეთ, არ არის აუცილებელი, ძირითადად — თირკმლებში, მუცელში; ვინც არ იცის, როგორ, გაიარეთ კონსულტაციები* ***ახალაიასთან!***

გესმით?

კაცის ცემა თუ არ იცით, გაკვეთილები **ახალაიასთან** გაიარეთო!

**აი, რა სტატუსითა და რა ფუნქციით ესწრებოდა მაღალი თანამდებობის პირთა საგანგებო თათბირს თანამდებობიდან ოფიციალურად გადაყენებული დათა ახალაია!**

ესწრებოდა, როგორც ადამიანების ცემის, წამებისა და დასახიჩრების სპეციალისტი!

როგორც ცივსისხლიანი ბოროტმოქმედი!

როგორც გამოცდილი და პროფესიონალი ჯალათი!

***ვასილ მაღლაფერიძე:***
*— ჩემგან მარჯვნიდან,* ***კეზერაშვილისგან*** *ან* ***ახალაიასგან (ბობოხიძე*** *და* ***კირკიტაძე*** *არ იყვნენ, მათ ხმას ვიცნობ) ისმის სიცილნარევი რეპლიკა —* ***განსაკუთრებულ შემთხვევაში, სახეშიც შეიძლება! ვანომ*** *განგრძო — განსაკუთრებულში აუცილებელიც კია, ოღონდ, განსაკუთრებულში, ასეთებიც ბევრი ვიცით (იცინის); ვინც ცოტა მოშავოა ან ეგეთი ტიპი, ჯიბეში — ნარკოტიკი და* ***ბაჩოსთან,*** *გარეთ ერთი* ***ახალაია*** *მოუვლით, შიგნით მეორე* ***ახალაია*** *დახვდებათ!* ***ვანომ*** *ამ საკუთარ ხუმრობაზე საკმაოდ იცინა და შემდეგ გააგრძელა —* ***ცემა აუცილებელია, იმიტომ, რომ მიტინგზე ნამყოფი ადამიანები რაიონებში ჩადიან და იქ იწყებენ „ბლატაობას“ და ხალხის შემოკრებას, გალახული კაცი კი საქართველოში არის „ჩმორი“ და ეგრევე კარგავს გავლენას.***

*— ეს თვითონაც კარგად იციან და ამიტომ უნდოდათ ჩხოროწყუს გამგებლის გალახვა, მაგრამ არ დავანებეთ! — წამოიძახა* ***ბოროზიამ.***

*— არ დაანებე კი არა, ისა, თუ რამის თავი გქონდა, ზუგდიდში გექნა,* ***ახალაია*** *რომ არა, მოდიოდნენ ბედნიერად იქიდან! — ჩემგან მარჯვნიდან იყო ვიღაცის რეპლიკა.* ***ბოროზიამ*** *რაღაც ჩაიბურდღუნა და გაჩუმდა.*

***ხაჩიძემ*** *ითხოვა — რაღაცის თქმა მინდაო;* ***ვანომ*** *— გისმენთო; მე ბევრი ვიფიქრე შექმნილ ვითარებაზე და, მგონი, არ იქნება ცუდი, თუ გავუშვებთ კლიპებს, სადაც მითითებული იქნება, ოპოზიციის კონკრეტული გამონათქვამები კანონის რომელ მუხლებს არღვევენ! — თქვა* ***ხაჩიძემ,*** *რომელსაც კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ* ***ვანომ*** *გააწყვეტინა — არ არის ახლა ამ სისულელეების დრო, თეორიების და ჰაერში ფრენის დრო არ არის, ლაპარაკია ამ ბოზების ბოლომდე ჩატ...ნაზე!*

*—* ***შექმნით ჯგუფებს!*** *— გუბერნატორებს გვეუბნება* ***ვანო — პირველად რომ დაბეთქავენ ვიღაცას, მერე ისეთ აზარტში შევლენ, ვერ გააჩერებთ, ეს ბევრჯერ გამოვცადეთ. ორი საქმე კეთდება — ბოზები იტ...ნებიან და ჩვენი რიგები მტკიცდება!*** *არ შეიძლება, ახლა ჩვენ ერთმანეთზე ვეჭვიანობდეთ, ასე გადავჭამთ ერთმანეთს, ამიტომ, ვინც ჩვენიანია, საქმით უნდა დაამტკიცოს! თუ ვინმე ბიზნესმენია შენიშნული ოპოზიციის დაფინანსებაში, აგერ,* ***კეზერაშვილს*** *უთხარით და მიხედავს! ეპარქიებთან იმუშავეთ, რომ ხალხს სისულელეები არ ელაპარაკონ! იმ ბიზნესმენებთან იმუშავეთ, ვინც ეპარქიებს ეხმარებიან! მიტინგზე გადახედეთ, ყველას გვყავს ნაცნობი სპორტსმენი, მსახიობი და ეგეთი ტიპები, დაურეკეთ და გადმოიბირეთ, დაარწმუნეთ, შეაშინეთ, თუ გინდათ, მოისყიდეთ,* ***ოღონდ, ფული არ მომთხოვოთ*** *(იცინის);*

*— ამაზე გამახსენდა,* ***ონაშვილზე*** *რა ქენით? — იკითხა* ***ვანომ.***

*— ჩემთან მყავდა და მივხედე, ყველაფერი წესრიგშია! — უპასუხა* ***ახალაიამ.***

**ვასილ მაღლაფერიძეს** არ დაუკონკრეტებია, რომელ **ონ-**

## „თუ ვინმე ბიზნესმენია შენიშნული ოპოზიციის დაფინანსებაში, აგერ, კეზერაშვილს უთხარით და მიხედავს!“



გაგრძელება მე-12 გვერდზე

## კვირგვინოსნები

**ანდრეა ლომბარდი**
*იტალიელი პოლიტიკური მიმომხილველი*



**იტალიელი სენატორების ჯგუფს:** თქვენ ხართ თვითგამოცხადებული სენატორები — **საქართველოს ხელისუფლება ქართველებმა აირჩიეს და ვინ ჯანდაბა ხართ, ასეთ რამეს რომ წერთ:** *„საქართველოში დემოკრატიული უკუსვლა მკვეთრად დაჩქარდა 2024 წლის 26 ოქტომბრის დარღვევებით სავსე საპარლამენტო არჩევნების შემდეგ“.* — **სიცრუეა!** *„არჩევნების დროს დაირღვა დემოკრატიული ნორმები და სტანდარტები, ასევე თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის დადგენილი ნორმები და სტანდარტები.“* — **სიცრუეა!** *„ეს არჩევნები არ აძლევს პარლამენტსა და, შესაბამისად, „პრეზიდენტს“ დემოკრატიულ ლეგიტიმაციას“.* — **სიცრუეა!** კრიმინალები არიან ისინი, ვინც ამ ყველაფერს წერენ.

„იმედინფო“

**ზაალ ანჯაფარიძე**
*ექსპერტი*



**აშშ-ში პროკურორისთვის შეფურთხება** დასჯადია, **საქართველოში კი,** მავანთა აზრით, **პოლიციელისთვის ხელის გარტყმა,** სამოქალაქო აქტივიზმია და ზოგი ელჩი აქეთ გვიდგენს, თუ რა ზომის სასჯელი ეკუთვნის პატიმარს.

„იმედინფო“

**ბორის (ბელე) ყუჩავა**
*ზურაბ ჯაფარიძის ადვოკატი*



პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსების შემდეგ, **ზურაბ ჯაფარიძის არცერთი უფლება არ დარღვეულა, მას ექცევიან, როგორც ჩვეულებრივ პატიმარს.** ტელევიზორი ჯერ არ აქვს, ესეც სტანდარტული პროცედურაა, მას შემდეგ, რაც გაუხსნიან ბარათს, შეეძლება ტელევიზორის ქონა.

„რეზონანსი“

**ლევან მახაშვილი**
*პარლამენტარი*



კანონს როცა უხეშად არღვევ და **გირაოს არ იხდი,** მზად უნდა იყო, რომ **სამართლებრივი შედეგი მიიღო.**

„რეზონანსი“




# «მიშამ იცოდა? რასაკვირველია, იცოდა!»

*დასაწყისი მე-10 გვერდზე*

*დებიო! — უთხრა **ვანომ.** წამოვედით. დარჩნენ **მერაბიშვილი, ადეიშვილი, უგულავა, კეზერაშვილი, ახალაია, გაბაშვილი, კირკიტაძე, ნაცვლიშვილი** და შეიძლება, ვინმე სხვაც.*

**ვასილ მაღლაფერიძის** განცხადებით, მის მიერ მომზადებული ერთგვარი რაპორტი, რომელშიც **ვანო მერაბიშვილის** მიერ ჩატარებული თათბირი სკრუპულოზურად იყო აღწერილი, ინგლისურ ენაზე თარგმნეს და მაშინდელი სახალხო დამცველის — **სოზარ სუბარის** მეშვეობით, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს დაურიგეს.

**ჩანაწერის გაცნობის შემდეგ უცხოელი დიპლომატები მაღლაფერიძესა და სუბართან პირად საუბრებში გაოგნებასა და შეშფოთებას ვერ მალავდნენ, თუმცა, არცერთ მათგანს ამის შესახებ საჯარო განცხადება არ გაუკეთებია.**

*ვასილ მაღლაფერიძე:*

*— ერთ-ერთ ელჩს ფურცლები რომ გავუწოდე, ხელები უკან წაიღო. ეს ჩემთვის კინოკადრი იყო. მას არ უნდოდა, რომ ეს აეღო. ჩემგან სიტყვიერად რაც მოისმინა, იმანაც კი დატანჯა.*

***თეა წულუკიანი:* — როდის იყო ეს და ვინ იყო ეს ელჩი?**

*ვასილ მაღლაფერიძე:*

*— ეს იყო, დაახლოებით, 2008 წლის თებერვალში; ან ამერიკის ელჩი იყო, ან — **პიტერ სემნები.***

მართალია, მას შემდეგ საკმაოდ დიდი დრო — თითქმის 18 წელიწადი გავიდა, მაგრამ მაინც ვფიქრობთ, რომ შეუძლებელია, **ვასილ მაღლაფერიძეს** არ ახსოვდეს, ბევრ უცხოელ დიპლომატს შორის ვინ იყო ის ერთადერთი, რომელმაც მისთვის წერილის გამორთმევა არ ისურვა და გაწვდილი ფურცლების დანახვაზე ხელები ზურგს უკან დამალა?

მით უფრო მაშინ, როცა **მაღლაფერიძე** ამბობს — **ეს ჩემთვის კინოკადრს ჰგავდაო,** ძნელად წარმოსადგენია, იმ კინოკადრის მთავარი და ერთადერთი პერსონაჟის ვინაობა არ აგონდებოდეს.

ასეა თუ ისე, **მაღლაფერიძის** მიერ ნახსენები **პიტერ სემნები** მაშინ სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი იყო, ხოლო საქართველოში აშშ-ის ელჩი **ჯონ ტეფტი** ბრძანდებოდა.

არც ის არის გასაკვირი, რომ აშშ-ისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩებმა **ვასილ მაღლაფერიძისა და სოზარ სუბარის** მიერ მიწოდებულ სკანდალურ ინფორმაციაზე, რომელიც ნაცმოძრაობის ხელისუფლების უბოროტეს და უბინძურეს ბუნებას აშიშვლებდა, საჯარო რეაგირება არ მოახდინეს და განგაში არ ატეხეს!

ბუნებრივია, ისინი **სააკაშვილის** ტყავს არ დახევდნენ, **რადგან სააკაშვილი მათი „ძაღლიშვილი“ იყო!**

**ვასილ მაღლაფერიძის** მონათხრობის მიხედვით, შინაგან საქმეთა მინისტრ **ვანო მერაბიშვილის** კაბინეტში ჩატარებულ საგანგებო თათბირს, სადაც 2007 წლის ნოემბრის აქციების ძალადობრივი ჩახშობა და თითოეული მომიტინგის მიმართ სასტიკი ფიზიკური ანგარიშსწორება დაიგეგმა, პრეზიდენტი **სააკაშვილი** არ ესწრებოდა!

თუმცა, ჩნდება ლეგიტიმური და ყველაზე მთავარი კითხვა — **შინაგან საქმეთა მინისტრმა ასეთი თათბირი პრეზიდენტთან შეუთანხმებლად ჩაატარა? ან მერაბიშვილმა სააკაშვილს თათბირის დასრულების შემდეგ მაინც არ მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა გადაწყდა და დაიგეგმა თათბირზე?**

*ვასილ მაღლაფერიძე:*

*— მეკითხებიან ხოლმე — მიშამ იცოდა? რასაკვირველია, იცოდა!*

***თეა წულუკიანი:* — ბატონო ვასილ, მინდა გთხოვოთ, რომ თქვენი ეს ჩანაწერი, თქვენივე თვალით ნანახი და ყურით მოსმენილი ვანო მერაბიშვილთან თათბირზე, იქნებ, ჩაგვაბაროთ. ჩვენ ამას ოფიციალურ ცნობად მივიღებთ და დასკვნის შედგენისას გამოვიყენებთ!**

## ბოლოთქმა

ასე და ამრიგად, **ვასილ მაღლაფერიძის** მიერ 18 წლის წინათ გაკეთებული, ფაქტობრივად, სტენოგრაფიული ჩანაწერი, რომელიც 2007 წლის 4 ნოემბერს **ვანო მერაბიშვილის კაბინეტში** თითქმის მთელი სახელისუფლო ვერტიკალის მონაწილეობით შემდგარ თათბირსა და ქართველი ხალხის წინააღმდეგ სასტიკი დანაშაულის ორგანიზებას ეხება, პარლამენტის საგამოძიებო კომისიის საბოლოო დასკვნას ოფიციალურ მტკიცებულებად დაერთვება.

მართლაც უნდა აღინიშნოს, რომ **ვასილ მაღლაფერიძის ინფორმაცია და, მეტადრე, მისი მემუარული ხასიათის წერილი მნიშვნელოვანი და ღირებულია არამხოლოდ ერთი კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში, რომელიც 2007 წლის 7 ნოემბრის მშვიდობიანი აქციის დარბევას ეხება, არამედ უფრო ფართო და ზოგადი სურათისათვის, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის ანტიდემოკრატიულ და ანტიადამიანურ სახეს ააშკარავებს.**


ვასილ მაღლაფერიძე და ზურაბ ჟვანია. 2003

**ზურაბ ჟვანიას სიკვდილის საქმეზე ვასილ მაღლაფერიძის გამოკითხვა პარლამენტის საგამოძიებო კომისიისათვის საინტერესო უნდა იყოს, თუ, რა თქმა უნდა, კომისია ამ საქმის განხილვას საერთოდ აპირებს!**

თუმცა, ვფიქრობთ, **ვასილ მაღლაფერიძეს პარლამენტის საგამოძიებო კომისიისათვის მნიშვნელოვანი** და ღირებული ინფორმაციის მიწოდება სხვა, კიდევ უფრო რეზონანსულ საქმეზეც შეუძლია.

**მხედველობაში გვაქვს საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას მეტად საეჭვო ვითარებაში დაღუპვის საქმე, რომელიც დღემდე ბურუსით არის მოცული და უპასუხო კითხვების უძირო სკივრს წარმოადგენს.**

შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ **ვასილ მაღლაფერიძეს,** რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებაში ე.წ. **ჟვანიას ფრთას** წარმოადგენდა და მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორად სწორედ მისი სიკვდილის შემდეგ დანიშნეს, **პარლამენტის საგამოძიებო კომისიისათვის ბევრი რამ უნდა ჰქონდეს სათქმელი საბურთალოს ქუჩაზე მდებარე კონსპირაციულ ბინაში პრემიერ-მინისტრის „გაზით გაგუდვის“ შესახებ.**

მითუმეტეს, რომ **ჟვანიას** საქმის ერთ-ერთი მთავარი მოწმის, ქალბატონი **ნათელა მოდებაძის** განცხადებით, **ბინა, სადაც ზურაბ ჟვანიასა და რაულ უსუპოვის ცხედრები იქნა აღმოჩენილი, მოქალაქე ეკა კიკიანისაგან სწორედ ვასილ მაღლაფერიძემ იქირავა.**

ამდენად, **ზურაბ ჟვანიას** სიკვდილის საქმეზე **ვასილ მაღლაფერიძის** გამოკითხვა პარლამენტის საგამოძიებო კომისიისათვის საინტერესო უნდა იყოს, თუ, რა თქმა უნდა, კომისია ამ საქმის განხილვას საერთოდ აპირებს!

არადა, თუ პარლამენტის საგამოძიებო კომისია საქართველოს პრემიერ-მინისტრ **ზურაბ ჟვანიას** სიკვდილის საქმეს გვერდს აუვლის, სააკაშვილის რეჟიმის მიერ 2003-2012 წლებში ჩადენილ დანაშაულთა გამოძიება და საბოლოო დასკვნა, რომელიც **თეა წულუკიანმა** და მისმა კოლეგებმა უნდა დადონ, სრულყოფილად ვერ ჩაითვლება!

აკი, პარლამენტის საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე თეა წულუკიანი ჯერ კიდევ 11 წლის წინათ, 2014 წლის მარტში, იუსტიციის მინისტრის თანამდებობაზე ყოფნისას აცხადებდა:

***„ზურაბ ჟვანიას საქმეზე დამდგარია სიკვდილის ფაქტი. აქედან გამომდინარე, საქართველოს აქვს არა მხოლოდ შიდა კანონმდებლობით, არამედ საერთაშორისო ვალდებულება, რომ რაც შეიძლება მალე ჩატარდეს ეფექტური, მიუკერძოებელი, სამართლიანი და ყოვლისმომცველი გამოძიება ერთადერთი მიზნით — დადგინდეს დამნაშავე და მიესაჯოს დამოუკიდებელი სასამართლოს ადეკვატური სასჯელი. ეს ყველაფერი არის ჩვენი საერთაშორისო ვალდებულება და ეს ვალდებულება უნდა შესრულდეს“.***

ეს ვალდებულება დღემდე **არ შესრულებულა!**

ეს ვალდებულება აუცილებლად **უნდა შესრულდეს!**

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**კონსტანტინე გამსახურდია**
*ზვიად გამსახურდიას უფროსი ვაჟი*



გარკვეული კატეგორიის ადამიანებისთვის **ზვიადი** თითქოს მიუღებელი იყო. **ეჩვენებოდათ ცივად — მისი შიში ჰქონდათ, მისი არ ესმოდათ. მერაბი** თითქოს ამ ადამიანებს უთარგმნიდა **ზვიადის** სათქმელს, **მათთან ახლოს მიჰქონდა, მათთვის გასაგებ ენაზე ესაუბრებოდა.** მერაბი ზვიად გამსახურდიასთვის **აუნაზღაურებელი დანაკლისი** იყო.

როცა **მერაბი** აღარ იყო, ბუნებრივია, გარკვეული ძალები გააქტიურდებოდნენ და შეუტევდნენ **ზვიად გამსახურდიას. ბორითის ცოდვიანი მოსახვევიდან,** ფაქტობრივად, უკვე ჩანს **ჯიხაშკარი-ხიბულის ასევე ცოდვიანი და ღალატიანი გზა.**

„სარკე“

**თინათინ მღვდლიაშვილი**
*პოეტი*



1989 წლის 25 თებერვლის ღამეა, **ლიდერები დაპატიმრებულები არიან, უნივერსიტეტის ბაღი სავსეა დარდიანი, ფიქრიანი ხალხით.** ჩანთაში მიდევს ლექსი **„დავით მეფე“,** რომელიც 8 თებერვალს დავწერე. გაჭირვებით ავდივარ კიბეზე და ვამბობ, რომ **ლექსი მინდა, წავიკითხო.** ვიწყებ, სრული სიჩუმეა, შემდეგ **წარმოუდგენელი ოვაცია, დაუსრულებელი ტაში.** ეს იყო დაუვიწყარი წუთები! **იქ, უნივერსიტეტის კიბეებზე დავიბადე, როგორც თავისუფლების პოეტი.** თურმე, ბატონი **ზვიადი და მერაბიც** მოსულან. შემდეგ მითხრეს **ბატონი ზვიადის** სიტყვები: **„დაიმახსოვრეთ ეს სახელი და გვარი — თინათინ მღვდლიაშვილი, ქართული პოეზიის მომავალი დედოფალი“.**

„სარკე“

**პეტრე მამრაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



ამერიკელ კოლეგებთან კონტაქტები არ მაკლია და **იქ არის სრული ქაოსი.** სტრუქტურებში **იმ დონის არეულობაა,** როგორც კარგა ხანია, არ ყოფილა არც აშშ-ში და არცერთ დემოკრატიულ ქვეყანაში.

„რეზონანსი“

**სოსო მანჯავიძე**
*ანალიტიკოსი*



საქართველოში, ამ უძველეს ქრისტიანულ ქვეყანაში, **ექვსი გათხოვილი მამაკაცი გამოგვიგზავნეს** რევოლუციის მოსაწყობად.

„თბილისელები“

# რა მოხდებოდა, ვასილ მაღლაფერიძე ჟვანიას საქმეზე რომ გამოეკითხათ?

***გასულ კვირას საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ ვასილ მაღლაფერიძემ პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის წინაშე ისაუბრა ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების დროს ე. წ. სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის შექმნის საკითხებზე და 2007 წლის 7 ნოემბრის აქციის დარბევის წინ ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელთა შეხვედრაზე გუბერნატორებთან. შეგახსენებთ, რომ ვასილ მაღლაფერიძე 2005-2008 წლებში იკავებდა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულის თანამდებობას. საზოგადოების მოლოდინი, რომ ყოფილი გუბერნატორი საპარლამენტო კომისიის წინაშე პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას საქმის გამოძიების საკითხსაც გააჟღერებდა, არ გამართლდა.***

## ვფიქრობთ, გელა გელაძეს საკმარისი ინფორმაცია აქვს, რა მოხდა ამ 20 წლის წინათ, 2005 წლის 3 თებერვალს, საბურთალოს ქუჩის №53 ა-ში...







2012 წლის ოქტომბერში, როდესაც ქვეყნის სათავეში „ქართული ოცნება“ მოვიდა და **ზურაბ ჟვანიას საქმის** გამოძიება თითქოს განახლდა კიდეც, მაშინდელმა მთავარმა პროკურორმა **არჩილ კბილაშვილმა** განაცხადა: **ყველა ადამიანი დაკითხულია, მათ შორის, ნათელა მოდებაძე. ზურაბ ჟვანიას ცხედრის ექსჰუმაციის თარიღი გარკვეული არ არის. ეს საქმე გაიხსნება და ყველა მალე გაიგებს სიმართლეს.**

**არჩილ კბილაშვილს** ეს საქმე ბოლომდე არ მიუყვანია, 2013 წლიდან ის უკვე აღარ იყო თანამდებობაზე, ხოლო **ნათელა მოდებაძე,** რომელიც აცხადებდა, რომ უნებლიეთ შეესწრო **ჟვანიასა და უსუპოვის გვამების შეტანას მაშინდელი საბურთალოს ქუჩის №53ა-ში,** დღემდე ემიგრაციაშია. გარდაცვლილია ჟვანიას საქმის ოთხი ექსპერტი: **ლევან ჩაჩუა, ლევან სამხარაული, ზაზა ოქრუაშვილი და მამუკა ჩხაიძე,** ხოლო ბოლო პროცესი ჟვანიას საქმეზე 2015 წლის თებერვალში დასრულდა, როდესაც ბრალდებულ ყოფილ მთავარ პროკურორს **მამუკა გვარამიასა** და ყოფილ გამომძიებელს **როსტომ ლაზარიას** 3-3 ათასი ლარის გირაო შეეფარდათ და სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდნენ. **მას შემდეგ 10 წელი გავიდა.**

ვინაიდან **ვასილ მაღლაფერიძე** პოლიტიკაში **ჟვანიამ** შემოიყვანა და მის მეგობრად ითვლებოდა, იმედოვნებდნენ, რომ, როცა ამ პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის წინაშე წარდგებოდა, 20 წლის შემდეგ მაინც მოითხოვდა ჟვანიას საქმის ბოლომდე მიყვანას. მაგრამ ასე არ მოხდა. **ვასილ მაღლაფერიძემ ისაუბრა 2007 წლის 7 ნოემბრის აქციის დარბევამდე შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართულ მაშინდელი მინისტრებისა და გუბერნატორების თათბირზე და სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის შექმნაზე.** იგი იმ თათბირზე მცხეთა-მთიანეთის რეგიონის გუბერნატორის სტატუსით იმყოფებოდა. როგორც თავად აცხადებდა, გუბერნატორად მისი დანიშვნის საკითხი ჯერ კიდევ **ზურაბ ჟვანიას** სიცოცხლეში იყო გადაწყვეტილი და დაინიშნა მისი სიკვდილის შემდეგ. **როგორც ჩანს, მაღლაფერიძე ეთანხმებოდა პრემიერის გარდაცვალების ოფიციალურ დასკვნას გაზით გაგუდვის თაობაზე, ამიტომ ჟვანიას საქმის გამოძიებაზე კითხვები არ გასჩენია, თანამდებობა დატოვა 2007 წლის 7 ნოემბრის აქციის დარბევის შემდეგ, როცა ჟვანია უკვე 2 წლის მკვდარი იყო.**

**ვასილ მაღლაფერიძე ჟვანიას საქმესთან** მაშინ დააკავშირეს, როდესაც მასთან ერთად გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვლილ **რაულ უსუპოვზე** თქვა, **ერთი კვირის განმავლობაში მირეკავდა და ჟვანიასთან შეხვედრის ორგანიზებას მთხოვდაო.** ამაზე **რაულ უსუპოვის** მამამ **იაშარ უსუპოვმა** უპასუხა: **ჟვანიას სანახავად ჩემს შვილს მაღლაფერიძის შუამდგომლობა არ სჭირდებოდა. ალბათ, მაგან რაღაც იცის და თქვასო!**

**ეკა კიკიანის** ბინის გაქირავების ისტორიაც, სადაც **ჟვანიასა და უსუპოვის გვამები** იქნა აღმოჩენილი, **ვასილ მაღლაფერიძის** სახელს დაუკავშირდა. კერძოდ, **ნათელა მოდებაძის** ინფორმაციით, რომლის მეგობარსაც **კიკიანმა** ბინა არ მიაქირავა, განაცხადა: **მეტი სარგებლის მიღების მიზნით, კიკიანმა ეს ბინა ვასილ მაღლაფერიძეს მიაქირავაო.** ამ ქალბატონს ამ ბინის ეზოში **ვასილ მაღლაფერიძე** ორჯერ დაუნახავს. ეს უკანასკნელი თავიდან აცხადებდა — **ახლაც არ ვიცი, ეს ბინა სად არისო,** მაგრამ მერე გაიხსენა, რომ **ამ ბინის პატრონი ეკა კიკიანი ერთხელ სახლამდეც კი მიუყვანია. ნათელა მოდებაძისვე** განმარტებით, ამ ბინის გასაღები **მაღლაფერიძეს** ჰქონდა და სწორედ მას შეეძლო კარის გახსნა 2005 წლის 3 თებერვალს, როდესაც **პრემიერისა და რაულ უსუპოვის გვამები** საბურთალოს ქუჩაზე მიიტანეს.

**ეკა კიკიანის** ინფორმაციით, თავისი ბინა მან **ჟვანიას დაცვის წევრს მიხეილ ძაძამიას** მიაქირავა, ხოლო **ვასილ მაღლაფერიძე** მაშინ გაიცნო, როდესაც პეკინის გამზირზე არსებულ **„ბურჯანაძე — დემოკრატების“ ოფისის** კედელში წყლის მილი გასკდა და **კიკიანის** დედის ბინა დაზიანდა — კედლის შესაკეთებლად მუშები **ვასილ მაღლაფერიძეს** გაუგზავნია. მას შემდეგ ისინი დაახლოებულან და ერთხელ მაღაზიაშიც ერთად შესულან. **კიკიანი** ასკვნიდა — **ალბათ, მაღაზიის გამყიდველმა ერთად რომ დაგვინახა, ეგონა, ვასიკოს ვთხოვე სახლის გაქირავება ან მას მივაქირავეო.** თვითონ **მაღლაფერიძე** კი განმარტავდა — ეს გოგონა **ცესკოში** მუშაობდა და მარტო მე კი არა, ნახევარი პარლამენტი იცნობდაო.

გაურკვეველ ვითარებაში პრემიერის გარდაცვალების შემდეგ **ვასილ მაღლაფერიძის** გუბერნატორად დანიშვნაც საეჭვოდ ჩაითვალა და მისი ეს დაწინაურება **ჟვანიას დაცვის უფროსის კობა ხარშილაძის** ძველი თბილისის გამგებლად დანიშვნასა და შემდეგ მისთვის ბიზნესის გახსნას შეადარეს. **ამბობდნენ, რომ ეს დაწინაურება მოხდა მათი მხრიდან დუმილის სანაცვლოდ.** ერთ-ერთი საეკლესიო პირისა და იმავე **ნათელა მოდებაძის** ინფორმაციით, 2005 წლის 2 თებერვალს, საეჭვო ვითარებაში გარდაცვალებამდე რამდენიმე საათით ადრე, დედის სახლში (შარტავას გამზირზე) მისულ პრემიერ-მინისტრს **ვასილ მაღლაფერიძემ** დაურეკა და გარეთ გაიყვანა. ამ ამბავთან დაკავშირებით, ჩვენი მხრივ, ვიტყვით, რომ **2014 წელს სასამართლო პროცესზე ჟვანიას დედამ რემა ჟვანიამ განაცხადა, რომ იმ ღამით მის შვილს ზურაბ ადეიშვილმა დაურეკა და ის ამ ზარის შემდეგ გავიდა სახლიდან.**

ზემოხსენებ ბრალდებებზე **ვასილ მაღლაფერიძეს** ერთი ახსნა აქვს — **ამ ამბების გავრცელება თვითონ ნაციონალურ მოძრაობას აწყობდა, რათა ძიება სხვა მიმართულებით წასულიყოო.** ამ საქმეზე მას **ვანო მერაბიშვილთანაც** კი ულაპარაკია, რომელსაც ეს ამბავი სასაცილო თემად ჩაუთვლია.

**ვასილ მაღლაფერიძე აქამდე დაკითხული არ არის, ჟვანიას საქმეც თაროზეა შემოდებული.** ჟვანიას ოჯახის წევრები — მეუღლე **ნინო ქადაგიძე** და ძმა **გოგლა ჟვანია** ამ რამდენიმე თვის წინათ ოპოზიციის საპროტესტო აქციაშიც მონაწილეობდნენ. ბევრმა საყვედური თქვა — **ზურას მეუღლე და ძმა მკვლელების გვერდით როგორ დადგნენო?** მაგრამ იქნებ მათი პროტესტი სწორედ იმით იყო გამოწვეული, რომ მას შემდეგ, რაც 2012 წლის 27 ნოემბერს **გოგლა ჟვანიამ** ძმის გარდაცვალების საქმის მასალები პროკურატურაში მიიტანა, ბოლომდე არ გამოუძიებიათ და დღემდე გაურკვეველი დროითაა გადადებული. **დაპირების მიუხედავად, არც გვამის ექსჰუმაცია ჩაუტარებიათ და არც განუმარტავთ, ამ რამდენიმე წლის წინათ, როცა პროკურორი მაია მჭარიაშვილი და ჟვანიას საქმის გამომძიებელი შვეიცარიაში ჩავიდნენ, რათა ექსპერტიზასთან დაკავშირებული საკითხები მოეგვარებინათ, უკან რატომ დააბრუნეს?!**

## ბოლოთქმა

*გასულ კვირას შინაგან საქმეთა მინისტრად **გელა გელაძე** დაინიშნა, რომელიც პრემიერ-მინისტრის გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვალების დროს, 2005 წელს, იყო **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს გამომძიებელი, შემდეგ — თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს ზედამხედველი, ხოლო 2005-2006 წლებში — საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის განყოფილების უფროსის მოადგილე.** ვფიქრობთ, **გელა გელაძეს** საკმარისი ინფორმაცია აქვს, რა მოხდა ამ 20 წლის წინათ, 2005 წლის 3 თებერვალს, საბურთალოს ქუჩის №53 ა-ში და ჟვანიას საქმის გამოძიებას ახალ ეტაპზე გადაიყვანს. **მართალია, ეკა კიკიანი იმ ბინაში აღარ ცხოვრობს, მაგრამ ის სავარძლები, სადაც ჟვანია და უსუპოვი ისხდნენ, დედის აგარაკზე აქვს ატანილი, ხოლო მაგიდა — მამასთან, მუხათწყაროში.***

**ქეთევან ხამიცაშვილი**

## კვირგვინოსნები

**დონალდ ტრამპი**
*აშშ-ის პრეზიდენტი*



სამომავლოდ ველოდები **აშშ-საქართველოს შორის ეკონომიკური კავშირების გაღრმავებას** სამართლიანი ვაჭრობის მხარდაჭერისა და ორმხრივი თანამშრომლობის არეალის გაფართოების გზით.

ჩემი ადმინისტრაცია ერთგულია, **განამტკიცოს საქართველოს მთავრობასთან მშვიდობიანი და ნაყოფიერი ურთიერთობები.**

„პირველი არხი“

**ლევან ნიკოლეიშვილი**
*„ერთიანი ნაციონალური საქართველოს“ წევრი*



არა მგონია, **პრეზიდენტი ტრამპი** მორიდებული იყოს თავისი აზრების გამოთქმაში ან ვინმეს ეიძულებინა — **მიხეილ ყაველაშვილს მიულოცეო!** ახლა ვინ არის არალეგიტიმური — საქართველოს ხელისუფლება თუ **თქვენი გაფარჩაკებული რადიკალური „ვილსონური“ ლიდერები** და მათი იდეები?

„რეპორტიორი“

**გუგა სულთანიშვილი**
*ფილოსოფოსი*



**ტრამპის** წერილი ნათლად აჩვენებს, **თუ რა საცოდავია ოპოზიცია** — ასეა, როდესაც შენს ქვეყანაში **უცხო ქვეყნის აგენტი ხარ,** ერთი წერილით შეიძლება, მოკვდე პოლიტიკურად.

„რეპორტიორი“

**ვალერი ქოჩიაშვილი:**

# გერმანიის ელჩის შეგინების გამო 500-ლარიანი ჯარიმის გადახდას არ ვაპირებ!

*თბილისელმა ბიზნესმენმა* ***ვალერი ქოჩიაშვილმა*** ***ბათუმში, რესტორან „რუმსში“, რომელიც ნაცსექტანტების ბუნაგი აღმოჩნდა, სოციალურ ქსელ „ტიკ-ტოკის“ მეშვეობით, გერმანიის ელჩი პეტერ ფიშერი ამხილა, რასაც ნაცებსა და მას შორის გაწევ-გამოწევა მოჰყვა. ინციდენტის დროს ქოჩიაშვილმა გერმანიის ელჩს კარგა გვარიანად შეუკურთხა, რის გამოც გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოს საგარეო უწყებას საპროტესტო ნოტა გამოუგზავნა და მისი დაპატიმრება მოითხოვა. ჩვენი დღევანდელი თანამოსაუბრე არამკითხე დიპლომატს ელჩის მოვალეობას შეახსენებს და აცხადებს, რომ სისხლისღვრის პროვოცირება და სახელმწიფო გადატრიალების მხარდაჭერა დაუშვებელია:***



**„თქვენნაირი ელჩი საქართველოს არ სჭირდება, თქვენ ხართ გერმანელი ერის სირცხვილი და უნდა წაეთრეთ საქართველოდან!“**



**«გერმანიის ელჩო, თქვენ დაკავებული ხართ საქართველოში დესტაბილიზაციისა და სისხლისღვრის გამოწვევით!“**

— 18 მაისს ბათუმის სანაპიროზე ცნობილი „თევზის რესტორნიდან“ რომ გამოვედი, დავინახე გერმანიის ელჩი **პეტერ ფიშერი,** რომელიც მაშინვე ვიცანი. სამწუხაროდ, ეს პიროვნება საქართველოში მოქმედებს საგანგებო დავალებით, რასაც შედეგად უნდა მოჰყვეს დღევანდელი ხელისუფლების დამხობა და ქვეყნის სათავეში ლგბტ სოდომისტებისა და მათი მფარველების მოყვანა! იმ დღესაც ელჩი **მზია ამაღლობელის** სასამართლო პროცესზე იყო ჩამოსული, რათა ზეწოლა მოეხდინა მოსამართლეზე და ჩემთვის ჩავილაპარაკე — **რა უნდა აქ ამ უნამუსო კაცს, ეს ელჩი კი არა, აგენტია-მეთქი!**

**— ეს სიტყვები ფიშერის მისამართით რა სიტუაციაში თქვით?**

— ბათუმში ველოსიპედით დავდივარ და იმ დღესაც ველოსიპედით ვიყავი რესტორანში მისული. დაახლოებით 15 მეტრი მაინც მაშორებდა **პეტერ ფიშერს,** როცა ეს ჩავილაპარაკე. გერმანიის ელჩს ჩემი ნათქვამისთვის საერთოდ არ მიუქცევია ყურადღება, მაგრამ ის ქართველი აგენტები, დაახლოებით ათი კაცი, რომლებიც მას ახლდნენ, გამომელაპარაკნენ. სწორედ მაგათ ვუთხარი — თუ ლაპარაკი გინდათ, მაგ ელჩს მიხედეთ-მეთქი. დავჯექი ველოსიპედზე და წამოვედი. ჩემი მეუღლე და სიდედრი ბათუმის სადგურთან თემურ უგულავას რესტორანი „რუმსი“ რომ არის, იქ იყვნენ მანქანით მისული და მეც იქ მივედი ველოსიპედით. შევუკვეთეთ ყავა და ნამცხვარი... ვიდრე შეკვეთას მოგვიტანდნენ, ამოვიღე ტელეფონი და დავიწყე „ტიკ-ტოკზე“ მიმართვის ჩაწერა — **აი, „რუმსში“ პირველად ვარ და სანამ აქ მოვიდოდი, გერმანიის ელჩს შევხვდი შემთხვევით და ჩემი სათქმელი ვუთხარი-მეთქი!** ჩემი ჩანაწერი ნახეს თუ რა იყო, არ ვიცი, ვიღაც თეთრხალათიანი ოფიციანტი თუ მზარეული მოვიდა და დამიწყო აგრესიულად ლაპარაკი — **აქ გადაღება და ჩანაწერის გაკეთება არ შეიძლებაო!** — თქვენ ვინ გკითხავთ, მე რესტორანში რას გადავიღებ და რას ვიტყვი-მეთქი? — ვუპასუხე.

**— თქვენ მხოლოდ საკუთარ თავს უღებდით ვიდეოს და ჩანაწერს აკეთებდით „ტიკ-ტოკისთვის“ თუ სხვა პირებსაც აფიქსირებდით?**

— არა, ბატონო, სხვებისთვის არ გადამიღია, მხოლოდ ჩემს თავს ვუღებდი! ამის შემდეგ მოვიდნენ დაცვის თანამშრომლები, რომლებთანაც მოხდა შელაპარაკება...

**— ხელით შეგეხნენ?**

— არა, ხელით ვერც შემეხებოდნენ, მაგრამ დაცვის თანამშრომელმა შეურაცხყოფა მოგვაყენა — გადით აქედანო! ამის გამო მოხდა გაწევ-გამოწევა... ამასობაში ჩემი მეგობრებიც მოვიდნენ...

**— კი მაგრამ, რა უნდოდათ, რას გერჩოდნენ?**

— მე არ ვიცოდი და, თურმე, ბათუმში თემურ უგულავას „რუმსი“ ნაცების ბუნაგი ყოფილა და იმიტომაც იყვნენ ასე გაღიზიანებული. ჩემი მეგობრები რომ მოვიდნენ, მერე შეცვალეს ლაპარაკი და ჩვენს დამშვიდებასა და მობოდიშებაზე გადავიდნენ, თორემ მანამდე ძალიან აგრესიულად იქცეოდნენ. ბოლოს აქეთ დაგვიწყეს ფერება და იმასაც კი გვეუბნებოდნენ — თანხის გადახდა საჭირო არ არისო!

**— თქვენი მეუღლე და სიდედრი ამ ყველაფერს შეესწრნენ?**

— კი, ქალბატონებიც იქ იყვნენ! „რუმსში“ ჩანაწერი რომ არ გამეკეთებინა და ნაცებს მწყობრიდან არ გამოვეყვანე, საერთოდ, კაციშვილი ვერ გაიგებდა, რა მოხდა ჩემსა და გერმანიის ელჩს შორის, მაგრამ როცა ამანერვიულეს, მას მერე ვაგინე **პეტერ ფიშერს!**

**— ანუ გერმანიის ელჩისთვის პირისპირ შეხვედრისას არ გიგინებიათ?**

— არა, „რუმსში“ რომ მივედი და „ტიკ-ტოკზე“ ჩანაწერის გაკეთება დავიწყე, მაშინ გამომიყვანეს ნაცებმა მწყობრიდან და სწორედ იქ ვაგინე გერმანიის ელჩს, თორემ „თევზის რესტორანთან“, სადაც პეტერ ფიშერს შემთხვევით გადავეყარე, მსგავსი არაფერი მომხდარა!

**— მაინც როგორ აგინეთ გერმანიის ელჩს?**

— აი, ეს ვთქვი: **გერმანიის ელჩის დედაც... ეს არაკაცი და ქვეყნის მოღალატე პეტერ ფიშერი — საქართველოში დასმული აგენტი, ქვეყნის დესტაბილიზაციით არის დაკავებული და თავის მოვალეობას არ ასრულებს-მეთქი!** ამის შემდეგ ნაცების ტელევიზიებმა „ფორმულამ“ და „პირველმა“ „რუმსში“ ჩემ მიერ გადაღებული კადრები სათავისოდ გააფორმეს და ატეხეს აყიოტაჟი!

**— თქვენ შეგიძლიათ, „ასავალ-დასავალის“ საშუალებით მიმართოთ გერმანიის ელჩს პეტერ ფიშერს!**

— პეტერ ფიშერს იმას ვეტყვი, რომ ელჩის მოვალეობაა სახელმწიფოებსა და ხალხებს შორის მეგობრობისა და სიყვარულის დათესვა და არა სისხლისღვრის პროვოცირება და სახელმწიფო გადატრიალების მხარდაჭერა!

**გერმანიის ბატონო ელჩო, თქვენ დაკავებული ხართ არა ქართველი და გერმანელი ხალხის დაახლოებით, არამედ, საქართველოში დესტაბილიზაციისა და სისხლისღვრის გამოწვევით!** თქვენნაირი ელჩი საქართველოს არ სჭირდება, თქვენ ხართ გერმანელი ერის სირცხვილი და **უნდა წაეთრეთ საქართველოდან!**

პარალელურად, მოვუწოდებ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და ჩვენს ძალოვან უწყებებს, დეტალურად შეისწავლონ და გამოიკვლიონ **პეტერ ფიშერის** მოღვაწეობა საქართველოში და **აქედან გააძევონ ეგ ნაძირალა, რომელიც ქვეყანაში მტრობისა და დაპირისპირების გაღვივების მეტს არაფერს აკეთებს!**

**— მომხდარი ინციდენტის გამო, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა გამოუგზავნა და თქვენს დაპატიმრებას ითხოვს!**

— 2025 წლის 18 მაისს მომხდარი ინციდენტის გამო 23 მაისს მომივიდა ე.წ. მესიჯი, რომლის თანახმადაც, 166-ე მუხლის პირველი ნაწილით, 61 წლის კაცი „წვრილმანი ხულიგნობისთვის“ 500 ლარით დამაჯარიმეს; 2025 წლის 24 მაისს ბათუმის პოლიციაში გამოკითხვაზეც ვიყავი... პარალელურად, 2025 წლის 10 ივნისს ჩანიშნულია სასამართლო პროცესი.

**— პეტერ ფიშერი გიჩივით?**

— დიახ, მიჩივის! **რაც „რუმსში“ მოხდა, ის აქვს თითზე დახვეული და მიჩივის!**

**— რას აპირებთ?**

— **პოლიციელებსაც ვუთხარი და „ასავალ-დასავალსაც“ ვუმეორებ** — არაფრის დამთმობი არ ვარ და გერმანიის ელჩისთვის შეგინების გამო 500-ლარიანი ჯარიმის გადახდას არ ვაპირებ, რადგან **პეტერ ფიშერი არის სამარცხვინო კაცი და ჩემი სამშობლოს მტერი!** წარმოიდგინეთ, გერმანიაში რომ ჩავიდე და პოლიციელს სახეში სილა გავაწნა, დაჭერას არ მაკმარებენ და გამაციმბირებენ! ანუ, **რაც გერმანიაში მკაცრად ისჯება, საქართველოში გერმანიის ელჩი იმას ამართლებს!** ფიშერისა და მისთანა აგენტების მიზანი ერთია — როგორმე საქართველო უკრაინის უბედურებაში ჩაითრიონ და მოაწყონ საშინელება. სწორედ **პეტერ ფიშერი და მისნაირი ელჩები** აფინანსებენ იმ სამარცხვინო ლგბტ აქციებს, რომელიც რუსთაველზე თვეებია, გრძელდება. **აი, ამიტომაც არის გასაძევებელი გერმანიის ელჩი საქართველოდან!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**ნინო სუხიშვილი**
*ანსამბლ „სუხიშვილების“ ხელმძღვანელი*



**ჩვენ ვართ ქრისტიანული ქვეყანა ოდითგანვე,** დიდება უფალს, **ჩემი დასი ემიჯნება** ყველა სიტყვას, რომელიც გაჟღერდა და რომელიც იყო მკრეხელური ჩვენი გაგებით. **ჩვენი დევიზი ყოველთვის იყო ენა, მამული, სარწმუნოება. დიდება უფალს, დიდება საქართველოს!**

„ახალი თაობა“

**დავით ჩიხელიძე**
*ექსპერტი*



Tbilisi Open Air-ზე მომხდარი ინციდენტი სხვა არაფერია, თუ არა მავნებლობა. **ეს არის ქვეყნის მტრობა პატრიოტიზმის სახელით!** სადამდე დავეცით, **საჯარო სივრცეში მოშარდვა ალტაცების ობიექტი გახდა.** ვიღაცისთვის შესაძლოა, ეს პატრიოტიზმის უმაღლესი გამოვლინება იყოს, მაგრამ პირდაპირ ვიტყვი, **იდიოტი და ჭკუასუსტია ის, ვისთვისაც დროშის მსგავსი ფორმით შეურაცხყოფა გმირობა ან პატრიოტიზმია.** თუ ომი გსურთ და ასეთი მაგარი ტიპები ხართ, **შეგიძლიათ, უკრაინაში წახვიდეთ და იქ იომოთ!**

„იმედინიუსი“

**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*



გარკვეული ელჩების მხრიდან **გაუგონარ თავხედობას წერტილი უნდა დაესვას,** ყველაფერს ზღვარი აქვს.

„პირველი არხი“

**ბიბი კვაჭაძე**
*მუსიკოსი*



ევროპა გინდათ და **განსხვავებული პოზიციისადმი ტოლერანტული მიდგომა** ვერა და ვერ ისწავლეთ.

„ახალი თაობა“

**კახა კინწურაშვილი**
*მსახიობი*



თუ **თანამგრძნობი არ ხართ კოლეგების მიმართ,** როგორ შეიძლება იყო **თანამგრძნობი ქვეყნის მიმართ?**

„ახალი თაობა“

# გენერალისიმუსი

№22 (318) ★ 2025 წლის 2 ივნისი ★ გამოდის 2003 წლიდან


***26 მაისს Tbilisi Open Air Festival-ზე მომღერლად გამოცხადებულმა ერეკლე გეწაძემ ამაზრზენი საქციელი ჩაიდინა — ათასობით ადამიანის თვალწინ რუსულ დროშას მიაშარდა და ძლივს დამთბარი რუსულ-ქართული ურთიერთობები ისევ მნიშვნელოვნად დაძაბა. ქართველ საზოგადოებაში ამ უზნეო და ქვეყნისთვის სახიფათო პროვოკაციას დიდი აღშფოთება მოჰყვა, თუმცა, პროტესტი სოციალურ ქსელებს ვერ გასცდა, ხოლო საქართველოს ხელისუფლების არასათანადო რეაქცია, ჩვენი დღევანდელი რესპონდენტის აზრით, საქართველოს სახელმწიფოს უახლოეს მომავალში ტრაგიკულ შედეგებს მოუტანს! გვესაუბრება ტერიტორიული მთლიანობისათვის ომების ვეტერანი პაატა აბულაძე:***






**ერეკლე გეწაძე –**
***საშუალო სტატისტიკური ნაცლიბერალი***



# პაატა აბულაძე: რუსეთს საქართველოს დასასჯელად სულაც არ დასჭირდება ტანკებით შემოჭრა!

— საქართველოს მტრების მიერ დაქირავებულმა **ბარეწარმა ლიბერასტმა** ისეთი საქციელი ჩაიდინა, რამაც შეიძლება, მომავალში საქართველოს სახელმწიფოებრიობაზე დამანგრეველი გავლენა მოახდინოს. Tbilisi Open Air Festival-ს **„თიბისი ბანკი“** ახორციელებს, რომლის ხელმძღვანელიც **მამუკა ხაზარაძეა,** თუმცა, „თიბისი“, რომელიც BlackRock-მა შეიძინა, პატრონის გარეშე ასეთ სახიფათო სვლას ვერ გაბედავდა და, შესაბამისად, დაკვეთის სათავე, დიდი ალბათობით, დიფ სტეიტის კულისებში უნდა ვეძებოთ. იმასაც ვიტყვი, რომ 26 მაისს მომხდარი უზნეობა იმავდროულად სახელმწიფოს წინააღმდეგ პირდაპირ დივერსიად შეიძლება ჩაითვალოს.

**— ერთი ტუტუცი და ავადმყოფი ადამიანის საქციელს ნუთუ ამ დონის სიღრმისეული პრობლემების გამოწვევა შეუძლია?**

— ეს პროვოკაცია რუსთაველის პროსპექტზე პერმანენტულად მიმდინარე რუსოფობულ ფაშისტურ აქციაზე რომ მომხდარიყო, რუსეთის ვერტიკალს შეიძლება, აინუნშიც არ ჩაეგდო, მაგრამ ეს მოხდა იმ აქციის მიღმა, ფართო ღონისძიებაზე და საზოგადოების უმრავლესობამ ტაშიც კი დაუკრა. უნდა შეგახსენოთ, რომ რუსეთის ფედერაციის დროშა არამხოლოდ რუსი ერის სახელმწიფო სიმბოლოა, არამედ ამ დროშის ქვეშ ომობენ და თავს სწირავენ ჩეჩნები, დაღესტნელები, ყაბარდო-ბალყარელები, აფხაზები, ოსები, აზერბაიჯანელები, სომხები, კაზაკები... **შესაბამისად, საქართველოში უკვე არამხოლოდ რუსებს, ყველა ამ ერებს და ეთნოსებს, კავკასიელ ხალხებს მიაყენეს შეურაცხყოფა!** ამ ფაქტის მიმართ ჩვენი ხელისუფლების სირაქლემის პოზა დიდხანს ვერ გაგრძელდება. **კადიროვის** (ჩეჩნეთის პრეზიდენტის) ადმინისტრაციის წარმომადგენელი აღელვებულ ხალხს დაჰპირდა, რომ **„სულ მალე ამ შეურაცხყოფის ჩამდენის გვამს პირში ფალოსგარჭობილს აჩვენებს“.**

კავკასიაში უკვე ფართოდ ვრცელდება თვალსაზრისი, რომ ქართველი ერი აღარ ცხოვრობს კავკასიური ტრადიციებით, არაკავკასიური მსოფლმხედველობის მატარებელი გახდა და კავკასიისთვის ეგზისტენციალურ საფრთხეს წარმოადგენს!

**კავკასიელი მეზობლები ჩვენში განვითარებულ მოვლენებს, ლგბტ დროშების ფრიალს იმგვარად აფასებენ, რომ მთელ კავკასიაში საქართველო გადაიქცა ერთადერთ სოდომისტურ ტერიტორიად.**

**— რუსეთის საგამოძიებო კომიტეტის ხელმძღვანელმა ალექსანდრ ბასტრიკინმა საქართველოში გამართული ღონისძიების დროს რუსეთის დროშის შეურაცხყოფის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ბრძანება გასცა. საქართველოს ხელისუფლება ამ დროს როგორ იქცევა?**

— რამდენიმე დღის წინ რუსეთის მთავარ საინფორმაციო ტელეარხზე „Россия 24“ გაჟღერდა ასეთი პოზიცია: **„საქართველოს ხელისუფლებამ ამ მნიშვნელოვან თემას წაუყრუა, ეგონათ, რუსეთი ამას ვერ შეამჩნევდა, მაგრამ შეამჩნია!“** რუსეთის ოფიციალური ხელისუფლება ელოდებოდა საქართველოს ხელისუფლების რეაქციას, მაგრამ ამაოდ... საქართველოს ვერტიკალის პოზიცია იყო ცალსახა — **„ჩვენ ოკუპანტებთან არ ვთანამშრომლობთ!“** პირდაპირ ასე თქვა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა **მამუკა მდინარაძემ;** ხოლო პრემიერმა **ირაკლი კობახიძემ** მომხდარი ოდენ „უკულტურობად“ შეაფასა. რუსეთის დამახასიათებელი შტრიხია, ავისმოსურნეებს არაფერს არ პატიობს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ, როგორც კი საშუალება მიეცემა, აუცილებლად დასჯის მტრის მხარეს მყოფ საქართველოს.

**— ანუ რუსეთიდან ახალ სამხედრო აგრესიას უნდა ველოდოთ?**

— რუსეთს საქართველოს დასასჯელად სულაც არ დასჭირდება ტანკებით შემოჭრა. ნუ დაგვავიწყდება, რომ თურქეთი დიდი ხანია, ქართულ მიწებზე კბილებს ილესავს და მხოლოდ რუსეთის მხრიდან შემაკავებელი ფაქტორი უშლის ხელს მიზნების განხორციელებაში. **რუ-**

## „გაითვალისწინეთ, რომ დროშის დაწვა პროტესტის ლეგიტიმურ ფორმად მიიჩნევა, განსხვავებით დროშის შეურაცხყოფისაგან და ზედ მოშარდვისაგან!“

## პროვოკაციის კვალდაკვალ ★


***გაგრძელება „გენერალისიმუსის“ ბოლო გვერდზე***

*დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი“, 2025 წლის №17-21*

*გიორგი ბეზირგანი*

# დანა ბელადის

***გენერალისიმუსის არაკეთილმოსურნენი, როგორც წესი, მას დიქტატორს, ძალაუფლების უზურპატორს და ტირანსაც კი უწოდებენ. თუმცა, რაც უფრო მეტს ვიგებთ ბელადის შესახებ, რაც მეტი საიდუმლო მასალა და საარქივო დოკუმენტი აშკარავდება, მით უფრო უსაფუძვლო და ლიტონი ხდება ეს „ბრალდებები“. ამერიკელი ისტორიკოსის დ. გეტის და მის რუსი კოლეგის იური ჟუკოვის გამოკვლევები, რომლებიც 30-იანი წლების მრავალი დოკუმენტის სკრუპულოზურ შესწავლას და ანალიზს ეყრდნობა, ლოგიკურ წერტილს უსვამს საკითხს — იყო თუ არა სტალინი დიქტატორი. უფრო სწორად, მთლიანად ხსნის ამ კითხვას და უტყუარად ამტკიცებს, რომ პირიქით, ბელადი ყველაფერს აკეთებდა ქვეყანაში არსებული წყობის ლიბერალიზაციისთვის, იღვწოდა, რომ სახელმწიფოში გამეფებულიყო ნამდვილი და არა მოჩვენებითი დემოკრატია. თანაც, სრულიად ახალი ტიპის დემოკრატია, არა ის, რომლის დროსაც ხალხის რჩეულები კაპიტალის მქონე ადამიანები ხდებიან, არამედ ის, როდესაც თავად ხალხი იყენებს არჩევანის უფლებას და წამოსწევს მათ, ვინც განუხრელად დაიცავს საკანონმდებლო საკრებულოებში მის უფლებებს.***

მსოფლიოში პირველ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოში ერთმანეთის მიყოლებით ორი კონსტიტუცია მოქმედებდა — **1918** და **1924 წლის.**

რისთვისღა დასჭირდა **იოსებ სტალინს** მესამე — **1936 წლის კონსტიტუცია,** რომელსაც თავად ხალხი უწოდებდა სტალინურს?

●

ბოლო ხანებში ფეხი მოიკიდა ასეთმა ვერსიამ — **სტალინი** ყველანაირად ცდილობდა სახელმწიფო მმართველობის გამკაცრებას, ხოლო **ბერია,** რომელიც ქვეყანას სათავეში **სტალინის** გარდაცვალების შემდეგ ჩაუდგა, მის ლიბერალიზაციას და რეალური ხელისუფლებიდან ბოლშევიკთა პარტიის ფაქტობრივ ჩამოშორებას უწყობდა ხელს. **ისტორიკოსები ნამდვილ დოკუმენტებსა და ფაქტებზე დაყრდნობით წერენ, რომ დიადი სახელმწიფოს მართვის 100 დღის განმავლობაში ლავრენტი ბერიამ ბევრის გაკეთება მოასწრო იმისათვის, რომ ხელისუფლების ცენტრი პარტიული სფეროებიდან სახელმწიფო და არჩევით ორგანოებში გადასულიყო.**

**ლ. ბერიას** შესახებ ამ მტკიცებებში ყველაფერი სინამდვილეს შეესაბამება. მცდარია წინაპირობა **სტალინთან** დაკავშირებით. საქმე ის გახლავთ, რომ ეს გიგანტური სამუშაო კრემლის მეორე კი არა, პირველმა ქართველმა წამოიწყო. **სსრკ-ში ლიბერალიზაციისა და დემოკრატიზაციის პირველი მცდელობა სტალინმა განახორციელა და სწორედ ამისათვის დასჭირდა ახალი კონსტიტუცია.** წინა ორი გამოკვეთილად კლასობრივი იყო. მათი მუხლების თანახმად, ყველა მოქალაქეობრივი უფლება მხოლოდ მუშებსა და გლეხებს ჰქონდათ, თანაც მუშებს — გლეხებზე გაცილებით მეტი. მოსახლეობის დანარჩენი ფენები, ფაქტობრივად, ყოველგვარ უფლებას მოკლებული იყვნენ.

და აი, გამოჩნდა ახალი **კანონი,** რომელიც კარდინალურად ცვლიდა მდგომარეობას. **ამ კონსტიტუციის თანახმად, სსრკ-ის ყველა მოქალაქეს, მათი სოციალური მდგომარეობის, საქმიანობის, წარმოშობის, ამა თუ იმ რელიგიისადმი კუთვნილების მიუხედავად, აბსოლუტურად თანასწორი უფლებები ჰქონდა.** ამომრჩევლობისთვის საკმარისი იყო შესაბამისი ასაკის — **18 წლის** შესრულება და იმას, რომ მამათქვენი, მაგალითად, მსხვილი კაპიტალისტი ან დენიკინის შტაბის ოფიცერი იყო, მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, ხოლო თავად თქვენს ასარჩევად, იმავე საერთო პირობების დაცვით, საჭირო იყო მხოლოდ ასაკობრივი ცენზი — **21 წელი.**

კრიტიკოსები ცდილობენ, დაგვარწმუნონ, რომ 1936 წლის კონსტიტუცია ბელადს ხელისუფლების „ბოროტად გამოყენების“ და „სოციალისტური კანონიერების დარღვევის“ შესანიღბად დასჭირდა.

სინამდვილეში როგორ იყო?

●

დავიწყოთ იმით, რომ ახალი




# სტალინური კონსტიტუციის დღე

**კონსტიტუციის** პირველადი ტექსტი (შემდგომში, ბუნებრივია, მასში შესწორებებს და დამატებებს შეიტანენ) პირველიდან ბოლო გვერდამდე **იოსებ სტალინმა** საკუთარი ხელით დაწერა. **და მთავარი იქიდან, რაც მან ჩაწერა, უცვლელი დარჩა — ქვეყნის მოქალაქეებისათვის ყველა უფლების მინიჭება, სიტყვის, სინდისის, დემონსტრაციებისა და მსვლელობების თავისუფლების ჩათვლით. და ძირითადი — ყველასათვის ერთიანი საარჩევნო უფლება.**

**1935 წლის 7 ივლისს** ახალი **კონსტიტუციის** ფაქტობრივად უკვე გამზადებული ტექსტი ავტორმა პარტიული ამხანაგების სამსჯავროზე წარადგინა — მათი, ვინც თვითონვე ჩართო საკონსტიტუციო კომისიის შემადგენლობაში. **ბელადმა** ყოველ მათგანს მისცა აზრის გამოთქმის შესაძლებლობა. ამის მსურველი კი ბევრი იყო. **ბუხარინისა** და **რადეკის** გამოსვლის ლაიტმოტივი ასეთი იყო — ყველაფერი კარგია და ახალი **კონსტიტუცია** მთლიანად უნდა მივიღოთ. ერთადერთი შენიშვნა: **საგანგებოდ უნდა გაესვას ხაზი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ და წარმმართველ როლს.**

წინასწარ გეტყვით, რომ პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლის შესახებ მუხლი **კონსტიტუციაში** მრავალი წლის შემდეგ გაჩნდება — **ბრეჟნევის** ეპოქაში. **სტალინის** ტექსტში და მაშინ დამტკიცებულ **კონსტიტუციაში** ასეთი მუხლი არ ყოფილა.

**ბუხარინის** და **რადეკის** კვალდაკვალ კომისიის სხვა წევრები გამოვიდნენ. ისინიც ყველაფრით კმაყოფილნი იყვნენ, მხოლოდ კავშირის შემადგენლობიდან რესპუბლიკების გასვლის უფლებას ერჩოდნენ. აღსანიშნავია, რომ ტექსტიდან ამ მუხლის ამოღების წინადადებით, ძირითადად, მოკავშირე რესპუბლიკათა ხელმძღვანელები გამოდიოდნენ. **მუსაბეკოვი — ამიერკავკასიის ფედერაციის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე, რახიმბაევი — ტაჯიკეთის ხელმძღვანელი, იკრამოვი — უზბეკეთის ლიდერი.** მათ ბანს აძლევდნენ **ჩუბარი უკრაინიდან, ჩერვიაკოვი ბელორუსიიდან.**

ამ „ხალხის რჩეულთა“ შეშფოთება სრულიად გასაგებია. სსრკ-ის შემადგენლობიდან მოკავშირე რესპუბლიკების გასვლა მათთვის სიკვდილის ტოლფასი იყო. მათ მხოლოდ კავშირში ყოფნისას და **„პარტიის ხელმძღვანელი როლის“** შემთხვევაში შეეძლოთ თავიანთი პოსტების შენარჩუნება. განხილვისას სხვა შენიშვნებიც გამოითქვა — არსებითიც და სტილისტური ხასიათისაც.

**სტალინი** ყველას მდუმარედ უსმენდა, შეკითხვებს არ უსვამდა, შენიშვნებს არ ურთავდა და სიტყვა მხოლოდ მას შემდეგ აიღო, როცა ყველა მსურველმა ილაპარაკა. **ბელადის** გამოსვლა უკიდურესად მოკლე იყო:

— მაშ ასე, ვფიქრობ, ამხანაგებმა გონივრული აზრები გამოთქვეს. მიმაჩნია, რომ უნდა ავირჩიოთ სარედაქციო კომისია, რომელიც აქ გამოთქმულ აზრებსა და წინადადებებს გაითვალისწინებს და მათ კონსტიტუციის საბოლოო პროექტში ჩართავს, რომელსაც მთელი საბჭოთა საზოგადოების განსახილველად გამოვიტანთ. ამხანაგებს რაიმე საწინააღმდეგო აქვთ?

წინააღმდეგი არავინ ყოფილა. იქვე აირჩიეს სარედაქციო კომისია. მის თავმჯდომარედ ერთხმად დაასახელეს თავად **სტალინი.** ალბათ, სწორედ ამ მიზეზით არ მოხვდა საბოლოო პროექტში განსაკუთრებით „არსებითი“ წინადადებები. და სახალხო განხილვისთვის გამოტანილი ეს პროექტი, ფაქტობრივად, ისეთი იყო, როგორიც ბელადმა დაწერა. თქმაც აღარ უნდა, რომ საერთო სახალხო რეფერენდუმზე მან სახელმწიფოს მოსახლეობის ყველა ფენის ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურა.

●

განხილვისას საკონსტიტუციო კომისიის წევრთა მიერ გამოთქმული **„არსებითი“** წინადადებები ნომენკლატურის ჯერ საბოლოოდ ჩამოუყალიბებელი, მაგრამ უკვე საკმაოდ მკაფიო შეთქმულება იყო **სტალინის** „წამოწყების“ წინააღმდეგ. იმ სიტუაციაში, რომელიც **1936 წლის დეკემბერში კონსტიტუციის** მიღების შემდეგ იქმნება, პარტოკრატია იძულებულია, უკან დაიხიოს.

მაგრამ ბრძოლა არ დამთავრებულა. **ოპონენტები ახალი შეტაკებებისთვის ემზადებიან. მითუმეტეს, რომ ბელადი მათ კიდევ ერთ „ბომბს“ — კონსტიტუციის დებულებათა მიხედვით შექმნილ** „არჩევნების შესახებ დებულებას“ **უმზადებს,** რომლის თანახმად, ყოველ მოქალაქეს ეძლევა უფლება, აირჩიოს და არჩეული იქნეს. და, რაც მთავარია, ხელმძღვანელ ორგანოებში — დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებიდან უმაღლეს საბჭომდე — არჩევნები ამიერიდან.... ალტერნატიულ საფუძველზე ჩატარდება.

ეს უკვე ნომენკლატურის აშკარა გამოწვევაა. და მისი დასასრულის დასაწყისი.

●

უფროსი თაობის მკითხველს, ალბათ, კარგად ახსოვს, რომ საარჩევნო ბიულეტენები, როგორც სსრკ უმაღლეს საბჭოში, ისე ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში არჩევნებისას, ერთი და იგივე ღირსშესანიშნავი ფრაზით იწყებოდა:

**„საარჩევნო ბიულეტენში დატოვეთ მხოლოდ ერთი კანდიდატის გვარი, რომელსაც ხმას აძლევთ. დანარჩენი წაშალეთ.“**

მაგრამ წაშლა, როგორც წესი, არავისი უხდებოდათ, რამეთუ ბიულეტენში ყოველთვის მხოლოდ ერთი გვარი ეწერა.

ცოტამ თუ იცის, რომ ფრაზა, რომლითაც უმაღლეს საბჭოში და ხელისუფლების სხვა ორგანოებში არჩევნების დღიდან საარჩევნო ბიულეტენები იწყებოდა, **„არჩევნების შესახებ“** ახალი დებულების თანახმად, **ი. სტალინმა** საკუთარი ხელით დაწერა. მაგრამ მის მიერ პირადად შექმნილ ნიმუშში ერთი კი არა, რამდენიმე კანდიდატურა შედიოდა. აი, როგორ გამოიყურებოდა ბიულეტენი თავდაპირველად:

**საარჩევნო ბიულეტენი**
**სსრკ უმაღლეს საბჭოში არჩევნებისათვის კავშირების (ეროვნებათა) საბჭოში არჩევნების № ოლქი**
ჩვენთვის უკვე ნაცნობი ფრაზა: „დატოვეთ ერთი“...
**ივანოვი ივანე ივანეს ძე** — № 1 ქარხნის მუშათა საერთო კრებისაგან
**პეტროვი პეტრე პეტრეს ძე** — არტელ „ილიჩის ანდერძის“ კოლმეურნეთა საერთო კრებისაგან
**სიდოროვი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე** — პროფკავშირული ორგანიზაციებისაგან
**სემიონოვი სემიონ პეტრეს ძე** — № რაიონის პარტიის და კომკავშირის რაიკომებისაგან.

ვიმეორებ, **ყველა ეს „კანდიდატურა“ თავად ბელადის მოფიქრებული იყო.** ვგონებ, გასაგებია, რომ მითიური **„ივანოვისა“** და **„პეტროვის“** ადგილი ხალხის მიერ წამოყენებულ რეალურ კანდიდატებს უნდა დაეკავებინათ. მეტსაც გეტყვით, სტალინს გათვალისწინებული ჰქონდა რელიგიური ორგანიზაციებისა და საზოგადოებებისაგან კანდიდატთა წამოყენებაც.

უმაღლესი საბჭოს არჩევნებს ის **1937 წლის 6 მარტს** გეგმავდა.

ახლა კი დავფიქრდეთ, რა შეიძლებოდა გამოეწვია **ბელადის მიერ შეთავაზებულ ალტერნატიულ სისტემას.** ცხადია, რომ პარტიული ორგანოების კანდიდატები, რომლებიც ხალხის ნდობით არ სარგებლობდნენ, ხმათა აუცილებელ რაოდენობას ვერ მიიღებდნენ და ამგვარად ყველა საფეხურის არჩევითი ორგანოების მიღმა დარჩებოდნენ. საბოლოოდ კი რეალურ ძალაუფლებას დაკარგავდნენ. **სტალინის ჩანაფიქრი აშკარაა — ხელისუფლების ცენტრი პარტიულიდან სახელმწიფო ორგანოებში გადაენაცვლებინა, პარტია კი მთლიანად აგიტაცია-პროპაგანდაზე გადაერთო. გარდა ამისა, ახალი სისტემა მას შესაძლებლობას აძლევდა, უმტკივნეულოდ და უსისხლოდ მოეცილებინა თავიდან პარტიული ჩინოვნიკები, რომლებიც მასებში გავლენითა და ნდობით არ სარგებლობდნენ. საოლქო, სამხარეო კომიტეტების და საკავშირო რესპუბლიკათა ცკ-ის მდივნების ერთ-ერთი თათბირზე მან პირდაპირ განაცხადა:**

„ჩვენ შეუცვლელები არ გვყავს, ხალხმა აგამაღლათ, მაგ სავარძლებში ჩაგსვათ. ხალხსვე აქვს უფლება, კაბინეტებიდან ტარიანი ცოცხებით გამოგხვეტოთ.“

პარტოკრატებმა ცენტრშიც და ადგილებზეც თვალნათლივ დაინახეს მოსალოდნელი საფრთხე. პირველ რიგში, ნომენკლატურას ნებისმიერ ფასად უნდა გადაედო არჩევნების დღე. და მათ ამას მიაღწიეს. **„მშრომელთა“** მრავალრიცხოვან თხოვნათა საფუძველზე არჩევნები **დეკემბრისთვის** გადაიტანეს.

ეგზომ აუცილებელი სულის მოთქმის საშუალების მოპოვების შემდეგ ნომენკლატურამ თავიანთი ბელადის წინააღმდეგ აშკარა გამოსვლისთვის მზადება დაიწყო. შეთქმულებაში, რომლის ხლართვას ის ჯერ კიდევ **1936 წლის ბოლოდან** შეუდგა, უმაღლესი პარტიული ხელმძღვანელები ჩაერთნენ როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე.

ამგვარად, **სტალინური კონსტიტუციის დღე პარტოკრატიასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლის დასაწყისად გადაიქცა, რომლის გაგრძელება სტალინს მთელი დარჩენილი სიცოცხლე, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მოუწევს.**

როგორ მიმდინარეობდა ეს დუელი, მომავალში მოგითხრობთ.

# ზურბში ★

***ისტორიკოსთა მთელი წყება 1937 და მის მომდევნო წლებს სასტიკი რეპრესიების პერიოდს უწოდებს. მოლოტოვთან საუბარში სტალინმა უახლესი ისტორიის ამავე მონაკვეთს „ამბოხება სამხედრო ხომალდზე“ უწოდა. ვინ ამბობს სიმართლეს? რეპრესიები მართლაც იყო. 1937-38 წლების ხორცსაკეპში ათიათასობით ადამიანი დაიღუპა, როგორც დამნაშავე, ისე — უდანაშაულო. მთავარი ის არის, რამ გამოიწვია ეს რეპრესიები? და იყო თუ არა „ამბოხება“? ხომ არ იქცა ეს რეპრესიები სტალინის ხელისუფლების პასუხად მის წინააღმდეგ უმაღლესი ნომენკლატურის აჯანყებაზე? ყურადღება მიაქციეთ — ე. წ. 37 წლის (ამ ცნებაში მომდევნო, ომისშემდგომ წლებსაც ვგულისხმობთ) მთავარი მსხვერპლი სხვადასხვა დონის (ცენტრალურიდან — რეგიონულამდე) პარტიული მოხელეები გახდნენ. რაშია საქმე? სტალინმა საკუთარი გვარდიის განადგურება დაიწყო? დიახ, სწორედ ასე უპასუხებენ ამ კითხვას ავყიები — ტროცკიდან დაწყებული, ვოლკოგონოვით დამთავრებული. მაგრამ რატომ, რა მიზეზით? თავისი გვარდიის განადგურებით ხომ ნებისმიერი მხედართმთავარი საკუთარ სასიკვდილო განაჩენს აწერს ხელს.***




# ამბოხება სამხედრო ხომალდზე

ამ მოვლენის ახსნას არც ტროცკი გვთავაზობს, არც ვოლკოგონოვი, მხოლოდ მიანიშნებენ, რომ საქმე **სტალინის** სისხლისმსმელობაშია. არადა, ე. წ. **37 წელი** ისტორიულად განპირობებული და პოლიტიკურად გამართლებული იყო.

•

მოვიყვანთ ორი ავტორიტეტული ისტორიკოსის, **ამერიკელი დ. გეტის** და **რუსი ი. ჟუკოვის** თვალსაზრისს. ამ წლების სიტუაციის, დოკუმენტების, ფაქტების, თანამედროვეთა და თვითმხილველთა მოწმობების გაანალიზებით ისინი შემდეგ დასკვნებამდე მივიდნენ.

**დ. გეტი:** ავბედით **1937 წელს** წინ უძღოდა ლიბერალური სტალინური რეფორმების დაახლოებით სამწლიანი პერიოდი. მეტიც, ამ რეფორმებმა გამოიწვია რეპრესიები, რომლებსაც უსამართლოდ უწოდეს **„სტალინური“...**

**ი. ჟუკოვი:** რა პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, **სტალინი** რეალური ხელისუფლებიდან პარტიის ჩამოცილებას აპირებდა. სწორედ ამან გამოიწვია მის წინააღმდეგ უმაღლესი პარტიული ნომენკლატურის გამოსვლა, შემდეგ კი — ეგრეთ წოდებული **„ოცდაჩვიდმეტი წელი“**, ანუ ის რეპრესიები, რასაც, ვაიპოლიტიკოსთა ხელდასხმით, **„სტალინურ რეპრესიებად“** უხმობენ.

•

ჯანყი, რომელზეც დღეს ვსაუბრობთ და რომელსაც ბელადმა **„ამბოხება სამხედრო ხომალდზე“** დაარქვა, ფარული იყო. პარტოკრატებმა, რომლებსაც კარგად ესმოდათ, რომ ახალი კონსტიტუციის და ახალი საარჩევნო უფლების თანახმად შეიძლება პოსტები და ყველა პრივილეგია დაკარგონ, ცენტრშიც და პერიფერიაზეც შეთქმულება წამოიწყეს და შეტევაზე გადავიდნენ. როგორ ვითარდებოდა ეს შეტევა?

პირველმა გაილაშქრა დასავლეთ ციმბირის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელმა **რობერტ ეიხემ,** რომელიც მოგვიანებით, ე. წ. **„დათბობის“** პერიოდში, **ხრუშჩოვმა** და მისმა ხროვამ **„სტალინური დესპოტიზმის წამებულებს“** მიათვალეს. **1937 წლის ივნისის დასაწყისში** მან პოლიტბიუროში მოხსენებითი ბარათი წარადგინა, რომელშიც იუწყებოდა, რომ ციმბირში გამოაშკარავებულია **„მძლავრი, უზარმაზარი კონტრრევოლუციური ტროცკისტულ-ზინოვიევური ორგანიზაცია.“** ამასთან დაკავშირებით ამხანაგი **ეიხე** კი არ ითხოვდა, მოითხოვდა მისთვის საგანგებო უფლებამოსილების მინიჭებას, **„სამეულის“** შექმნას (საოლქო კომიტეტის მდივანი, პროკურორი და შინსახკომის სამმართველოს უფროსი), რომელსაც უფლება ექნებოდა, ოპერატიულად მიეღო გადაწყვეტილებები როგორც დაპატიმრებასთან, ისე სასიკვდილო განაჩენის გამოტანასა და დაუყოვნებლივ აღსრულებასთან დაკავშირებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **„სტალინური რეპრესიების მომავალ მსხვერპლს“** ნებავდა, მშვიდობიან დროს ხელთ სამხედრო-საველე სასამართლო და ოლქში შეუზღუდავი ძალაუფლება ჰქონოდა. ცალკე სტრიქონად **რობერტ ეიხე** იშველიებდა ლენინის გამოთქმას **„დაუყოვნება სიკვდილის ტოლფასია“** და მოახსენებდა, რომ ოლქში მსგავსი **„სამეულები“** უკვე შექმნილია, ისინი **„მუშაობას შეუდგნენ“** და პოლიტბიუროს **„მათი უფლებამოსილების დადასტურებას“** სთხოვდა.

და მართლაც, **1937 წლის** ზაფხული ციმბირში ცხელი აღმოჩნდა. **ეიხე** სრულ სიმართლეს ამბობდა, **„სამეულები“** თავდაუზოგავად **„მუშაობდნენ“** და ხელები იდაყვამდე სისხლში ჰქონდათ მოსვრილი. სულ რამდენიმე დღეში გისოსებს მიღმა ამოჰყო თავი, ფაქტობრივად, პარტიის ყოველმა მეორე წევრმა, ადგილობრივი ინტელიგენციის, მუშათა კლასის უამრავმა წარმომადგენელმა, ყველამ, ვინც ციმბირში ეიხეს დიქტატორულ რეჟიმს თუნდაც პოტენციურ საფრთხეს უქმნიდა, ყველამ, ვისაც შეეძლო, მომავალ არჩევნებზე ხმა მისთვის არ მიეცა. შინსახკომის საოლქო სამმართველოს სარდაფებში დახვრეტილთა სათვალავი ათიათასებზე წავიდა.

სხვა სიტყვებით, **ეიხემ,** ასე ვთქვათ, **„პოსტ ფაქტუმ“** ჩააყენა ცკ საქმის კურსში, როდესაც მისდამი რწმუნებულ ოლქში სასტიკი ტერორი უკვე ფართოდ ჰქონდა გაშლილი.

მაგრამ ყველაზე საინტერესო ეიხეს ეპისტოლეს ბოლო აბზაცი იყო. ზემოთ ნათქვამის შესაჯამებლად ის წერდა:

**„შექმნილ რთულ პირობებში სკპ(ბ) საოლქო კომიტეტი, ოლქის კომუნისტები, ყველა მშრომელი მიიჩნევენ, რომ უმაღლეს საბჭოში მომავალი არჩევნების ახალი დებულებით ჩატარებამ შეიძლება არასასურველი შედეგი მოიტანოს.“**

ცკ-ში ვერც კი მოასწრეს, დასავლეთ ციმბირის საოლქო კომიტეტის მდივნის მოხსენებით ბარათს რიგიანად გასცნობოდნენ, რომ მოსკოვში, თითქოს ვიღაცის ბრძანებით, ადგილებიდან დაახლოებით ასეთივე შინაარსის ანალოგიური პატაკების ნაკადი წამოვიდა. ყოველ მათგანში გაისმოდა თხოვნა-მოთხოვნა ხელმძღვანელებისთვის **„საგანგებო უფლებამოსილების“** მინიჭების შესახებ და გამოთქმული იყო შიში არჩევნების **„არასასურველ შედეგთან“** დაკავშირებით.

რაც მთავარია, ყველა ეს პატაკი აფიქსირებდა მხარეებში, ოლქებში, მოკავშირე რესპუბლიკებში **„სამეულების“** შექმნას, რომლებიც უკვე შეუდგნენ ფართომასშტაბიან სისხლიან **„სამუშაოს“.**

**ამგვარად, „სამეულები“, რომლებსაც ვოლკოგონოვი და მსგავსნი მისნი სტალინის ქმნილებებად მიიჩნევდნენ, სინამდვილეში მას სულაც არ შეუქმნია. ბელადმა მხოლოდ მოგვიანებით გამოიყენა ეს ფორმა მის წინააღმდეგ ამბოხებულთა მიმართ.**

•

ბუნებრივია, **სტალინს** ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ნომენკლატურა შეთქმულებას აწყობდა. მაგრამ **ბელადს,** როგორც ჩანს, მოვლენათა ამგვარი განვითარებაც გათვალისწინებული ჰქონდა. და აი, ეიხესა და სხვების გამოხტომას ის წინმსწრები დარტყმით პასუხობს. არა, თავად ეიხეს და მსგავსთა წინააღმდეგ კი არა. ძალაუფლების დახვეწილი დიდოსტატისთვის ასეთი სვლა მეტისმეტად მარტივი იქნებოდა. იმავე ივნისში ერთ დღეს აპატიმრებენ ოთხ ცნობილ პარტიულ ხელმძღვანელს — **რაზუმოვს, შებოლდაევს, ქართველიშვილს** და **რუმიანცევს,** რომლებიც, შესაბამისად, აღმოსავლეთ ციმბირის სამხარეო, კურსკის, ყირიმის და სმოლენსკ-ბრიანსკის საოლქო კომიტეტებს წარმოადგენენ. ისინი სხვადასხვა ბრალდებით დააპატიმრეს. ძირითადად, ეს სამეურნეო საქმეები, ძალაუფლების გადამეტება და სხვა სამსახურებრივი გადაცდომებია. მაგრამ ცხადია, რომ გენერალური მდივნის სანქციის გარეშე ადგილებზე პარტიულ ნაცვლებს ხელს ვერ ახლებდნენ. ამ აქციის ქვეტექსტი ადვილად იკითხება — **„ერთი სცადეთ ახალი საარჩევნო კანონის დაბლოკვა, თქვენთან ლაპარაკს უცბად მოვრჩები.“** თანაც აღმოსავლეთ ციმბირის ნაცვლის დაკავება ეიხესთვის **„ცხელას“** უდრის, **ქართველიშვილის** დაპატიმრება კი მისთვის პირდაპირი მინიშნებაა. ყირიმის საოლქო კომიტეტის სათავეში ჩადგომამდე **ლავრენტი ქართველიშვილი ეიხეს** ახლანდელი **„მამულის“,** დასავლეთ ციმბირის ოლქის ხელმძღვანელი იყო.

•

მაგრამ **სტალინის** პრევენციული დარტყმა შეთქმულებს მობილიზებას აიძულებს. **სტალინის** წინააღმდეგ მათ შიში აერთიანებს.

**1937 წლის 23 ივნისს მოსკოვში იხსნება სკპ (ბ) ცკ-ის პლენუმი, რომელზეც სტალინს განზრახული აქვს, საბოლოოდ დააკანონოს თავისი საარჩევნო ნოვაციები და მკაცრად დაგმოს ისინი, ვინც საყოველთაო ალტერნატიული არჩევნების წინააღმდეგ გამოდის.**

მაგრამ პლენუმზე მეტოქეებიც შეიარაღებულნი და ბრძოლისათვის გამზადებულები ცხადდებიან — ალტერნატიული არჩევნები მათი კარიერის დასასრულს მოასწავებს. და აი, პირდაპირი შეთანხმების შედეგად, პლენუმზე მიმდინარე საკითხების განხილვა სხვა სიბრტყეში გადადის. ერთმანეთის მიყოლებით გამოდიან **მოსკოვის, კუიბიშევის, სტალინგრადის ოლქების, შორეული აღმოსავლეთის მხარის, დაღესტნის, აზერბაიჯანის, ტაჯიკეთის, ბელორუსიის ხელმძღვანელები.** და მათი გამოსვლის ლაიტმოტივი ერთია — გარშემო მტრები არიან! ისინი ერთხმად აცხადებენ, რომ **„კონტრრევოლუციამ ყველგან წამოჰყო თავი,“** რეგიონებში მოკალათებული **„ტროცკისტ-ზინოვიეველი ნაძირალები“ „პარტიის გენერალურ ხაზზე ახალ თავდასხმას ამზადებენ.“** მაშასადამე, ამ პირობებში **„შეჯიბრებითი“** არჩევნების ჩატარება, არსებითად, პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დასასრულს მოასწავებს.

პლენუმი მუშაობას ამთავრებს. **სტალინი** სიტყვით არ გამოდის. არცერთი გადაწყვეტილება მიღებული არ არის. **ბელადი** მოვლენების განვითარებას ელოდება. მოვლენები კი ასე ვითარდება. პლენუმის მონაწილეები ადგილებზე დაბრუნებას ძლივს ასწრებენ, რომ მოსკოვში ახალ-ახალი **„განაცხადების“** დინება იწყება. აი, ერთი მათგანი — დაღესტნის საოლქო კომიტეტი ითხოვს სანქციას **600 „ტროცკისტის“** დახვრეტაზე და **2485 „ანტისაბჭოთა ელემენტის“** გასახლებაზე. საგულისხმოა, რომ **„კონტრრევოლუციასთან აქტიურ მებრძოლთა“** პირველ რიგებში **„სტალინის დანაშაულთა“** მომავალი მამაცი მამხილებელი **ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი** იმ პერიოდში მოსკოვის პარტიის ქალაქკომის პირველი მდივანი იმყოფება. გთავაზობთ მის „განაცხადს“:

**„დასახვრეტი — 2 ათასი კულაკი, 6,5 ათასი სისხლის სამართლის დამნაშავე. გადასასახლებელი — 5869 კულაკი, 26936 სისხლის სამართლის დამნაშავე.“**

გასაოცარია, საყოველთაო კოლექტივიზაციის ჩატარების შემდეგ, თანაც დედაქალაქში, საიდან შეიკრიბა ამდენი კულაკი?

•

პირველ რაუნდს ბელადი ქულებით აგებს. და **11 ოქტომბერს** მიღებულია გადაწყვეტილება ალტერნატიულ არჩევნებზე **„დროებით უარის თქმის შესახებ“**. მაგრამ ტაქტიკური მოსაზრებით უკან დახევის შემდეგ სტალინი ახალ შეტევას ამზადებს. ცკ-ის იანვრის (1938 წ.) პლენუმზე **მალენკოვის** პირით ის შემდეგს აცხადებს: ადგილებზე იქაურმა ხელმძღვანელებმა სრულიად უდანაშაულო კომუნისტების და უპარტიოთა წინააღმდეგ აშკარა ტერორი დაიწყეს. **სტალინისვე** ჩაწოდებით **მალენკოვი** იქვე პირდაპირ ადანაშაულებს კუიბიშევის ოლქის ხელმძღვანელს პაველ პოსტიშევს — **„თქვენ ოლქის მთელი პარტიული და საბჭოთა აპარატი ციხეში ჩასვით,“** და ყოფილ მოსკოველ ხელმძღვანელს (თუმცა ის დასახელებული არ არის) **ხრუშჩოვს — „მოსკოვში ჩატარებულ დაპატიმრებათა და პარტიიდან გარიცხვათა შემოწმებამ აჩვენა, რომ გარიცხულთა და დაპატიმრებულთა აბსოლუტური უმრავლესობა სრულიად უდანაშაულოა.“**

**ნიკიტა ხრუშჩოვი** ამ შემოტევის პასუხად დუმილს ამჯობინებს. თითქოს ნათქვამი მას სრულებით არ ეხება. გარკვეული ხნის წინ ის მოსკოვიდან უკრაინაში გადაიყვანეს და პლენუმზე ამ რესპუბლიკის კომპარტიის პირველი მდივნის რანგში იმყოფება. თუმცა, იქაც იმავე რეპრესიულ პოლიტიკას ატარებს. მაგრამ ეს ცალკე თემაა.

პოსტიშევი კი სიტყვას ითხოვს. და მისი გამოსვლის არსი შემდეგია — ვიჭერდი, ვიჭერ და დავიჭერ, სანამ ყველა მტერს არ გავანადგურებ. გამოსვლას იგი დიდი ბელადის — ამხანაგი **სტალინის** სადღეგრძელოთი ამთავრებს. მაგრამ ეს ვერაფერს შველის. პლენუმის მუშაობის დამთავრების შემდეგ გასასვლელთან თავაზიანი ახალგაზრდები ელოდებიან და... ადგილზე მიყვანას სთავაზობენ, მაგრამ სასტუმრო **„მეტროპოლის“** ნაცვლად, სადაც მდიდრული ნომერი ამაოდ დაელოდება, **ლუბიანკაზე** ამოაყოფინებენ თავს.

ძალიან მალე მის მეზობლად დაიდებენ ბინას **ეიხე** და სხვა **„ჭეშმარიტი ლენინელები“ — „სტალინური თვითნებობის მსხვერპლნი“.**

***გაგრძელება იქნება***



# პაატა აბულაძე:

# საქართველოს ხელისუფლებამ ამ მნიშვნელოვან თემას წაუყრუა,

## ეგონათ, რუსეთი ამას ვერ შეამჩნევდა, მაგრამ შეამჩნია!

**„კავკასიაში უკვე ფართოდ ვრცელდება თვალსაზრისი, რომ ქართველი ერი აღარ ცხოვრობს კავკასიური ტრადიციებით, არაკავკასიური მსოფლმხედველობის მატარებელი გახდა და კავკასიისთვის ეგზისტენციალურ საფრთხეს წარმოადგენს!“**

*დასაწყისი „გენერალისიმუსის“ პირველ გვერდზე*

**სეთი ჩვენს რეგიონში უსაფრთხოების ერთადერთი გარანტია. დღეს საქართველოში ბომბები რომ არ ცვივა და ჩვენი მეზობელი ქვეყნები ჩვენს ტერიტორიებზე ღიად პრეტენზიებს არ აცხადებენ — ეს რუსეთის ფედერაციის შემაკავებელი ფაქტორის შედეგია.** აგერ ახლახან რუსებმა მსოფლიოს გასაგონად განაცხადეს, რომ ევროპაში არანაირ მოლაპარაკებას არ დათანხმდება; თუ მოლაპარაკება გაიმართება — მხოლოდ სტამბოლში! **ანუ რუსეთი თურქეთს აღიარებს რეგიონში ერთ-ერთ მთავარ მოთამაშედ და თურქეთი ამ დამოკიდებულებას უფასებს.**

**— მიგვანიშნებთ, რომ რუსეთმა საქართველო შესაძლოა, თურქეთის ხელით დასაჯოს?**

— რატომ მარტო თურქეთის? ახლახან სომხეთმა ყარაბაღი დაკარგა და იქნებ სომხების გული მოიგოს? ან აზერბაიჯანს დაუთმოს? **განა რა დიდი ძალისხმევა სჭირდება მარნეულში ან ახალქალაქში ეთნოკონფლიქტის აგორებას?!**

**— მაშ, რუსეთის დროშის შეურაცხყოფის გამო საქართველოს ხელისუფლებისგან დუმილის პოზიცია რით აიხსნება? პოლიტიკური უმწიფრობაა თუ ლიბერასტულ დასავლეთს კიდევ ერთხელ უმტკიცებს მონურ ერთგულებას?**

— ალბათ, ტრამპის განცხადებას ელოდებოდნენ და უნგრეთში ვიზიტის წინ ვერ გაბედეს დროშის შებილწვის ფაქტზე სათანადო შეფასების მიცემა. მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც დასავლეთისთვის მკაფიო გზავნილია, რომ **ჩვენს ხელისუფლებს საქართველო კავკასიის კი არა, ევროპის ნაწილად მიაჩნიათ**. ხელისუფლება ისევ იმ საინფორმაციო ველში აცხოვრებს ხალხს, რომ, თუ ტრამპი დამოუკიდებლობის დღეს მოგვილოცავს, ეს ნიშნავს, რომ გადარჩენილები ვართ! მაგრამ ამასობაში ჩვენი მეზობლები გვაკვირდებიან და რწმუნდებიან, რომ ჩვენ არ ვართ კავკასიელები და „მათიანები“! ასეთი პოზა არახალია. **ჯერ კიდევ პირველი რესპუბლიკის პერიოდში მთელ კავკასიაში მასონთა ლოჟის ერთადერთი ოფისი თბილისში მდებარეობდა, იქ, სადაც ახლა ილიას უნივერსიტეტია! როგორ ფიქრობთ, რა მოხდებოდა, ვინმეს რუსეთის დროშის მაგივრად ამერიკის დროშის მიმართ რომ ჩაედინა ასეთი შეურაცხმყოფელი აქტი?**

**— მთელი სალიბერასტეთი ფეხზე დადგებოდა. ამის ჩამდენს ჯვარს აცვამდნენ და მას არც კონსერვატორი და ტრადიციების ერთგული საზოგადოება არ გამოექომაგებოდა!**

— თქვენს პასუხს დავამატებ, რომ **ამერიკის დროშის შეურაცხმყოფელი იმ მომენტიდანვე პატიმრობაში აღმოჩნდებოდა!** აგერ, არა სახელმწიფოს, არამედ ევროკავშირის დროშისთვის ცეცხლის წამკიდებელი **ლაშა შარუხია** წლების განმავლობაში ამყოფეს პატიმრობაში და ფართო საზოგადოების აღშფოთების შედეგად მხოლოდ გირაოთი გამოუშვეს ციხიდან! ისიც გაითვალისწინეთ, რომ დროშის დაწვა პროტესტის ლეგიტიმურ ფორმად მიიჩნევა, განსხვავებით დროშის შეურაცხყოფისაგან და ზედ მოშარდვისაგან!

**— ამის გამო ხელისუფლებამ თუ არა, ხალხმა მაინც ხომ გამოხატა პროტესტი?**

— სად, სოციალურ ქსელებში? ამ მოვლენას აღშფოთებული ხალხი ქუჩაში უნდა გამოეყვანა! ვიმეორებ — როგორც ხელისუფლებისგან, ისე ქართველი საზოგადოებისგან წაყრუებამ ჩვენ მიმართ სამომავლო დამოკიდებულებაში რუსებისთვის ბევრი რამ გადაწყვიტა, ისინი მრავალ საკითხში დაარწმუნა! აქამდე რუსები აფხაზეთში ინვესტიციებისგან თავს იკავებდნენ. ამიერიდან შეიძლება სხვაგვარად მოხდეს! აკი, აფხაზეთის ფაქტობრივმა პრეზიდენტმა **ბადრა გუნბამ** სწორედ ახლა განაცხადა, რომ **დროა, ქართველები შეეგუონ „აფხაზეთის დამოუკიდებლობას“ და აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით, ქართველებთან არანაირ მოლაპარაკებაზე არ წავლენ!** აფხაზეთსა და ცხინვალში უმალ ისარგებლეს მომენტით და ქართველებთან ურთიერთობის დაუშვებლობის პროპაგანდა ახალი სიძლიერით აგორდა! პირდაპირ წერენ, რომ **როგორც ისრაელს არ ჰყავს არცერთი მეგობარი მუსულმანურ სამყაროში, ზუსტად იმგვარად, საქართველოს არ ჰყავს მეგობარი — კავკასიაში!**

მე ამ ინციდენტთან ვაკავშირებ იმ ფაქტსაც, რომ

**რუსეთის საგადასახადო ინსტიტუტები მასობრივად დაეცნენ მოსკოვში მცხოვრები ქართველების ბიზნესებს და მათი შემოწმება დაიწყეს.**

უფრო მეტიც, მოსკოვში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე **მამუკა ფიფიას** ინიციატივით და დაფინანსებით, 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, რუსეთისა და ბელარუსის ყველა ადმინისტრაციული შენობა ქართული დროშის ფერებში უნდა განათებულიყო! **ამით რუსეთის ფედერაციის მოსახლეობას მიეწოდებოდა მესიჯი, რომ სააკაშვილის რეჟიმისგან თავის დაღწევის შემდეგ საქართველო რუსეთის მიმართ მტრულად განწყობილი აღარ არის.** აი, ეს დიადი პროცესი ჩაიშალა რუსეთის დროშის შეურაცხყოფით! მე ვფიქრობ, რომ პროვოკაციის მთავარი მიზანი სწორედ ეს იყო... ამ ოპერაციის მიღმა ბრიტანეთისა და ამერიკის ფარული დასის, იგივე დიფ სთეითის ინტერესები იკვეთება! მამუკა ხაზარაძე კი თავის წილ პასუხისმგებლობას ვერ ასცდება!

**— რა პერსპექტივა აქვს რუსეთში აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს? შეძლებენ დამნაშავის დასჯას?**

— მთელი ჩემი გამოცდილებით ვგრძნობ რა ამ უდიდეს საფრთხეს, არაერთი ვიდეომიმართვა ჩავწერე; **პროვოკატორს რუსეთის ფედერაციის ხალხების წინაშე საჯარო სინანულისკენ მოვუწოდე, რათა ეს შურისძიება მისთვის აერიდებინა, მაგრამ ხელისუფლების არასათანადო განცხადების შემდეგ ვიდეოები ავილე, რადგან საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღების მორალური უფლება აღარ მაქვს.** მოკლედ, სასამართლომდე ამ საქმის მიყვანას არავინ აპირებს. კავკასიელი ერების წარმომადგენლები, რომლებიც შეურაცხყოფილნი დარჩნენ მათი სიმბოლოს შებილწვით, არ შეარჩენენ ამ საქციელს. **მას ელის შურისძიება და სიკვდილი!**

დაბოლოს: ამ პროცესში საკმაოდ ძლიერი ძალებია ჩართული და ასეულმილიონობით დოლარი იხარჯება, რათა საქართველომ რუსეთთან ურთიერთობების დალაგება ვერ შეძლოს!

*ესაუბრა*
**ზაზა დავითაია**




**ერეკლე გეწაძე -**
*საშუალო სტატისტიკური ნაცლიბერალი*



**პროვოკაციის კვალდაკვალ ★**

გენერალისიმუსი
2025 წლის 2 ივნისი. №22 (318)

სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.




## მაია ნიკოლეიშვილი:

# სანამ საქართველოს კონსტიტუციაში იქნება ჩანაწერი ნატოში შესვლის შესახებ,

# აფხაზებთან და ოსებთან კეთილი ურთიერთობების დამყარებას ვერ შევძლებთ!

*— არჩევნების შემდეგ უცნაური რეალობის წინაშე დავდექით, მაგრამ დღეს უკვე ყველაფერი ნათელია!* ***— აცხადებს დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი და აქვე ერთ მნიშვნელოვან რჩევას აძლევს ხელისუფლებას:***

— გახსოვთ, ალბათ, რა თქვა **ბიძინა ივანიშვილმა** არჩევნების წინ — არჩევნებზე განსაკუთრებული არაფერი მოხდება, მაგრამ მერე დაიწყება რთული პროცესებიო. ზუსტად ერთი-ერთში ახდა ყველაფერი. როდესაც სახელოვნებო ელიტის გარკვეული წარმომადგენლები აბობოქრდნენ და აქციებმა კულმინაციას მიაღწია, ნერვებმა მიმტყუნა, რადგან სერიოზული საფრთხის წინაშე ვიდექით. მითუმეტეს, რომ პირველი ფერადი რევოლუცია ლენინმა მოაწყო და ეს ისეთი უტყუარი მეთოდია, მშვიდობიანად არსად არასოდეს დასრულებულა.

და აი, დღეს უკვე, როდესაც უნგრეთში **ირაკლი კობახიძის** გამოსვლას და **ორბანის** სიტყვას მოვუსმინე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ **საქართველოში ფერადი რევოლუცია მშვიდობიანად, ძალის გამოყენების გარეშე დასრულდა,** რაც უპრეცედენტო და წარმოუდგენელი რამ არის!

**— ფიქრობთ, რომ ხელისუფლების დამხობის საფრთხე აღარ არსებობს?**

— **რაღა თქმა უნდა, ყველაფერი მორჩა!** აქ მთავარი იყო ის უზარმაზარი ფული, რომელიც რევოლუციის მოსაწყობად ქვეყანაში შემოვიდა. კოლოსალური, წარმოუდგენელი თანხები ჩაიდო ამ ყველაფერში. ეს გზა მათ გადაეკეტათ. **ფეხის ხმას აყოლილი ლენჩების გუნდის იქ დგომა სახიფათო აღარ არის. უბრალოდ, დარჩენილი თანხის ათვისებას ცდილობენ.** ის, რაც ახლა მათი მხრიდან ისმის, არის სამარცხვინო პოლიტიკური წკავწკავი! **ფერად რევოლუციასთან ერთად ის საშუალო ნიჭის მქონე ადამიანებიც დასრულდნენ, საკუთარ თავს ელიტა რომ დაარქვეს და შეეცადნენ ხელისუფლების გადატრიალებას.**

თეატრალური ელიტის წარმომადგენელი ჩემთვის **რობიკო სტურუა, ზაზა პაპუაშვილი, ნუკრი ქანთარია** და ძალიან ბევრი სხვა ადამიანია, რომელიც მათ მსგავსად ფიქრობს და აზროვნებს. **დოი** რომ სამარცხვინოდ აბობოქრდა, სად არის დღეს? ჩინეთში წავიდა! აი, ეს არის მათი მორალი! ეს თავხედები, ე.წ. სახელოვნებო ელიტა და ქუჩაში მორბენალი ადამიანები უკანსვლით დაეწივნენ იმ 60-იან წლებს, როცა ჰიპების მოძრაობა იწყებოდა და სექსის, ნარკოტიკის სრულ თავისუფლებას ქადაგებდნენ. მოწიფული ადამიანები სასტვენით პირში რომ დგანან და უსტვენენ, ეს ნორმალურია?! **მათი ქცევები ფსიქოლოგიურ პრობლემებზე, ბავშვობის ტრავმებზე მიუთითებს.**

მოდით, პირდაპირ ვთქვათ,

**ფერადი რევოლუციის მშვიდობიანად დასრულებაში ბიძინა ივანიშვილის დიდი წვლილია,**

**მას სწორი პოლიტიკური გათვლები ჰქონდა, ეს მისი დაწყობილი საჭადრაკო დაფაა,**

თუმცა, ამას გარემო პირობებმაც შეუწყო ხელი. **ტრამპმა ილჰამ ალიევსაც** მიულოცა დამოუკიდებლობის დღე და აღნიშნა, სამხრეთ კავკასია მშვიდობიანი უნდა იყოს, პარტნიორობა გავაძლიეროთო, ანუ სამხრეთ კავკასიაში სიმშვიდე მარტო ერთი ქვეყნის — საქართველოს დამსახურება არ არის.

**ის, რომ გარედან არ შემოვიდა მებრძოლი რაზმები, იყო ჩვენს მეზობელ ქვეყნებთან კოორდინირებული მუშაობის შედეგიც.** სერიოზული ინტერესთა თანხვედრა გვქონდა, რომ მშვიდობა შენარჩუნებულიყო. საქართველო თუ აბოლდებოდა, ეს ცეცხლი მთელ სამხრეთ კავკასიას და თისკენ გადმოინაცვლებს-მეთქი. ზუსტად ასე მიდის პროცესები. გონდაკარგული ევრობიუროკრატია მავნე სტრუქტურა გახდა თავისი გლობალისტური ვნებებით და დღეს სიმძიმის ცენტრი ნამდვილი ძველი ევროპისკენ — ასტრო-უნგრეთისკენ გადმოდის. არსებულ ევრობიუროკრატიას არამხოლოდ საქართველოს ხელისუფლება, თვით **ტრამპი და ორბანი** უპირისპირდება.

შემთხვევით არ ჩამოსულა არჩევნების მეორე დღეს, ყველაზე კრიტიკულ პერიოდში **ორბანი** საქართველოში. ეს იყო საკმაოდ კოორდინირებული, სწორად გათვლილი პოლიტიკური სვლა. ჩვენ ჯერ კიდევ მაშინ გვქონდა **ორბანთან** ბმა, როცა არავის ჰქონდა მოვლენების ასეთ განვითარებაზე წარმოდგენა. **როდესაც ბიძინა ივანიშვილი მეორედ წავიდა პოლიტიკიდან, უკვე გასაგები იყო, რომ რაღაც ძალიან დიდი ხდებოდა და** მერე ჩრდილო კავკასიასაც მოედებოდა — საერთო მტრის წისქვილზე დაასხამდა წყალს, რაც უნდოდა სწორედ იმ ძალას, რომელიც საქართველოში უზარმაზარ ფულს აგზავნიდა და ხარჯავდა.

**— იმ ძალას, ანუ დასავლეთსა და ევროპას?!**

— ძალიან დიდი ხნის წინ ვამბობდი, ევროკავშირი უკან-უკან წავა, დაიშლება და სიმძიმის ცენტრი, ახალი ევროპა, ბალკანეთისკენ გადმოინაცვლებს-მეთქი. ... **იწყებოდა.**

ის დეგენერატი, ვინც რუსულ დროშაზე დააშარდა, შესაძლოა, ვერ ხვდება ამდენს, მაგრამ მათ, ვინც ეს იდეა და დროშა მიაწოდა, აუცილებლად უნდა აგონ პასუხი იმ მავნებლობაზე, რაც საქართველოს წინააღმდეგ გააკეთეს, თვეების განმავლობაში რომ ანჯღრიეს და აყანყალეს ქვეყანა.

**— რას ნიშნავს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ტრამპის მიერ საქართველოში გამოგზავნილი მოსალოცი წერილი?**

— ჩემი აზრით, გადანაწილება მომხდარია და ჩვენ ვრჩებით იქ, სადაც ვართ. ამერიკის, უფრო ზუსტად, ტრამპის ინტერესი არ არის, რომ საქართველო კუბად იქცეს. შეიძლება, ეს ძალიანაც სურთ გლობალისტებს, ანგლოსაქსებს, მაგრამ ტრამპის პოლიტიკაა, სამხრეთ კავკასია იყოს ადგილი, სადაც გატარდება ამერიკული ინტერესები ვაჭრობასა და ეკონომიკაში. **ძველებური გავლენები აღარ ექნებათ. მსოფლიო შეიცვალა, გადაფორმატდა. დღეს სულ სხვა პოლიტიკური მოცემულობა და მოთხოვნებია.** სხვათაშორის, **რუბიომაც** თქვა, აღარ ვაპირებთ იარაღით დემოკრატიის დამყარებასო. გლობალისტების კონცეფციაც ხომ ზუსტად ეს იყო?! — სახელმწიფოში სახელმწიფოს არსებობა!

როდესაც **ორბანმა** ირაკლი კობახიძეს გმირი უწოდა, შემდეგ გამოსვლებში **ტრამპიც** ჩაერთო და უდიდესი პატივისცემა გამოხატა იმ პოლიტიკის მიმართ, რომელსაც ურთულეს პერიოდში აწარმოებდა საქართველო, სერბეთი, სლოვაკეთი და უნგრეთი.

თუ რაღაც უბედურება არ მოხდა, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ყველაფერი გარკვეულია. ამ შემთხვევაში ამერიკის ინტერესებიც დაკმაყოფილებულია და რუსეთისაც, რომლის ხელშიც არის საქართველოს მთელი ენერგოობიექტები.

დაჭაობებული, მდორე პოლიტიკური პერიოდი გავლილია. ყველა მიმართულებით გამოცოცხლდა სიტუაცია, მათ შორის, ქვეყნის შიგნითაც. ამაზე მეტყველებს სერიოზული საკადრო ცვლილებებიც.

**— ფიქრობთ, რომ სწორი საკადრო ცვლილებები განხორციელდა?**

— ბევრ ადამიანზე დამწყდა გული, მათ შორის, **ვახტანგ გომელაურზეც,** ის ძალიან კარგი მინისტრი იყო, მაგრამ შეთქმულების თეორიებით ხომ არ უნდა ვიმსჯელოთ? იმ რეჟიმში მუშაობა ადვილი არ იყო და ნებისმიერი დაიღლებოდა.

ახალგაზრდების დაწინაურება ძალიან კარგი და სწორი ნაბიჯია. საქმიდან გამომდინარე კარგად ვიცნობ **ზურაბ ბელთაძეს,** ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ადვოკატი იყო. მასთან მუშაობა მიყვარდა.

**— სხვათაშორის, მოუწევს საგამოძიებო კომისიის დასკვნების საფუძველზე ბევრი სერიოზული გადაწყვეტილების მიღებაც.**

— ამიტომაც პროკურატურაში აუცილებელი იყო ახალი სისხლი. მისი დანიშვნა გენერალური პროკურორის მოადგილედ ძალიან გამიხარდა. ასევე მივესალმები შინაგან საქმეთა სამინისტროში **რონი მესხის** დაწინაურებას. **ზურაბ ბელთაძეც და რონი მესხიც** ოჯახიდან არიან გამოსული და გარდა პროფესიონალიზმისა, შინაგანი კულტურა მოჰყვებათ. იმედი მაქვს, ეს ცვლილებები საგამოძიებო კომისიის მიერ დადებული დასკვნების საბოლოო შედეგებზეც დადებითად აისახება.

აქვე გეტყვით, **კარგი იქნება, თუ საგამოძიებო კომისია კიდევ უფრო მეტად შევა სიღრმეებში და სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომის გამომწვევ მიზეზებზეც ისაუბრებს, დაადგენს, ვინ იყო წამქეზებელი და რა ანკესზე წამოეგო მაშინ ქვეყანა.**

დღეს ხომ უკვე ცხადია, როგორი იყო გლობალისტების პროგრამა?! **საბჭოთა კავშირის დაშლა და ქვეყნების აწეწვა.** სამწუხაროდ, მათი გეგმის პირველ ეტაპზე დიდი შეცდომა დავუშვით და დასავლეთის ანკესზე წამოვეგეთ. ამჟამად სიბრძნე გამოვიჩინეთ, არ დავუშვით ომი, თუმცა, ეს ბრძოლა დასრულებული არ არის. **სანამ საქართველოს კონსტიტუციაში იქნება ჩანაწერი ნატოში შესვლის შესახებ, აფხაზებთან და ოსებთან კეთილი ურთიერთობების დამყარებას ვერ შევძლებთ.** ეს მუხლი სასწრაფოდ არის მოსაშორებელი!

მართალია, ბევრი რამ არის ჩვენს ქვეყანაში გასაკეთებელი და მოსაგვარებელი, მაგრამ ერთი რამ უნდა ითქვას — „ქართულმა ოცნებამ“ შეძლო ის, რომ დღეს ჩვენი შვილები და შვილიშვილები უკრაინელების მსგავსად შემწეობის იმედად არ დგანან სხვა ქვეყნებში. ეს აუცილებლად უნდა დავაფასოთ! კონკრეტულ პრობლემებზე ზრუნვის დროც მალე მოვა!




*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***



# დიმიტრი სანაკოევი: 7 აგვისტოს, დილის 5 საათზე, დამიბარეს სააკაშვილთან, რომელმაც მითხრა – დღეს თუ კიდევ რაიმე დარღვევა მოხდება, უნდა შევიდეთ ცხინვალშიო!

***საქართველოს პარლამენტის დროებითმა საგამოძიებო კომისიამ 2025 წლის 27 მაისს — ე.წ. სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელი დიმიტრი სანაკოევი, ხოლო 28 მაისს ახალგორის გამგებელი გელა შერმადინი დაჰკითხა. სანაკოევი 2006 წლიდან 2022 წლამდე სააკაშვილის მიერ შექმნილი ე.წ. სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი იყო, ხოლო მანამდე — რუსეთის მიერ ოკუპირებული ე.წ. სამხრეთ ოსეთის მთავრობის დე ფაქტო პრემიერ-მინისტრი, ვიცე-პრემიერი და საგანგებო სიტუაციათა მინისტრი.***
***2007 წლის 8 მაისს სააკაშვილის პარლამენტმა, რომელსაც ნინო ბურჯანაძე*** *თავმჯდომარეობდა, 1922 წლის 20 აპრილის შემდეგ, საქართველოს ტერიტორიაზე კიდევ ერთხელ, ამჯერად მეორეჯერ შექმნა და აღადგინა* **ზვიად გამსახურდიას დროს გაუქმებული ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.** *2007 წლის 8 მაისს სააკაშვილის პარლამენტის დადგენილებით, ცხინვალის რეგიონში დროებითი ადმინისტრაციული ერთეული ჩამოყალიბდა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელად სწორედ* ***დიმიტრი სანაკოევი*** *დაინიშნა.*

## „მე თავიდანვე ვუთხარი მთავრობას, სანამ რუსეთთან არ დაალაგებთ სიტუაციას, არაფერი გამოვა–მეთქი!“

თეა წულუკიანმა დიმიტრი სანაკოევს ჰკითხა, თუ რა იყო მისი ადმინისტრაციის მთავარი მიზანი — **საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე კერძოდ, ქურთაში ბაზირება რაღაც ტიპის დროებითი სტრუქტურის სახით და შემდეგ ცხინვალზე შეტევა თუ სხვა რამ. დიმიტრი სანაკოევმა** განაცხადა, რომ არ იცის, რა იყო საქართველოს მაშინდელი მთავრობის **„მთავარი მიზანი“**, თუმცა, თავად სურდა **„იმ მშვიდობიანი პოლიტიკის შენარჩუნება, რაც არსებობდა 2003 წლამდე“.**

*დიმიტრი სანაკოევი: — მე 2001 წლამდე სამხრეთ ოსეთის მთავრობაშიც ვმუშაობდი და ვიცოდი, როგორ ვითარდებოდა ეს მშვიდობიანი პოლიტიკა, ერგნეთის ბაზრის მაგალითი რომ მოვიყვანოთ თუნდაც... კოკოითის დროს ოპოზიციაში ვიყავი და მაშინაც ვამბობდი, ომი არ გვინდა, ეს გზა ომისკენ მიდის-მეთქი!*

***თეა წულუკიანი: — კოკოითი რას გეუბნებოდათ ამაზე?***

*დიმიტრი სანაკოევი: — სხვანაირი გზა არ არსებობს. ომის შემთხვევაში რუსები გვაღიარებენო!*

თეა წულუკიანის კითხვაზე — **რამდენად ხშირად ხვდებოდა დიმიტრი სანაკოევი მაშინდელ ე.წ. პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილსა და შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილს, სანაკოევმა უპასუხა, რომ სააკაშვილს ის სულ ხუთ-ექვსჯერ შეხვდა როგორც საქართველოში (ქურთასა და თბილისში — სახელმწიფო კანცელარიაში), ისე უცხოეთში ვიზიტების დროს (ამერიკაში, ხორვატიაში, ბელგიასა და ბრიუსელში).**

**— თქვენ საქმიანობაში კურირებას ვინ გიწევდათ?** — ჰკითხა სანაკოევს თეა წულუკიანმა.

*დიმიტრი სანაკოევი: — შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე* ***ამირან მესხელი!***

კომისია დაინტერესდა, თუ გაიხსენებდა დიმიტრი სანაკოევი რაიმე მომენტს 2008 წლამდე, როცა **„დაეჭვდა სამშვიდობო განწყობების პერსპექტიულობაში“,** რაზეც მან უპასუხა, რომ **„სულ ეჭვობდა, რომ ეს პროცესი ცუდი მიმართულებით არ წასულიყო, რადგან „ვითარება ძალიან დაძაბული იყო“.**

***თეა წულუკიანი: — დაძაბულობას ვინ იწვევდა?***

*დიმიტრი სანაკოევი: — იქითა მხარე, მაგრამ აქაც არ იყო მარტივი!*

***თეა წულუკიანი: — ანუ იქიდან მოდის აგრესია და აქედან არის საკადრისი პასუხი, ამას გულისხმობთ?***

*დიმიტრი სანაკოევი: — ასე არ იყო? ასე იყო!*

***თეა წულუკიანი: — და თქვენ ხართ შუაში. არც ერთ მხარეს ეთანხმებით და არც მეორეს? ეუბნებოდით ვინმეს რამეს ამაზე?***

*დიმიტრი სანაკოევი: —* ***ამირან მესხელს*** *ვეუბნებოდი, თქვენ მაინც ნუ გაისვრით საპასუხოდ ერთი დღე ან კამერები დავაყენოთ, რომ ვაჩვენოთ, გაჩერებულები რომ ვართ-მეთქი!*

*კითხვაზე —* ***ზუსტად როდის გაიგო, რომ აგვისტოში ომი დაიწყებოდა, დიმიტრი სანაკოევს*** *მკაფიო პასუხი არ გაუცია. მისი თქმით, დაძაბულობა იმდენად ხილული იყო, რომ ვითარების გაუარესებას ყველა ელოდა, თუმცა, ივლისში* ***„ეს უკვე ნათელი გახდა“.***

***თეა წულუკიანი: — იმ პერიოდში თუ გქონდათ პრეზიდენტ სააკაშვილთან შეხვედრა?***

*დიმიტრი სანაკოევი: — კი მქონდა... 2008 წლის 7 აგვისტოს, დილის 5 საათზე, დამიბარეს სააკაშვილთან, რომელმაც მითხრა — მე განცხადების გაკეთებას ვაპირებ, სიტუაცია რომ დავამშვიდოთ და თქვენც უნდა გააკეთოთ მიმართვა ოსეთის მიმართ, რომ დღეს თუ კიდევ რაიმე დარღვევა მოხდება, უნდა შევიდეთ ცხინვალშიო!*

***თეა წულუკიანი: — თქვენ რა უპასუხეთ?***

*დიმიტრი სანაკოევი: — რუსები ზუსტად ამას ელოდებიან-მეთქი!*

***თეა წულუკიანი: — რა გიპასუხათ?***

*დიმიტრი სანაკოევი: — სააკაშვილმა მითხრა — ყველაფერი შეთანხმებულია უკვე, ნუ გეშინია, ნუ ნერვიულობ!*

***თეა წულუკიანი: — ვისთან არის შეთანხმებული?***

*დიმიტრი სანაკოევი: — არ ვიცი, ვერ ვკითხე! ალბათ, მთავრობაში... მერე მე წავედი სახლში და 12 საათი იყო უკვე, როცა ომი დაიწყო. დილის ექვსზე უკვე გორში ვიყავი...*

2008 წლის აგვისტოს ტრაგედიაში ეს ყველაზე უფრო საჭირბოროტო და მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან ისეთი კურდღელი და მარიონეტი, როგორიც სააკაშვილი იყო, ვინმესთან შეთანხმების გარეშე ცხინვალში ომს ვერ და არ დაიწყებდა. საინტერესოა, ვის „შეუთანხმდა“ ის და ვისგან იყო გულმოცემული, რომ ის უბედურება აეტეხა?

ამის შემდეგ **დიმიტრი სანაკოევმა** გაიხსენა გორის შეხვედრა **ვანო მერაბიშვილთან,** რომელსაც დროებით ცეცხლის შეწყვეტა სთხოვა, რათა ხალხი გამოსულიყო ცხინვალიდან, რაზეც მიიღო თანხმობა და პასუხი — **„იქნებ ხალხი, ერგნეთის გავლით აქეთ გადმოვიდეს! დიმიტრი სანაკოევის** განცხადებით, *„3-დან 6 საათამდე სროლა მართლაც გაჩერდა. მაშინ არც დენი იყო, არც წყალი, ხალხი „პადვალებში“ იყო დამალული და არ ვიცი, ყველამ გაიგო თუ არა ეს ჩემი განცხადება. მაგრამ მათი ნაწილი რუსეთისკენ წავიდა. ნაწილი აქეთ გადმოვიდა“.*

***თეა წულუკიანი: — სად ნახეთ ვანო მერაბიშვილი?***

*დიმიტრი სანაკოევი: — სადღაც სამხედრო ნაწილის შტაბი იყო და იქ. მის გარდა იყო თავდაცვის მინისტრი* ***დავით კეზერაშვილი*** *და გენერლები და სხვები.*

**დავით კეზერაშვილზე** საუბრისას **დიმიტრი სანაკოევმა** განაცხადა, რომ ***„მისი შთაბეჭდილებით, გადაწყვეტილების მიღება უჭირდა, ნერვიულობდნენ“.***

კითხვაზე, **იცნობდა თუ არა დიმიტრი სანაკოევი ირაკლი ოქრუაშვილს,** მან უპასუხა, რომ **„მხოლოდ ტელევიზორიდან“** და მას არასოდეს შეხვედრია პირისპირ.

***თეა წულუკიანი: — როცა მან ერთხელ თქვა, 2007 წლის ახალ წელს ცხინვალში შევხვდებითო, ცხინვალში ეს როგორ აღიქვეს?***

*დიმიტრი სანაკოევი: — ძალიან ცუდად. მაგის გამო და მანამდეც იქ* **ოქრუაშვილს** *პატივს არ სცემდნენ!*

***თეა წულუკიანი: — მე წარმომედგინა, რომ თქვენი ადმინისტრაციის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველდღიურად მაინც ხვდებოდით სააკაშვილს. თქვენ კი ამბობთ, სულ ხუთ-ექვსჯერ თუ შევხვდიო. ეს საკმარისია, რომ ოსებთან ნდობა დაგემყარებინათ და მშვიდობა გეშენებინათ?***



**პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და მოძრაობა „კოკოითი ფანდარასტ“-ის ხელმძღვანელი ვლადიმერ სანაკოევი**

## კვირგვინოსნები

**ია სულაბერიძე**
*პოეტი*



**სამართლიანობა უნდა აღდგეს** და იმ დიდ სახლში, რომელსაც **მაჩაბლის №13** ჰქვია, **მწერალთა კავშირს ფართი უნდა დაეთმოს.** მომხრე ვარ, ადამიანებმა, ვინც **მწერლები თავიანთი სახლიდან უსამართლოდ გამოაძევეს,** ყველაფერზე პასუხი აგონ.

„საერთო გაზეთი“

**ემზარ კვიტაიშვილი**
*პოეტი*



წინა ხელისუფლებამ **მწერალთა კავშირი სასტიკად დაარბია.** ასეთ რამეს აქამდე არასდროს შევსწრებივარ. გარდა ამისა, **დაარბიეს „ლიტერატურული საქართველო“, ჟურნალისტები გამომცემლობა „სამშობლოდან“ გამოყარეს,** რისი პატიებაც არ შეიძლება. მე თუ მკითხავთ, მარტო მწერლობას რაც გაუკეთეს, ისიც **საკმარისია ნაცების გასასამართლებლად.**

„საერთო გაზეთი“

**ირაკლი მელაშვილი**
*ანალიტიკოსი*



სამწუხაროდ, მართალი აღმოვჩნდი, რომ ვამბობდი, **დასავლეთი ნელ-ნელა შეეგუება, რომ ეს რეჟიმი არსებობს** და გარკვეული ურთიერთობები იქნება-მეთქი.

„კვირის პალიტრა“

**მამუკა არეშიძე**
*ექსპერტი*



უზარმაზარი ფული იხარჯება **ლობისტურ საქმიანობაში, პრაქტიკულად, ქვეყნის წინააღმდეგ.** ამ შემთხვევაში, ოპოზიციის ერთ ნაწილს ვგულისხმობ.

„კვირის პალიტრა“

# როგორც აწ განსვენებული ლეონარდო დევდარიანი მარწმუნებდა, სააკაშვილს ახალგორის ქართველებისგან დაცლის სანაცვლოდ დიდძალი ფული ჰქონდა აღებული!




*ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲡᲐᲜᲐᲙᲝᲔᲕᲘ:* *— არ ვიცი... ყოველდღე შეხვედრის მიზეზიც რა უნდა ყოფილიყო? მაგრამ, ალბათ, საკმარისი მაინც არ იყო. თუმცა, ჩვენც ბოლომდე ვერ ვაკონტროლებდით იმ სიტუაციას, რაც იქ ხდებოდა.*

***ᲗᲔᲐ ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲐᲜᲘ: — კამპანია „კოკოითი ფანდარასტზე“ რას ფიქრობდა ოსური საზოგადოება?***

*ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲡᲐᲜᲐᲙᲝᲔᲕᲘ: — ცხინვალში უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდათ. მაგაზე მე სააკაშვილთან არ მისაუბრია, მაგრამ როცა ეს კამპანია დაიწყო, ვთქვი, რა საჭიროა-მეთქი, ამას იქ ვერავინ გაიგებს-მეთქი!*

***ᲗᲔᲐ ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲐᲜᲘ: — რას ნიშნავს ეგ სიტყვა, „ფანდარასტ“?***

*ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲡᲐᲜᲐᲙᲝᲔᲕᲘ: — „კეთილი მგზავრობა“!*

***ᲗᲔᲐ ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲐᲜᲘ: — მაგრამ რეალურად, ეგ სიტყვა მაგ მნიშვნელობით არ იყო გამოყენებული. შეურაცხმყოფელი იყო!***

*ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲡᲐᲜᲐᲙᲝᲔᲕᲘ: — აზრი არ ჰქონდა. ვიმღერეთ და რა?*

კომისია ასევე დაინტერესდა — **იცოდა თუ არა ქართული ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲡᲐᲜᲐᲙᲝᲔᲕᲛᲐ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლამდე?** მან უპასუხა, რომ **მხოლოდ ცალკეული სიტყვების მნიშვნელობა იცოდა და რომ წერა-კითხვის სწავლა აქ დაიწყო.** გამოკითხვის ბოლოს **ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲡᲐᲜᲐᲙᲝᲔᲕᲡ** შესთავაზეს ოსურ ენაზე მიემართა ოსებისათვის.

მანამდე მან ქართულადაც მიმართა ოსებს და თქვა, რომ „მათ უნდა გაიგონ, რომ მათი სამშობლო საქართველოა“ და ცხოვრების ის ფორმა, რაც აირჩიეს, რუსეთზე დამოკიდებულება, უტოპიაა“.

●

***მეორე დღეს კომისიის წინაშე წარდგა ახალგორის რაიონის დღევანდელი გამგებელი*** *ᲒᲔᲚᲐ ᲨᲔᲠᲛᲐᲓᲘᲜᲘ,* ***რომელმაც ბევრ საჭირბოროტო საკითხზე ისაუბრა,*** *თუმცა, არ ახსენა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი. კერძოდ,* ***2008 წლის 15 აგვისტომდე, ვიდრე რუსი ოკუპანტები და ოსური ბანდფორმირებები ახალგორში შევიდოდნენ და იქაურ ქართველობას მძევლად აიყვანდნენ, ახალგორში შემოვიდა ქართული სპეცრაზმი, რომელიც ყანჩაეთის შემოსასვლელთან დაბანაკდა და ახალგორში შემოსასვლელი გზა ჩაკეტა.*** *წინა ღამით, სანამ რუსები და ოსები ახალგორში შემოვიდოდნენ, სპეცრაზმი — დაახლოებით 10-15 პიკაპი — აიყარა და ახალგორიდან ჩუმად გავიდა, ანუ* ***ᲡᲐᲐᲙᲐᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ, რომლებმაც დანამდვილებით იცოდნენ, რომ რუსები ახალგორში შედიოდნენ, რაიონი დაუცველი დატოვეს და არც ხალხი გააფრთხილეს, რომ თავი გადაერჩინათ!***

გარდა იმისა, რომ სააკაშვილმა ერთი უბედურება ჩაიდინა და შექმნა ე.წ. ცხინვალის დროებითი ადმინისტრაცია, ცენტრით სოფელ ქურთაში, პარალელურად საფუძველი დაუდო მეორე უბედურებასა და ტრაგედიას... იმისათვის, რომ ე.წ. ცხინვალის დროებითი ადმინისტრაციის სამოქმედო არეალი გაეფართოებინა, მან ე.წ. ცხინვალის დროებითი ადმინისტრაციის საზღვრებში შეიყვანა **ახალგორის რაიონი,** რომელიც მაშინ 65 სოფელს მოიცავდა12 ათას 145 მცხოვრებით.

1922 წლის 20 აპრილს, როდესაც **ᲡᲔᲠᲒᲝ ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲔᲛ ᲓᲐ ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲛᲐ** წარმოუდგენელი დანაშაული ჩაიდინეს და საქართველოში ე.წ. **სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი** შექმნეს, ახალგორის რაიონი, ანუ ისტორიული ქსნისა და ლეხურის ხეობები მაშინ იმ ოლქში შეიყვანეს. **1939 წლის აღწერით, ახალგორში 1 დაბა და 150 სოფელი იყო...**

ეროვნული მოძრაობის აღმავლობის ჟამს, **ᲖᲕᲘᲐᲓ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐᲡ** ზეწოლით, 1990 წლის 3 სექტემბერს, ჯერ კიდევ **ᲒᲘᲕᲘ ᲒᲣᲛᲑᲐᲠᲘᲫᲘᲡ** ცეკას მდივნობის დროს, ახალგორის რაიონი ე.წ. **სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს** ჩამოაშორეს და 1995 წელს, როცა შევარდნაძემ გუბერნიები შექმნა, მცხეთა-მთიანეთის გუბერნიას შეუერთეს. მოკლედ, ახალგორი, ანუ ყოფილი ლენინგორი, ქართულ წიაღს დაუბრუნდა. ეს ქართველობის დიადი გამარჯვება იყო, რაც მხოლოდ 17 წელი გაგრძელდა...

**2008 წლის 15 აგვისტოს ოსური ბანდფორმირებები და რუსი ოკუპანტები სააკაშვილის მიერ ბედის ანაბარა მიტოვებულ ახალგორში შევიდნენ... ნებისმიერი პატიოსანი ახალგორელი დაგიდასტურებთ და გეტყვით, რომ, თუ იმ დღეებში ახალგორში ოსებმა ქართველები არ დახვრიტეს და სახლები არ გადაწვეს, მხოლოდ იმიტომ, რომ რუსი სამხედროები ქართველებსა და ოსებს შორის ჩადგნენ და საშინელების ჩადენის უფლება ოს კრიმინალებს არ მისცეს.**

დღეს ახალგორში დაახლოებით 700-900 ქართველია დარჩენილი... სუყველა გამოცხადებულია კანონგარეშედ და მათი დამცველი და პატრონი მხოლოდ მამაზეციერია...

**ᲒᲔᲚᲐ ᲨᲔᲠᲛᲐᲓᲘᲜᲛᲐ** კომისიას განუცხადა, რომ 2007 წლის გაზაფხულზე ახალგორის რაიონის ახლადშექმნილი ცხინვალის დროებით ადმინისტრაციასთან მიერთება სააკაშვილსა და ნაცმოძრაობას ახალგორის მცხოვრებთათვის არ უკითხავთ.

## „სააკაშვილმა მითხრა – ყველაფერი შეთანხმებულია უკვე, ნუ გეშინია, ნუ ნერვიულობ!“

## გელა შერმადინი:

# ახალგორიდან ჯარი და მოსახლეობა ერთად გამორბოდნენ, ერთი ტყვიაც არ გავარდნილა!



*ᲒᲔᲚᲐ ᲨᲔᲠᲛᲐᲓᲘᲜᲘ: — 2008 წლის 8 აგვისტოდან 15 აგვისტომდე ახალგორის მოსახლეობა სრულ გაურკვევლობაში იმყოფებოდა. არავინ იცოდა, შემოვიდოდნენ თუ არა რუსები და ოსები. რაიონი სავსე იყო დამსვენებლებით. ამიტომ გაურკვევლობაში მყოფი ხალხი ღამით ტყეებს აფარებდა თავს. რუსები შემოვიდნენ 14-15 აგვისტოს... მოსახლეობა არავინ გააფრთხილა. მოსახლეობა ყოველდღიურად ელოდებოდა, რომ ვიღაცა რაღაცას იტყოდა, მაგრამ ასეთი გაფრთხილება არ ყოფილა და არც ადგილობრივმა ხელისუფლებამ იცოდა რამე!*

*შერმადინმა გაიხსენა, რომ „რუსებისა და ოსური ბანდფორმირებების ახალგორში შემოსვლას ტყვიის გასროლა არ მოჰყოლია, არც ვინმე მოუკლავთ. ოსურმა ბანდფორმირებებმა მხოლოდ მაროდიორობა დაიწყეს, ორგანიზაციები დაარბიეს და პირუტყვი გარეკეს, ხოლო 10-15 ქართველი პოლიციელი, რომლებსაც რაიონის დაცვა ევალებოდათ და რაიონიდან ვერ გააღწიეს, პოლიციის შენობაში დაატყვევეს.“*

***ᲗᲔᲐ ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲐᲜᲘ: — ე.ი. ახალგორი ისე დავტოვეთ, ერთი ტყვია არ გავარდნილა, არც ჯარს უსვრია და არც მოსახლეობას?***

*ᲒᲔᲚᲐ ᲨᲔᲠᲛᲐᲓᲘᲜᲘ: — დიახ, ახალგორიდან ჯარი და მოსახლეობა ერთად გამორბოდნენ, ერთი ტყვიაც არ გავარდნილა! ალბათ, იმანაც გადაგვარჩინა, რომ ჩვენი მხრიდან წინააღმდეგობა არ ყოფილა...*

***ᲗᲔᲐ ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲐᲜᲘ: — ვინც ჩარჩა, იმათაც არაფერი დაუშავეს?***

*ᲒᲔᲚᲐ ᲨᲔᲠᲛᲐᲓᲘᲜᲘ: — ახალგორში ძირითადად ჩარჩნენ ოსები და მოხუცი ქართველები. არავის არაფერი დაუშავებია...*

**ᲨᲔᲠᲛᲐᲓᲘᲜᲛᲐ** გაიხსენა მეტად საყურადღებო ამბავი — *„ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს როცა პრეზიდენტად ვირჩევდით, მცხეთის შტაბში მოვიდა და რომ გაიგო ახალგორიდან ვიყავით, ასეთი რამ თქვა: 2008 წელს მე ვესწრებოდი სააკაშვილისა და სარკოზის შეხვედრას, სადაც* ***ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ*** *რუსებმა უთხრეს — ახალგორი ბანდფორმირებებისგან გაწმენდილია და შედით, მოსახლეობა დააბრუნეთო! სააკაშვილმა ახალგორში შესვლაზე უარი თქვა — მთელი ცხინვალის რეგიონი გადმოგვეცით, მხოლოდ ახალგორში არ შევალთო!“*

**ᲒᲔᲚᲐ ᲨᲔᲠᲛᲐᲓᲘᲜᲘᲡ** განცხადებით, *„ამის შემდეგ სააკაშვილმა ახალგორში რამდენიმე საარჩევნო ყუთი დადგა და ე.წ. ქურთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის* ***ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲡᲐᲜᲐᲙᲝᲔᲕᲘᲡ*** *„საპრეზიდენტო არჩევნები“ ჩაატარა!“ ამის გამო „ხალხი ძალიან იყო გაბრაზებული და მიტინგების გამართვასაც აპირებდნენ, მაგრამ ნაცებმა ეს პროტესტი ჩაფარცხეს“.*

სხვათაშორის, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, თქვენს მონა-მორჩილს საგაზეთო ინტერვიუში იგივე განუცხადა აწ განსვენებულმა **ᲚᲔᲝᲜᲐᲠᲓᲝ ᲓᲔᲕᲓᲐᲠᲘᲐᲜᲛᲐ,** რომელიც რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ წრეებთან და სპეცსამსახურებთან ძალიან დაახლოებული პირი და **გენერალ პავლე გრაჩოვის ვაჟის ნათლია იყო.** როგორც აწ განსვენებული **ᲚᲔᲝᲜᲐᲠᲓᲝ ᲓᲔᲕᲓᲐᲠᲘᲐᲜᲘ** მარწმუნებდა, **ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ** ახალგორის ქართველებისგან დაცლის სანაცვლოდ დიდძალი ფული ჰქონდა აღებული!

ვფიქრობთ, **ᲗᲔᲐ ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲐᲜᲘᲡ კომისია ამ საკითხითაც უნდა დაინტერესდეს და ისიც გაარკვიოს, დავითგარეჯისა და ჩიჩხიტურის სიმაღლეების დათმობა რის სანაცვლოდ მოხდა!**

დარწმუნებული ვართ, მიზეზი აქაც ფული იქნება, რომელმაც სააკაშვილი და მთელი მისი საღორეთი ვერაფრით გააძღო!

*მოამზადა*
***ᲓᲘᲢᲝ ᲩᲣᲑᲘᲜᲘᲫᲔᲛ***

## ᲙᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

**ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲒᲐᲒᲜᲘᲫᲔ**
*უფლებადამცველი, ადვოკატი*



ოპოზიციონერებს **ჯარიმის თანხის გადაუხდელობა და ციხეში წასვლა** იმისთვის სჭირდებათ, რომ პროცესებმა იდუღოს და საერთაშორისო ლობისტებს აჩვენონ — **მანდედან ფინანსები რომ მოდის, აქ საქმე კეთდებაო.** ეს ციხე სანატორიუმია იმასთან შედარებით, რაც მიშას დროს იყო. **აი, სააკაშვილის დროს უნდა მოხვედრილიყვნენ იქ და მერე გაიგებდნენ, ციხე რაც არის.**

„ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ“

**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲕᲐᲨᲐᲫᲔ**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი*



**მე ჩემი ქონება ჩავდე — სახლი, ამით გადავავადე ჩემი დაპატიმრება.** ყველა ერთდროულად ციხეში არ არის საქმისთვის კარგი, თორემ **ზურა გამოვა, მე მომიწევს ციხეში წასვლა და პირიქით,** ამისთვის ყველა მზად ვართ. საბოლოო გამარჯვება ჩვენი იქნება, ამაში დარწმუნებული ვარ!

„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲐ“

**ᲚᲔᲕᲐᲜ ᲐᲚᲐᲤᲘᲨᲕᲘᲚᲘ**
*კონსტიტუციონალისტი*



**ჩვენ ორი „ფარა“ გვაქვს,** ამერიკასაც კი გავუსწარით. **მათ ერთი „ფარა“ აქვთ.** მმართველმა პარტიამ მიიღო **რუსული კანონი,** მაგრამ ვერ აამოქმედა, რადგან იმთავითვე მკვდრადშობილი იყო.

„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲐ“

**ᲓᲐᲗᲝ ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ**
*ყოფილი პარლამენტარი*



ვიღაცებს განცდა აქვთ, **თუ ნაცები ხელისუფლებაში დაბრუნდებიან,** ისე აღარ მოიქცევიან, როგორც იქცეოდნენ, მაგრამ **მე ამის არ მჯერა.**

„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲐ“

# რით უნდა ამაყობდეს ქართველი?

*დასაწყისი იხ. „ა–დ“, 2025 წლის №1–2, 3–22*

***პროფესორ სვიმონ მასხარაშვილის განცხადებით, მე-12 საუკუნის საქართველო მაშინდელ მსოფლიოში იმავე როლს ასრულებდა, რასაც მე-16 საუკუნეში — პორტუგალია, მე-17 საუკუნეში — ნიდერლანდები, მე-18 და მე-19 საუკუნეებში — დიდი ბრიტანეთი, ხოლო დღეს — ამერიკის შეერთებული შტატები:***

— ქართველი ერის თვითშეგნებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ **დავით აღმაშენებლიდან ლაშა-გიორგიმდე** საქართველო მსოფლიო პოლიტიკის ჰეგემონი იყო! ცხადია, იმის განცდა, რომ ოდესღაც ზესახელმწიფოს შემქმნელი ერი ვართ, უდიდესი მუხტია მომავალი თაობებისათვის, დღევანდელ უსამართლო მსოფლიოში ქართველებს საამაყო გვაქვს თუნდაც **დავით აღმაშენებლის სასამართლო რეფორმა.** თვით ძველ რომშიც და თანამედროვე დასავლურ სამყაროში არ მოიძებნება ისეთი დახვეწილი სასამართლო სისტემა როგორიც დავით აღმაშენებელმა შექმნა. გარდა იმისა, რომ იმხანად საქართველოში არსებობდა პროკურორი, რომელსაც ეწოდებოდა **ბრალმდებელი,** ყველა მხარეს ჰყავდა ადვოკატი, ანუ **მეოხი.** სასამართლო კოლეგია იყო სამკაციანი და ექვსკაციანი და არსებობდა როგორც სააპელაციო, ისე ადგილობრივი სასამართლოები. **თვით მეფეც კი ითვლებოდა სამართალვალდებულად,** რადგან უზენაეს სასამართლოს მეთაურობდა არა მეფე, არამედ **სააჯო კარი,** რომელსაც **მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი** მეთაურობდა.

ეს ყოველივე მეორეხარისხოვანია იმასთან შედარებით, როგორც სასამართლო იყო მოწყობილი. კერძოდ, არსებობდა ცალ-ცალკე **სასამართლო კოლეგიები რეგიონების, პროფესიებისა და საზოგადოების სოციალური კუთვნილების მიხედვით.** მაგალითად, ცალკე იყო **ქუთაისელ ფეიქართა სასამართლო კოლეგია,** ხოლო ცალკე — **კახელ მევენახეთა და მესხ აზნაურთა კოლეგიები.** დავუშვათ, ქუთაისელი ფეიქარი და მესხი აზნაური ერთმანეთს რაღაცის გამო ედავებოდნენ... იკრიბებოდა ორივე კოლეგია ექვსი კაცის შემადგენლობით, ორივე მხარეს ჰყავდა ადვოკატი, ანუ **მეოხი,** ხოლო პროკურორი, ანუ **ბრალმდებელი,** ერთი გახლდათ.

ნებისმიერ სადავო საკითხზე ორივე მხარეს, მინიმუმ, სამი მოწმე და ნივთმტკიცებები სჭირდებოდა. მხარეებს უწყებას გადასცემდნენ **ჩენილნი.** თუ სამოქალაქო დავა იყო, მოკვლევას ატარებდნენ **მანდატურები** და შესაბამისი უწყებების პასუხისმგებელი პირები. კატეგორიულად აკრძალული იყო **ორდალიები,** რაც მაშინდელ ევროპასა და რუსეთში გაბატონებული გახლდათ. სამწუხაროდ, მე-16 საუკუნიდან **ორდალიები** საქართველოშიც გავრცელდა, რაც ქართული სახელმწიფოებრიობისა და სამართლებრივი აზროვნების, საერთოდ, კულტურის დაცემის უპირველესი გამოვლინება იყო.

**— მოდით, ავუხსნათ საზოგადოებას, რას ნიშნავს ორდალია?**

— **ორდალიის** დროს მტყუან-მართალი ირკვევა ან ორთაბრძოლით ანდა სხვეულისმიერი მანიპულაციებით. მაგალითად, **ეჭვმიტანილს ხელზე დაადებდნენ გავარვარებულ მეტალს, შემდეგ მალამოს გადაუსვამდნენ, შეუხვევდნენ და ორი კვირა ამარხულებდნენ. თუ ამ ხნის განმავლობაში იარა მოუშუშდებოდა, ეჭვმიტანილი გამართლდებოდა, ხოლო, თუ დაჩირქდებოდა — გამტყუნდებოდა.**

როგორც უკვე მოგახსენეთ, დავითის დროს, როცა ორ სხვადასხვა სოციალურ ან პროფესიულ მხარეს შორის იყო კონფლიქტი, განაჩენი გამოჰქონდა **ექვსკაციან კოლეგიას,** მაგრამ სასჯელის ზომასა და მის აღსრულებაზე ზედამხედველობას კისრულობდა ის სამკაციანი კოლეგია, რომელსაც დამნაშავე მხარე წარმოადგენდა. ეს ხდებოდა იმიტომ, რომ არცერთი წრის, კუთხისა თუ პროფესიის ინტერესი არ შელახულიყო.

რაც შეეხება სისხლის სამართლის საქმეებს, ამისთვის არსებობდა ცალკე კოდექსი, რომელსაც ერქვა **„სამართალი სამპარავთმძებნელოი“.** სისხლის სამართლის სამძებროს ხელმძღვანელს ერქვა **მპარავთმძებნელთუხუცესი,** ხოლო გამომძიებელს — **მპარავთმძებნელი.** თუ დანაშაული არ ეხებოდა მკვლელობას, სახელმწიფო ღალატს, გარყვნილებას, სოდომურ ცოდვასა და სხვა უმძიმეს დანაშაულებს, მაშინ **მპარავთმძებნელთუხუცესის** უწყება, ზემოხსენებული კოდექსის საფუძველზე, მარტივად ახორციელებდა სამართალწარმოებას. სასამართლო სისტემის ასეთი დახვეწილი და დემოკრატიული მოდელი დღევანდელ მსოფლიოშიც არსად იძებნება. ფაქტობრივად, ნებისმიერ დანაშაულზე დაწესებული იყო შესაბამისი **სასისხლო გადასახდი.** საქართველოში თვით ერისთავთ-ერისთავის მკვლელობის გამოც კი არ დაგსჯიდნენ ფიზიკურად, თუ დღევანდელი კურსით დაახლოებით 120 მილიონ ლარს გადაიხდიდი! **მეფისა და პატრიარქის მკვლელობაზე ქართული სისხლის სამართლის კოდექსში არაფერი ეწერა, რადგან მათი სისხლი შეუფასებელი იყო.**

საერთოდ, ქართული სამართლის სრულ კრებულს **„ვახტანგ მეექვსის სამართალი“** წამოადგენს, რომელიც ქართული სამართლის უძველეს ძეგლებს, ჩვეულებით სამართალს და, მათ შორის, დავით აღმაშენებლის დროინდელ სამართალსაც ეფუძნება. დავით აღმაშენებლის სასამართლოში პრიორიტეტული იყო ადამიანის ღირსების დაცვა, მიუხედავად ადამიანის სოციალური წარმოშობისა და მატერიალური კეთილდღეობისა. ეს პრინციპი ქართულ სამართალში ყოველთვის დომინანტი იყო. ამის თვალსაჩინოდ **„ვახტანგ მეექვსის სამართლიდან“** თუნდაც ორი მუხლის დასახელება კმარა!

**— კერძოდ...**

— **თუკი თავადი ყმა-გლეხის ოჯახის წევრ ქალს შეაცდენდა, ამ ქალის ნებისმიერ ნათესავს უფლება ჰქონდა, ნებისმიერ დროს და ნებისმიერ სიტუაციაში მოეკლა თავადი.** ამის გამო ის არც უფლის და არც სახელმწიფოს წინაშე პასუხს არ აგებდა. ასევე, **თუკი თავადი ყმა-გლეხს მოკლავდა, თავადის მთელი მამული ყმა-გლეხის საკუთრებაში გადადიოდა.** ამასთან, თავადი ყმა-გლეხის მოკვლისათვის პასუხს აგებდა როგორც უფლის, ისე სახელმწიფოს წინაშე. **დავით აღმაშენებელმა** საზოგადოების იერარქიული დაყოფა ფუნქციურით შეცვალა. ამიერიდან წოდებები ერთმანეთისგან არა ღირსებით, არამედ ფუნქციებით განსხვავდებოდნენ. მე-14 საუკუნის დასაწყისში გადაწერილი საქართველოს კონსტიტუციის ტექსტი — **„გარიგება ხელმწიფისა კარისაი“** ჩვენამდე მოღწეულია და ცნობილია. ამ კონსტიტუციის მუხლები აშკარად დავით აღმაშენებლის პერიოდიდანაც ძალაში იყო. აქ თვალშისაცემია შემდეგი რამ — იერარქიულად, მწიგნობართუხუცესის შემდეგ, ყველაზე მაღლა **მანდატურთუხუცესი** იდგა. ეს თანამდებობა დღევანდელი გაგებით ვიცე-პრემიერის ფუნქციას ითავსებდა და შინაგან საქმეთა, საგარეო საქმეთა და კომუნიკაციების სამინისტროების დარგებს კურირებდა. **მანდატურთუხუცესის** უშუალო დაქვემდებარებაში იმყოფებოდნენ **ამირეჯიბი და 300 მანდატური.** ამირეჯიბი საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, ხოლო 300 მანდატური ასრულებდა რომაული კვესტორებისა და ედილების ფუნქციას, ანუ კურირებდნენ ადგილობრივ თვითმმართველობებს, კომუნიკაციებს, გზებს, სარწყავ არხებს, აკონტროლებდნენ გადასახადებს და ა.შ. **კანონის თანახმად, სამასი მანდატურიდან 297 აუცილებლად გლეხი უნდა ყოფილიყო.** თუკი ეს გლეხი მეტისმეტად გამოიჩენდა თავს და მეფე აზნაურობას მიანიჭებდა, მაშინ მის ადგილს სხვა გლეხი დაიკავებდა. ძირითადად, ვისაც მანდატურები აკონტროლებდნენ, ან აზნაურები იყვნენ, ანდა **მკვიდრნი, ანუ ბურჟუა-მოქალაქენი.** მანდატურთუხუცესზე ორი საფეხურით დაბლა იდგა **მსახურთუხუცესი,** ანუ **სამეფო დომენის მინისტრი.** მსახურთუხუცესის დაქვემდებარებაში იყო **მესაწოლეთუხუცესი,** რომელიც წარმოადგენდა **მეფის დაცვის უფროსს** და ემორჩილებოდა **700 მესაწოლე, ანუ მეფის მცველი.** 700 მესაწოლედან მხოლოდ 8 შეიძლებოდა ყოფილიყო აუცილებლად გლეხი, დანარჩენი — აზნაური, ანუ **მესაწოლე აზნაურები** ოთხი საფეხურით უფრო დაბლა იდგნენ, ვიდრე **გლეხი მანდატურები.** დავით აღმაშენებლის შემდეგ მესაწოლეთუხუცესის უფროსი მსახურთუხუცესები გლეხები იყვნენ — **აფრიდონი, ჭიაბერი... თბილისის მერე-**



## სვიმონ მასხარაშვილი:

## დავით აღმაშენებლიდან ლაშა-გიორგიმდე საქართველო მსოფლიო პოლიტიკის ჰეგემონი იყო!



**დავით აღმაშენებლის** ფრესკა **გელათის მონასტერში** *(ფრაგმენტი)*

**„დავით აღმაშენებელმა მთელ საქრისტიანოში პირველად, ბრიტანეთსა და საფრანგეთზე 500 წლით ადრე, არმია პროფესიულ საწყისებზე გადააწყო და ძირითადად ხელფასიანი გახადა!“**

## კვირგვინოსნები

**ვასილ წერეთელი**
*რუსეთის სამხატვრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ზურაბ წერეთლის შვილიშვილი*



**არ უყვარდა, როცა ბაბუას ეძახდნენ.** დილას ძალიან ადრე დგებოდა, პირს გაიპარსავდა, მოწესრიგდებოდა და ხატვას იწყებდა. ყოველთვის კარგ ხასიათზე იყო. **სპორტული სამოსი არ უყვარდა.** დილიდან პიჯაკში გამოეწყობოდა და მზად იყო ყოველდღიური გამოწვევისთვის. **მახსოვს, უყვარდა მჭადი, ძალიან მშრალი... წერეთელი იყო და, ალბათ, ამიტომაც.** ერთადერთი, რასაც მუდმივად მეუბნებოდა: **„წადი ხატე!“** დამიდებდა თავისი მოლბერტის გვერდით ჩემს პატარა მოლბერტს და **მასთან ერთად ვხატავდი.**

საქართველოში **ზურაბ წერეთლის** დაწყებული **ყველა პროექტი გაგრძელდება.**

„ჯორჯიან თაიმსი“

**იმედი კავსაძე**
*მომღერალი, კახი კავსაძის ძმა*



**კახიმ** თეატრალურში რომ ჩააბარა, **ძალიან ცუდი მეტყველება ჰქონდა,** იმდენად ცუდი, რომ ინსტიტუტში ამბობდნენ — **ამან სცენაზე როგორ უნდა ილაპარაკოსო?** მაგრამ გაუმართლა, ძალიან კარგი პედაგოგები **(ანიკო მრევლიშვილი, ბაბულია ნიკალაიშვილი, კოტე მახარაძე)** შეხვდნენ, თავადაც მონდომა და **სრული გარდასახვა მოახდინა.** ნიჭიერება ხელს თუ გიწყობს და სათანადოდ მოინდომებ, **მიუღწეველი არაფერია!**

„კვირის პალიტრა“

**ნანი ბრეგვაძე**
*მომღერალი*



ჩვენი დრო უკვე მთავრდება, მოდის ახალგაზრდების დრო! **ამბობენ — ნანი მოსკოვში მღეროდაო და რა სისულელეა?** სად უნდა წავსულიყავი სხვაგან, ეს ერთი სახელმწიფო იყო. სიმფონია **ყველას ხომ არ ესმის?** ასევეა პოლიტიკაც! **მე არ მესმის და არც არასოდეს ვერევი!**

„რეზონანსი“

**ბესო ბარათაშვილი**
*მსახიობი*



გაზეთში დამიწერა ვიღაცამ — **ამ ლიპიანი არტისტების ატანა აღარ მაქვსო.**

„თბილისელები“



**ლაშა-გიორგის** ფრესკა **ბეთანიის მონასტერში** *(ფრაგმენტი)*

**ბი (ამირთ-ამირები),** რომლებიც იურიდიულად **ფინანსთა მინისტრის, ანუ მეჭურჭლეთუხუცესის** მოადგილეებად ითვლებოდნენ, როგორც წესი, არააზნაურები იყვნენ და **მეზვიდრთა, ანუ ქალაქელ ვაჭარ-ხელოსანთა და ორთაღთა, ანუ ბანკირთა** ფენას ეკუთვნოდნენ.

**— დავით აღმაშენებლის არმია ვისზე იდგა?**

— როგორც წესი, **აზნაური** ნიშნავდა და გულისხმობდა **ჯარისკაცს!** თუ შენ აზნაური იყავი, ეს ავტომატურად იმას ნიშნავდა, რომ აუცილებლად ჯარისკაცი უნდა ყოფილიყავი. **თუ ომში მონაწილეობაზე უარს იტყოდი ან ილაჩრებდი, აზნაურობას ავტომატურად კარგავდი.** დავით აღმაშენებელმა მთელ საქრისტიანოში პირველად, ბრიტანეთსა და საფრანგეთზე 500 წლით ადრე, არმია პროფესიულ საწყისებზე გადააწყო და ძირითადად ხელფასიანი გახადა. ოღონდ ინგლისისა და განსაკუთრებით საფრანგეთისგან განსხვავებით, სადაც არააზნაურული წარმოშობის კაცი 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციამდე სერჟანტზე უფრო მაღალ წოდებას ვერ ეღირსებოდა, **დავით აღმაშენებლის საქართველოში ყველაზე მდაბიო წარმოშობის, მაგრამ ვაჟკაც და გონიერ ჯარისკაცს გზა ხსნილი ჰქონდა, რათა ერისთავობის, ერისთავთ-ერისთავობისა და ამირსპასალარობისთვისაც კი მიეღწია!**

**— მაინც როგორ იყო მოწყობილი დავითის ლაშქარი?**

— რჩეულ გვარდიას წარმოადგენდა 5-ათასკაციანი **მონა სპა.** ეს იყო ძალიან კარგი ხელფასით უზრუნველყოფილი, **გამოცდილი ვეტერანებით დაკომპლექტებული რჩეული ჯარი** და არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მეფის ძმა იყო თუ გლეხი, ყველა ერთნაირ ხელფასს ღებულობდა. ეს ძალიან მაღალი ხელფასი იყო და არათუ ოჯახის, არამედ საგვარეულოს რჩენაც კი შეეძლო. დავით აღმაშენებელიც კი ხელფასს იღებდა, რომელსაც მერე ქვრივ-ობლებსურიგებდა... მეორე იყო ასევე **ხელფასით უზრუნველყოფილი 20-ათასკაციანი რეგულარული ჯარი.** მესამე იყო ნახევრად სახელმწიფო კმაყოფაზე მყოფი **20-ათასკაციანი აზნაურული მხედრობა.** ლაშქრობის დროს მათ აღჭურვილობით, ცხენით, იარაღითა და საკვებით მთლიანად სახელმწიფო უზრუნველყოფდა. შემდეგი იყო ძირითადად ჩრდილოეთ კავკასიელებისგან დაკომპლექტებული და დაქირავებული ჯარი, რომელსაც მერე **როქის სპა** დაერქვა. ეს იყო, მაქსიმუმ, 5-ათასკაციანი შენაერთი. ამას ემატებოდა **დავით აღმაშენებლის მიერ თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ჩასახლებულ ყივჩაღთა 40 ათასი ოჯახი,** რომლებიც დავითმა გააქრისტიანა. ყივჩაღები მეფეს, მაქსიმუმ, **40 ათას მხედარს** აძლევდნენ და მათი ფუნქცია საზღვრების დაცვა და სელჩუკურ სახელმწიფოებზე თარეშული თავდასხმები გახლდათ.

**ქართველებმა ნამდვილად უნდა ვიამაყოთ იმით, რომ საქართველო საქრისტიანოში პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც პოლიტიკური, სამხედრო, ფინანსური თუ კულტურული ასპარეზი გაუხსნა ნებისმიერ მოქალაქეს, მიუხედავად მისი წარმომავლობისა და ქონებრივი მდგომარეობისა,**

ხოლო, თუ რა ცვლილებები განახორციელა დავითმა ეკლესიაში და რატომ, ამის შესახებ ცალკე ვისაუბროთ!

*ესუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**გიორგი ფოცხიშვილი**
*ბალეტონი*



ჩემი **თითოეული** ნაბიჯი, **თითოეული** ნახტომი, **თითოეული** სპექტაკლი, როლი, სადაც არ უნდა ვიყო, **ეძღვნება ჩემს ქვეყანას და ქართველ ხალხს,** ვისაც ასე ვუყვარვარ და ვეიმედები.
„კვირის პალიტრა“

**ჯენიფერ ლოპესი**
*მსახიობი*



ჰოლივუდში შენი სათქმელი ბოლომდე უნდა თქვა. **ჭორები ჩემ შესახებ უფრო ადრე მაღიზიანებდა,** როდესაც ჰოლივუდში ახალი ჩამოსული ვიყავი, **ახლა უკვე მიჩვეული ვარ.**
„ახალი თაობა“



# ვანო ჩხიკვაძე

# ივნისი



გადის ივნისი —
ეს წელიწადიც
მწიფე თავთავებს
დახრის მიწამდე.

აუჯანყდება გული საგულეს,
ჩამოღვენთილი
მზის წამწამიდან —
მე რომ მიყვარდა,
ის გაზაფხული,
თუკი წავიდა,
ვისთან წავიდა!

ვისაც ეგონა დრო შეაჩერა,
ვინც იჭენავა
იღბლის ულაყით,
ადრე თუ გვიან
დრომ შეაჩვენა —
მკერდზე ამოსდის
ბალახ-ბულახი.

ზოგს ქალამანი
და რკინის ჯოხი,
ზოგს ტახტრევანი
ერგო მორთული,
წუთისოფელის
გრძელდება დოღი
უცხო ფუსფუსით
და ჩიქორთულით.

ვისაც კერპად ჰყავს
კუჭის ხატება,
სულ მშვენიერი
უდგას ამინდი —
ჭკუას აკლდება,
ღიპს ემატება.
სუქდი პაწიავ,
შენი რა მიდის!

გადის ივნისი —
ეს წელიწადიც
მწიფე თავთავებს
დახრის მიწამდე.
აბა, ვინ გეტყვის,
წასვლის წინადღეს,
სულო, ცოდვილო,
ჯერ შეიცადე!

მოგონილია ტანჯვა იობის —
ვკურნავ ჭრილობებს
ცრემლის იოდით,
ვინ დამაპურა, როცა მშიოდა,
ან ვინ გაიგო,
რატომ მტკიოდი!

ვისაც მფარველობს
ვიცი, თემიდა,
ისმის სისინი ყველა
ხვრელიდან —
გაუმაძღრობის ჯდომი აწვება,
ზომაზე მეტად
მაძღარ ელიტას.

იმედი, როგორც
ერთგული ძაღლი
ვინ მოკლა
ანდა ვინ გაათრია —
სიმართლეს ვიდრე
მოხდიან ნაღებს,
დასტეიკებულ დუმას
ათლიან.

რაღა უნდა ვთქვა,
როცა ყაურმას
გადაუჯოკრა ქუჩის შაურმამ,
როცა აიკლო გზები საურმე
ჯოჯოხეთურმა დროის
ხმაურმა.

აღარ მობეზრდათ
თხების კიკინი,
თუმც კახპა ტყუილს
უჩანს ბიკინი,
როგორღა იხსნას
სულმა სხეული,
ღვთის წყალობაზე
ზურგშექცეული...

ქარს მშობიარობს
ისევ ქარი და,
ფანჯრით მოსული
გადის კარიდან,
იმან გაუგო ამ წუმპეს გემო,
ვინც დომხალს თავი
არ გაარიდა.

ირგვლივ მათხოვრის
ჭიქის წკარუნი,
რეკლამიდან კი —
ფიცხი პუდელი,
ბაქმაზის ენაგადმოგდებული
მოგდევს და გიყეფს
ჰამ-ჰამბურგერი!

მაცდუნებელი
კლიპის ხაფანგი,
თრობის ჭაობი —
შეშლილ კაბარეს,
შვილებს, ღამეთა
თევით დაბანგულს,
ნებაყოფლობით
მძევლად ვაბარებთ.

სადაც უკმევენ
გუნდრუკს არაფერს
თავს ვიღა იმტვრევს —
ღირს თუ არა ღირს...
გადავფრინდებით
ვიდრე ქარაფით,
მწარე არაყით
რა სჯობს ჰარაკირს!

აღარ გადადის ყელში ბეკონი,
შხამი, რომელიც
თაფლი გვეგონა
და გაგვახსენა ის,
ვინც თხუთმეტი
ძმობის ყვავილი
ერთად შეკონა.

უსამართლობის
მებაღე-ცერბერს
მემკვიდრეობით
დარჩა სამყარო,
აბა, სად არის იმდენი ცერცვი
პიტალო შუბლებს
რომ შევაყაროთ.

აღარც ალი ჩანს,
არც ნაპერწკალი,
დაჰყეფს ყორანი
გალეწილ კალოს,
მიტოვებული სახლის
მერცხალი
გაფრინდა, სულ სხვა
მხარეში გალობს.

ნუ გგონია რომ გადაიკრუხა,
აღარც მდევნელი,
აღარც დევნილი —
პაოლოს თოფი
კვლავ დაიქუხებს,
მდუმარე ბოღმით
გადატენილი.

**დედა-ღვთისმშობლის**
**მწუხარე სახით,**
**ვინც ხმა ზეციურ**
**ხმებს შეუერთა,**
**მოდი, ობოლი**
**სამშობლო ნახე,**
**ხელგაშვერილი**
**დგას ქაშუეთთან.**

ვინც საკენკისთვის
ხელზე დაფრენილ
მტრედივით ფრთები
ვეღარ გაშალა,
განიკითხავდა,
მაგრამ უპოვარ
გამჩენს გროშები ვინ მიაშავა...

ივნისმაც ჩავლილ
დღეების რემა,
ბაგაზე წარსულს უკვე დაუბა,
ძოწისფერ კიმპალს
ჩიტების სტვენა
ვეღარ დაჰკიდებს
ყურზე ალუბალს.

ვინ გეტყვის, კარი
რატომ დახურეს,
როცა წყალობაც
დღემდე გზაშია,
რად გაშრა —
სასჯელს მე ვიმსახურებ —
გამზრდელის ძუძუ
რა შუაშია!..

ზოგს ქალამანი
და რკინის ჯოხი,
ზოგს ტახტრევანი
ერგო მორთული,
წუთისოფელის
გრძელდება დოღი
უცხო ფუსფუსით
და ჩიქორთულით.

**მე და ამ ყმაწვილს**
**რა გვაქვს საერთო —**
**მე — ღვინით, ეს კი**
**ლუდით კაეფობს!..**

დგება დაისი: —
დალევ? დაისხი!
ახლა არაყით
რა სჯობს ჰარაკირს,
სიბრძნის სიცრუით,
მიდი, აივსე,
ამ ქვეყნად მოსვლა
ღირს თუ არა ღირს!

თუ გამოვაცლით
რწმენას ყავარჯენს
მითხარი, როგორ
უნდა გადავრჩეთ —
ვერ დაიფარავს
მთელი ლამანჩაც,
როცა წისქვილი
ებრძვის ლამანჩელს.

როცა აუკრავს პირს ალიკაპი,
გულხელდაკრეფილს
მკერდზე მიხაკით —
ცოცხალ ყვავილს
და სხეულის დურდოს
ერთად მიიღებს მიწის წიაღი.

**მითხარ, ან ამათ**
**რა აქვთ საერთო,**
**წითელი ერთად**
**რატომ აენთოთ!**

რაღად სჭირდებათ
ვარდის სუნამო
დაქცეულ ტროას,
წაქცეულ თებეს,
როცა არყოფნის
უტევს ცუნამი
ყვავს — სამასი წლის
ცუანა ბებერს!

**ჩვენც აგვახევენ,**
**ვიცი, ლაყუჩებს,**
**სიცოცხლე მოკლე**
**დროით გვაჩუქეს.**

ვერც ჩვენ მოვუგებთ
სიკვდილს ამ დუელს,
ვინ შეგვიწყნარებს,
ვინ გვყავს თავდები —
და სამშობლოდ რომ
შემოგვატყუეს
ჩვენც იმ სანაგვეს
მივემატებით.

ნუ მკითხავ,
აბა, რა გვაქვს საერთო
ქორფა ჯეჯილს
და გალეწილ კალოს,
ის მონიტორში
ყურყუმელაობს,
მე კვლავ არქაულ ბატის
ფრთით ვწვალობ.

**ვერ გაჭენდება**
**კიდევ მერანი,**
**გაწყალებული**
**სისხლის მელანით.**

**თუ ვერ გაუძლებს**
**ღვიძლი სამსალას**
**არ მოაკლდება**
**სიკვდილს მასალა.**

გავარდეს ჯანი —
დაჯდეს იაქი,
ღამის სასწრაფო
და აფთიაქი —

მუჭით ჩაუშვი,
აბი აბია,
ამ საყურიან თვალებნაბვიას,
უნდა შევბედო ჩემი კაფია —
თავიც და ისიც ვითომ აბია!

**თუ დასჭირდება**
**აქვე ჩაიხდის**
**და ყველას თვალწინ**
**ნატვრას აიხდენს!**

მიდი ჯეელო,
მიდი, ჯიგარო,
უფალზე ჯავრი უნდა იყარო,
შენი რა მიდის,
დროა, იჩქარო,
გამოსაგველი გამოიგავო!..

აიჭრა კარტი —
მიდი-მოდიან,
ტაშის დამკვრელი
ცოტა როდია,
აღვირახსნილი ქუჩის ცეტობა
თუკი დასწამებს
ღმერთს უღმერთობას!

ხვალ რა იქნება,
როგორ მიხვდები,
თუ გააგრილებს
ცხელ შუბლს მარაო,
როცა ათასი
ყულფი კითხვების —
უხსენებელის თავი ქანაობს!

ვინ გაიხსენებს
ფიქრით ნაგვემი
კაცის ცხოვრებას,
რომელიც იყო,
ან მზერას მაინც
თუ გაადევნებს
საწყალი ლექსის
მორბენალ სტრიქონს!..

**თუ არ ამოსდებ**
**ეჭვებით დაღლილ**
**და წამოყალყულ**
**სამყაროს აღვირს —**

ვერ შეგიძულებ,
ვერც შეგიყვარებ
სად ხარ ან ვისი
სახელით ცხოვრობ,
თუ ვერ იგრძნობ, რომ
გემს აყირავებს
ჩვენი მოსისხლე
ვეშაპის ბოლო!..

გადის ივნისი.
ეს წელიწადიც
მწიფე თავთავებს
დახრის მიწამდე,
არც მე მეტყვიან,
წასვლის წინადღეს —
სულო, ცოდვილო,
ჯერ შეიცადე!

**დედა-ღვთისმშობლის**
**მწუხარე სახით,**
**ვინც ხმა ზეციურ**
**ხმებს შეუერთა,**
**მოდი, ობოლი**
**სამშობლო ნახე,**
**ხელგაშვერილი**
**დგას ქაშუეთთან.**

გავა ზაფხულიც.
დრო ერთნაირად
აჭკნობს ყვავილს
და ახმობს ნარ-ეკალს,
ვიღაც სამრეკლოს
კიბეს აივლის
და შემოდგომის
ზარებს დარეკავს.

აუნთებს სანთელს
მშობელს, უპოვარს
და ხელს კი არა,
თავად უჭერო,
თავის სიცოცხლეს
მოუმყუდროვებს
სანთელს სული რომ
არ შეუბერონ!

*ქართველი მეცნიერი, ჰომეოპათი და ექიმი* ***კახა საბახტარიშვილი*** ***სისხლდენის საშიშროებაზე საუბარს აგრძელებს და აცხადებს, რომ ფარული სისხლდენის მიზეზების დასადგენად კოლონოსკოპია საუკეთესო საშუალებაა:***



**კახა საბახტარიშვილი** — ექიმი ნევროპათოლოგი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო კიბოს საწინაამდეგო პრეპარატ **„კატრექსის“** ავტორის **ალექსანდრე ბაჩიჩილაძის** მიერ შექმნილი **საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საიდუმლო სამეცნიერო ლაბორატორიის მთავარი ექიმი,** ქალაქ თბილისის №13 პოლიკლინიკის დირექტორი. აქვს გამოქვეყნებული 7 წიგნი და 1 მონოგრაფია, 50 სამეცნიერო სტატია. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა წამლებმა **„გულის ელექსირი ფორტე“, „ტონზილინი“ და „იმუნო ჰერბი ფორტე“, „ტონზილინმა“** ასობით ბავშვი გლანდების ამოჭრას გადაარჩინა. **„იმუნო ჰერბი ფორტემ“** ათასობით ადამიანს გრიპი და კოვიდი თავიდან ააცილა. **„გულის ელექსირი ფორტე“** საიმედო დაცვაა ინფარქტისა და ინსულტისაგან.



**თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, მეტროსადგური „დელისი“ (პროფკავშირების სახლი). 593 31 70 34; ფეისბუქი: „კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“ და „ლაზიკა-ფარმა“**

# კახა საბახტარიშვილი:

# თუ კუჭის არეში პერიოდულად ტკივილს გრძნობთ, სამ თვეში ერთხელ მაინც განავალი ფარულ სისხლდენაზე გამოიკვლიეთ!

— საქართველოში ძალიან ბევრი ადამიანი იტანჯება კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის პრობლემებით. **გასტრიტი, დუოდენიტი, კუჭის ან თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული** ჩვენში ხშირი პათოლოგიაა, რაც ხშირად ფარული ან ღია სისხლდენის მიზეზი ხდება. გასტრიტისა და წყლულის გამომწვევი ძირითადად ალკოჰოლი ან ასპირინისა და მისი შემცველი პრეპარატების ხშირი მიღებაა. მაგრამ არის შემთხვევები, როცა ადამიანი არც ალკოჰოლს ეტანება, არც ასპირინს სვამს, თუმცა, წყლული და გასტრიტი მაინც აწუხებს!

**— მაინც რა არის ამის მიზეზი?**

— 1980 წელს ავსტრალიელმა ექიმმა **ბარი მარშალმა** და პათანატომმა **უორენმა** კუჭის იმ ნაწილში, სადაც პილორუსის სარქველი მდებარეობს, აღმოაჩინეს სუპერბაქტერია, რომელსაც **ჰელიკობაქტერია პილორი** უწოდეს. ყველა სხვა ბაქტერიისგან განსხვავებით, რომლებიც კუჭის წვენის ზემოქმედების შედეგად იღუპებიან, **ჰელიკობაქტერია პილორი გამოყოფს განსაკუთრებულ ქიმიურ შენაერთს, რომელიც ქმნის ნეიტრალურ ან ტუტე გარემოს, შესანიშნავად გრძნობს თავს და იწვევს კუჭის ლორწოვანი გარსის ანთებას, ანუ გასტრიტს.** ანთების შედეგად გამოყოფილი მედიატორები, ანუ ციტოკინები კუჭის ლორწოვანი გარსის უჯრედებს აზიანებენ, რომლებიც კვდებიან და კუჭის შიდა ზედაპირზე წარმოიქმნება ეროზიები. ისინი საბოლოოდ გადაიზრდება ღია ჭრილობაში და ასე იწყება კუჭის წყლული.

დავიმახსოვროთ: **კუჭის წყლული უკვე კუჭის კიბოს წინარე სტადიაა და თუ სწორად არ იქნა ნამკურნალები, 93-95 პროცენტ შემთხვევაში საბოლოოდ სახეზე გვექნება კიბო!** ასე რომ, გასტრიტი, ეროზია და წყლული ის სტადიებია, რომლებიც კუჭის კიბოს წინ უსწრებს! საერთოდ, როდესაც ვლაპარაკობთ სისხლდენაზე, მას სხვადასხვა მიზეზი შეიძლება ჰქონდეს და სხვადასხვა ორგანოებიდან მომდინარეობდეს. **ასიდან ოთხმოც შემთხვევაში სისხლდენის მიზეზი კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის პრობლემებია!** ეს შემდეგნაირად ხდება: წყლული თანდათანობით აზიანებს კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის ქსოვილში არსებულ სისხლძარღვის კედლებს, ჭამს მათ და იწვევს სისხლდენას. მედიცინაში განასხვავებენ აშკარა და ფარულ სისხლდენას. თუ კუჭში ან თორმეტგოჯა ნაწლავში მცირე ზომის სისხლძარღვი დაზიანდა, სისხლდენა შესაძლოა, ერთჯერადი იყოს და ცოტა ხანში თავისთავად შეწყდეს. ეს ფარული სისხლდენაა... ამ დროს განავალს არავითარი სისხლის კვალი არ ეტყობა და არც ფერი აქვს შეცვლილი, მაგრამ არ არის გამორიცხული, ასეთი ფარული სისხლდენები პერმანენტულად განმეორდეს. ამისგან არცერთი ის ადამიანი არ არის დაზღვეული, ვისაც კუჭი და თორმეტგოჯა ნაწლავი აწუხებს. ამიტომ ჩვენი რჩევაა — **თუ კუჭის არეში პერიოდულად ტკივილს გრძნობთ, სამ თვეში ერთხელ მაინც განავალი ფარულ სისხლდენაზე გამოიკვლიეთ!**



**— საიდან უნდა მივხვდეთ, რომ კუჭიდან ან თორმეტგოჯა ნაწლავიდან აშკარა სისხლდენას აქვს ადგილი?**

— თუ კუჭიდან და თორმეტგოჯა ნაწლავიდან სისხლი გვდის, მაშინ სახეზე იქნება სამი გამოხატული ნიშანი: 1. სისხლიანი ღებინება; 2. მელენა, ანუ შავი ფერის შედედებული სისხლიანი განავალი; 3. სისხლის დაკარგვის საერთო სიმპტომები... სისხლიანი ღებინება უმეტესად კუჭის წყლულის დროს ვითარდება. პირნაღები მასა ყავისფერია და ყავის ნალექს მოგვაგონებს...

**— რატომ?**

— საქმე ის გახლავთ, რომ კუჭის წვენის მარილმჟავა რეაქციაში შედის სისხლის ჰემოგლობინთან და მუქ ყავისფერს ხდის. რაც შეეხება **მელენას,** ეს არის კუპრის მსგავსი მყრალი განავალი. განავლის ასეთი მდგომარეობა განპირობებულია შემდეგი ფაქტორით — როცა სისხლი დაზიანებული სისხლძარღვიდან კუჭსა და თორმეტგოჯა ნაწლავში ხვდება, გადადის ნაწლავების შემდგომ გაგრძელებაში. ნაწლავში ყოველთვის არის მიკროორგანიზმები, რომლებიც ჰემოგლობინში შემავალ რკინაზე ზემოქმედებენ და წარმოქმნიან რკინის გოგირდოვან ნაერთებს. სწორედ ეს ნაერთები აძლევენ განავალს სიმყრალესა და კუპრის ფერს!

**— საიდან მივხვდეთ, რომ ადამიანი სისხლს კარგავს?**

— სისხლდენის ზოგადი ნიშნებია: საერთო სისუსტე, კანის სიფითრე, აჩქარებული პულსი, ანუ ტაქიკარდია და წნევის დაწევა. თუ ეს ნიშნები სახეზეა, ადამიანი დაუყოვნებლივ საავადმყოფოში უნდა გადავიყვანოთ! ასეთ დროს ყოველი საათი და წუთიც კი უმნიშვნელოვანესია... **სისხლდენა ხშირად ახასიათებს კუჭის კიბოს. იგივე ითქმის ღვიძლის კიბოზეც!**

**— სისხლდენა ხშირად ახასიათებს ბუასილსაც...**

— **გაღიზიანებული ბუასილისთვის დამახასიათებელი სისხლდენა ხშირად ძალიან ჰგავს მსხვილი ნაწლავის კიბოსგან გამოწვეულ სისხლდენას.**

სიმსივნეებს შორის სივერაგის ნიშნით ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული **მსხვილი ნაწლავის სიმსივნეა.** ამას განაპირობებს არამხოლოდ ის სტატისტიკა, რომ წელიწადში მსოფლიოში დაახლოებით 10 მილიონზე მეტი ადამიანი სწორედ მსხვილი ნაწლავის კიბოთი იღუპება, არამედ ამ დაავადების უაღრესად საშიში თავისებურება. საქმე ის გახლავთ, რომ მსხვილი ნაწლავის სიმსივნე შესაძლოა, 15-20 წლის განმავლობაშიც კი მიმდინარეობდეს, მაგრამ ყოველგვარი სიმპტომის გარეშე, ხოლო, როდესაც ადამიანი რაღაც დისკომფორტს იგრძნობს და ექიმს მიაკითხავს, დაავადება უკვე იმდენად საშიშ სტადიაშია, მკურნალობას, ფაქტობრივად, აღარ ექვემდებარება!

**— რა არის წლების განმავლობაში მსხვილი ნაწლავის კიბოს უსიმპტომოდ მიმდინარეობის მიზეზი?**

— ყველაფერი მსხვილ ნაწლავში პოლიპების გაჩენით იწყება, რომლებიც პაციენტს დისკომფორტს არ უქმნის და შესაძლოა, მსხვილი ნაწლავის ინსტრუმენტალური დათვალიერების დროს სრულიად ჯანმრთელ ადამიანსაც აღმოაჩნდეს. რაკი საქართველოში არ არსებობს იმის კულტურა, რომ 40-50 წლის შემდეგ კოლონოსკოპია, ანუ მსხვილი ნაწლავის დათვალიერება წელიწადში ერ-

**„გაღიზიანებული ბუასილისთვის დამახასიათებელი სისხლდენა ხშირად ძალიან ჰგავს მსხვილი ნაწლავის კიბოსგან გამოწვეულ სისხლდენას!“**

## კვირგვინოსნები

**გიორგი ნაზღაიძე**

*ტელეწამყვანი*



მოსალოდნელი მოვლენების მიმართ **წინასწარი შეგრძნებები** სულ მაქვს. მეგობრებს ყოველთვის **წინასწარ ვეუბნები:** დამიჯერე, ასე მოხდება... დამიჯერე, ასე გააკეთე და გაგიმართლებს... **იმ მომენტში, რა თქმა უნდა, არ მიჯერებენ, მაგრამ მერე ზუსტად ასე ხდება,** მე როგორც ვუთხარი.

„თბილისელები“

**ელენე ფოჩხუა**

*მომღერალი*



ახლა, ამ ჭკუით რომ ვიყო და ოცი წლის ასაკის, **მთებს გადავდგამდი, სხვანაირად დავიწყებდი ცხოვრებას, პროფესიაში მეტ გამბედაობას გამოვიჩენდი.** არ ვიცი, ეს ნიჭია თუ არა, მე უფრო უცნაურობას დავარქმევ — **უკუღმა კითხვა შემიძლია.**

„თბილისელები“

**დათო საყვარელიძე**

*სოხუმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი*



კრიზისი ყოველთვის იარსებებს, ასე რომ, **ვისაც თეატრის კეთება უნდა, ხელები დაიკაპიწოს და იმუშაოს.** თუ საზოგადოებას არ აინტერესებს ის თეატრი, რომელსაც ჩვენ ვაკეთებთ, **ესეც ჩვენი ბრალია.** გარშემო როგორი პოლიტიკური მოვლენებიც არ უნდა იყოს, ეს საქმეში არ უნდა გიშლიდეს ხელს და **თუ რაიმეს არ ეთანხმები ან არ მოგწონს, საკუთარი თეატრის სცენიდან შეგიძლია ეს დააფიქსირო ისე,** რომ სხვას არ მოახვიო თავზე.

„კვირის პალიტრა“

# „კუჭის წყლული უკვე კუჭის კიბოს წინარე სტადიაა და თუ სწორად არ იქნა ნამკურნალები, 93–95 პროცენტ შემთხვევაში საბოლოოდ სახეზე გვექნება კიბო!“

თხელ ყველამ უნდა ჩაიტაროს, ბუნებრივია, პოლიპები, რომლებიც შესაძლოა, მსხვილ ნაწლავში გვქონდეს, დროულად ვერ იქნება აღმოჩენილი და მოცილებული. სწორედ ამის გამო, დროთა განმავლობაში, ისინი აუცილებლად გადაიზრდება სიმსივნეში. ზოგიერთს პოლიპი კიბოდ 5 წელიწადში გადაექცევა, ზოგს — ათში, ზოგს კი ამისათვის 15-20 წელი სჭირდება. ეს დამოკიდებულია ორგანიზმის იმუნიტეტზე... პოლიპი განიცდის დაწყლულებას და **როცა განავალში პირველი სისხლი გამოჩნდება, შესაძლოა, უკვე საქმე გვქონდეს სწორი ნაწლავის შორსწასულ კიბოსთან.**

**— როგორ უნდა გავარჩიოთ, საქმე სწორი ნაწლავის კიბოსთან გვაქვს თუ ბუასილთან?**

— ბუასილის დროს სისხლი ღია ალისფერია, რადგან ბუასილის კვანძები, სულ რაღაც, 2-3 სანტიმეტრით არის დაშორებული უკანა ტანიდან, ხოლო სწორი ნაწლავისა და, საერთოდ, მსხვილი ნაწლავების კიბოს დროს სისხლი მუქია, რადგან ის უფრო შორი მანძილიდან მოდის, გზაში იჟანგება და ფერს იცვლის. ბუასილის დროს სისხლდენა უფრო დეფეკაციის პროცესის შემდეგ იწყება, ხოლო კიბოს შემთხვევაში სისხლდენა მცირე გაჭინთვასაც კი სდევს. როგორც ბუასილის, ისე სწორი ნაწლავის კიბოს დროს, ორგანიზმი სისხლს კარგავს, მაგრამ სიმსივნის შემთხვევაში ანემია ბევრად უფრო ძლიერად არის გამოხატული და, რაც მთავარია, ახლავს სისუსტე და წონის არამოტივირებული კარგვა. არცერთი ეს ნიშანი ბუასილისთვის დამახასიათებელი არ არის!

**ნებისმიერ შემთხვევაში გვახსოვდეს:** განავალში სისხლი გამოჩნდება თუ არა, მაშინვე უნდა მივმართოთ ექიმს! შესაძლოა, ისეც მოხდეს, რომ ადამიანს მსხვილი ნაწლავის კიბო ჰქონდეს და განავალში სისხლი ვერ შენიშნოს. როგორც წესი, ეს მაშინ ხდება, როცა სიმსივნური ქსოვილი მცირე ზომისაა და მსხვილი ნაწლავის ზედა ნაწილშია ლოკალიზებული. **ყველა საეჭვო შემთხვევაში, განავალში სისხლს ვნახავთ თუ არა, ფარულ სისხლდენაზე ტესტი უნდა ჩავიტაროთ! თუმცა, ისევ და ისევ ვიმეორებ: მსხვილი ნაწლავის კიბოს გამოსარიცხად ყველაზე უტყუარი მაინც კოლონოსკოპიაა!**

**— ბევრი კოლონოსკოპიას ერიდება, რადგან უხერხული და ერთგვარად დამაფრთხობელი პროცედურაა!**

— კოლონოსკოპია ნარკოზითაც შეიძლება გაკეთდეს ისე, რომ პაციენტი ვერაფერს გაიგებს, მაგრამ ბევრს ნარკოზის ეშინია. თითქოსდა, გამოსავალი არ არსებობს, მაგრამ მინდა, მოსახლეობას ვაუწყო სასიამოვნო სიახლის შესახებ. **პირველად საქართველოში ქალაქის №1 საავადმყოფოს (არამიანცის) ტერიტორიაზე მოქმედ კლინიკაში „ენმედიცი“, რომელსაც ხელმძღვანელობს ენდოკრინოლოგი კობა ბურნაძე, დამონტაჟდა უნიკალური აპარატურა, რომელიც ყოველგვარი კოლონოსკოპიის გარეშე იძლევა მთელი ნაწლავების მდგომარეობის სრულ სურათს.** ეს ყველაფერი ხდება 3D გამოსახულებაში. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ აქ ექიმის შეცდომა და არასწორი დიაგნოზი გამორიცხულია, რადგან გამოკვლევის რთული, კომპიუტერული სისტემა ხელოვნურ ინტელექტთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, დიაგნოზი ასპროცენტიანი სიზუსტით ისმევა. ამგვარი აპარატურა არამარტო საქართველოში, არამედ ამიერკავკასიაშიც ერთადერთია!

**— სისხლჩაქცევა და სისხლდენა თავის ტვინშიც ხომ ხდება?**

— რა თქმა უნდა, ხდება და მას **ჰემორაგიული ინსულტი** ეწოდება! ინსულტი ძირითადად ორი სახისაა — იშემიური და ჰემორაგიული! ბევრს მიაჩნია, რომ ინსულტი მხოლოდ მაღალი წნევის მატარებელ ადამიანებს ემართებათ, რაც ტყუილია. იშემიური ინსულტი შესაძლოა, განუვითარდეთ იმ ადამიანებსაც, რომლებიც ნორმალურ ანდა სულაც დაბალ წნევას ატარებენ. იშემიური ინსულტის მიზეზი შესაძლოა, იყოს სპაზმი, რომელიც თავის ტვინის მკვებავ სისხლძარღვებში ვითარდება ანდა თრომბი. ორივე შემთხვევაში სისხლი თავის ტვინის გარკვეულ უბნებს ვერ მიეწოდება, ტვინის შესაბამისი უბნები ვერ ღებულობენ ჟანგბადსა და საკვებს და ამ უბანში არსებული ნერვული უჯრედები იღუპებიან. ჰემორაგიული ინსულტი ინსულტის მეორე სახეობაა, რომელიც უფრო მაღალი წნევის პირობებში ვითარდება. ასეთ დროს თავის ტვინის სისხლძარღვების კედლები გათხელებულია, დაზიანებული, მასში ჟონავს სისხლი და მაღალი წნევის პირობებში შესაძლოა, თავის ტვინში სისხლი ჩაიქცეს. **100 შემთხვევიდან 85 — იშემიურ, ხოლო 15 ჰემორაგიულ ინსულტზე მოდის!**





**— შესაძლებელია თუ არა წინასწარ იმის გამოცნობა, რომ ადამიანს ინსულტი დაემართება?**

— ჰემორაგიულისგან განსხვავებით, იშემიური ინსულტი ადამიანებს უცბად არ ემართება და ამ მოვლენას წინ, სულ მცირე, 24-საათიანი პროცესი უძღვის, რომელსაც თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის გარდამავალი მოშლა ეწოდება. ამ ნიშნების ცოდნა უამრავ ადამიანს იშემიურ ინსულტს თავიდან აარიდებდა.

**იშემიური ინსულტის წინასწარი ნიშნებია:** მოულოდნელი თავბრუხვევა; სიარულის დროს არამდგრადობა; ძილიანობა ან აღგზნებადობა; მეხსიერების ხანმოკლე დაკარგვა; ერთ თვალში ბინდი; დროდადრო ხელისა და ფეხის დაბუჟება; საერთო სისუსტე; გაბრუება... ამ ყველაფერს შესაძლოა, თან დაერთოს ღებინების შეგრძნება, შუილი ყურებში, ოფლიანობა, ცნობიერების არევა და სახის გაწითლება...

თუ ამ ნიშნებიდან რამდენიმე ნიშანი სახეზეა, მაშინ ადამიანმა სასწრაფოდ უნდა გაიზომოს წნევა, მიიღოს სისხლძარღვების გამაფართოებელი საშუალებები, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ყოველგვარი ფიზიკური აქტივობა და სასწრაფოდ სტაციონარში დაწვეს!

რაც შეეხება თავის ტვინში სისხლჩაქცევას, ანუ ჰემორაგიულ ინსულტს, ეს ინსულტის ყველაზე მძიმე ფორმაა. ასეთ დროს მოვლენები სწრაფად ვითარდება, კერძოდ, მატულობს წნევა, თავის არეში იგრძნობა უეცარი დარტყმის შეგრძნება და უძლიერესი ტკივილი, რა დროსაც თავის ტვინის სისხლძარღვი სკდება და გადმოღვრილი სისხლი ჰემატომის სახით გარკვეულ უბნებში გროვდება. კატასტროფულად მომატებული წნევის ფონზე ადამიანი კარგავს გონებას და შესაძლოა, კომაშიც ჩავარდეს. საერთოდ, გვახსოვდეს: აუცილებელი არ არის, ინსულტს ყველა ზემოხსენებული ნიშანი ახლდეს. არსებობს სხვა ნიშნებიც, რომლებიც ინსულტზე მიგვითითებენ... ეს ნიშნებია: **ღიმილის ტესტი; ხელის ტესტი; ნიკაპის ტესტი; ენის ტესტი; მეტყველების ტესტი.**

**— დააკონკრეტეთ თითოეული მათგანი.**

— **ღიმილის ტესტის დროს** ადამიანი ასიმეტრიულად იღიმის, ანუ სახის ერთი ნახევარი ნორმალურად ფუნქციონირებს, ხოლო მეორე ნახევარი უმოძრაოა. მეორე მხარეს ტუჩის კუთხე დაწეულია, ხოლო თვალი — მოჭუტული. ამოსუნთქვისას ერთი ლოყა იბერება, ხოლო მეორე არა, რადგან მისი ტონუსი სუსტია. **ხელის ტესტის დროს** ადამიანს ვეუბნებით, რომ ორივე ხელი მაღლა ასწიოს. როცა ინსულტის საფრთხე აშკარაა, ხელები ერთმანეთს ვერ მიჰყვება, მათი სინქრონულობა დარღვეულია და ერთი ხელი მეორეს ჩამორჩება. **ნიკაპის ტესტის ჩატარებისას** ადამიანმა ნიკაპი მკერდის ძვალს უნდა შეახოს. როცა ინსულტი კარს არის მომდგარი, მაშინ ადამიანი ნიკაპის მკერდის ძვალთან მიტანას ვერ ახერხებს ანდა ძალიან ძნელად ახერხებს. **ენის ტესტის დროს** ადამიანმა ენა უნდა გამოყოს და თუ ამას ვერ ახერხებს ანდა ენა ერთ მხარეს არის გადაწეული, მაშინ ინსულტის საფრთხე მაღალია. **მეტყველების ტესტის ჩატარებისას** ადამიანი მარტივ წინადადებასაც ვერ ამბობს და ბურტყუნებს.

გვახსოვდეს, რომ ნებისმიერი სახის სისხლჩაქცევა და სისხლდენა უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ, რადგან მის უკან შესაძლოა, სერიოზული პათოლოგია და საფრთხე იმალებოდეს!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## „ასიდან ოთხმოც შემთხვევაში სისხლდენის მიზეზი კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის პრობლემებია!“

### კვირგვინოსნები

**ლენუკა ყიფშიძე**
*მოდელი*



სულ მინდოდა **ხალის მოშორება,** მაგრამ მშობლები მიშლიდნენ — **დანიშნული ადამიანი ხარ და ხელი არ უნდა ახლოო.** ასე რომ, დავტოვე და ვუვლი, **ჩემი სხეულის ნაწილია და მიყვარს.**

„სარკე“

**ვერკა ჯაჯანიძე**
*მოცეკვავე*



მე ვფიქრობ, რომ **ჯიუტი არ ვარ,** მაგრამ ჩემი მეუღლე ამბობს, რომ ვარ.

„თბილისელები“

**ნუკა კვალიაშვილი**
*მომღერალი*



მებრძოლი ადამიანი ვარ, **დავიფერფლები, მაგრამ თავიდან დავიბადები** იმაზე ძლიერი, ვიდრე მანამდე ვიყავი.

„თბილისელები“

**ქეთი სალაყაია**
*რესტორატორი*



**არასოდეს ვყრი ტანსაცმელს,** რასაც ვყიდულობ, ის სამუდამო ადგილს პოულობს ჩემს გარდერობში. **20 წლის წინანდელი კაბები მაქვს,** რომლებსაც მაშინ ჩავიცვამ, როცა გავხდები.

„სარკე“

**უმა თურმანი**
*მსახიობი*



ასაკს ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, **სიყვარულისთვის ყოველთვის მზად ვარ.**

„სარკე“

## გუბაზ მეგრელიძე:

# ფრთხილად, საშიში ტენდენციაა!

### კმარა გაუმართლებელი ექსპერიმენტები და არაკომპეტენტური კანონები, რომლებიც ხელს უშლიან თეატრების ნორმალურ მუშაობას!

***საქართველოს პარლამენტში შევიდა „ქართული ოცნებისა“ და „ხალხის ძალის“ კანონპროექტი „პროფესიული თეატრების შესახებ“. საგულისხმოა, რომ არსებულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების საკითხს აყენებენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც არაფერი აკავშირებთ თეატრთან და საეჭვოა, მათი გარკვეული ნაწილი საერთოდ ნამყოფი იყოს თეატრში.***

2024 წლის 1 სექტემბერს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გააჟღერა ინფორმაცია, რომ იგეგმებოდა ახალი კანონპროექტის შემუშავება, ხოლო ცვლილებების ავტორი კულტურისა და სპორტის სამინისტრო იყო, რომელიც ახლა გაქრა თვალსაწიერიდან და მოსალოდნელი რეფორმა მხოლოდ პარლამენტის პრეროგატივა გახდა. საკითხავია, **რატომ არ იყო ჩართული ამ პროცესში პარლამენტის კულტურის კომიტეტი? ან რატომ არ გააცნეს კანონპროექტი თეატრის მუშაკებს?**

გამოიკვეთა საშიში ტენდენცია — აღნიშნული ნაბიჯით უკან ბრუნდება ნაცების დროინდელი კანონი, როდესაც თეატრს **მმართველი** ხელმძღვანელობდა. „ოცნების“ მოსვლისთანავე დაიწყო ახალ კანონპროექტზე მუშაობა, ვინაიდან ეს ვარიანტი მიუღებელი იყო ხელოვნების მუშაკებისთვის და ინიციატივაც ამ დარგის მაშინდელმა შვიდმა დეპუტატმა გამოიჩინა. აღნიშნავდნენ, რომ თეატრისთვის ასეთი მმართველობა მიუღებელი იყო, ვინაიდან მმართველი განასახიერებდა **პოლიტიკურ ფიგურას** და მხოლოდ ხელისუფლების ნების აღმსრულებელი ხდებოდა. **სწორედ მაშინ მთავრობის კრიტიკისთვის თანამდებობიდან უკანონოდ გაათავისუფლეს რობერტ სტურუა, ასევე მოზარდ მაყურებელთა თეატრიდან უკანონოდ გაუშვეს 30 მსახიობი, რასაც საზოგადოებრივი დაძაბულობა მოჰყვა.** თუ ასეთი ტენდენცია მიუღებელი იყო, ახლა სრულიად მისაღები და აუცილებელიცაა ამჟამინდელი მთავრობისთვის, ვინაიდან თეატრებზე კონტროლი აღარ აქვთ და ხელოვანებიც საპროტესტო აქციებით გამოვიდნენ ქუჩებში. არადა, **არსებული კანონით მისთვის სანდო დირექტორის კანდიდატურას სამხატვრო ხელმძღვანელი წარადგენდა და მათ შორის ურთიერთობა სრულად ჰარმონიული იყო. ამჯერად კი დირექტორს მინისტრი დანიშნავს, რომელიც უსიტყვო მორჩილებით შეასრულებს ყველა მის დავალებას.**

ამ არალოგიკური ცვლილებების გასამართლებლად ნათქვამია: ***„...თეატრის მართვის აღნიშნული ფორმა მოქნილი არ არის და თანამედროვე გამოწვევების გადაჭრას ვერ უზრუნველყოფს. მოქმედი კანონით განსაზღვრული თეატრების სტრუქტურისა და მართვასთან დაკავშირებული საკითხები, არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, თეატარის სპეციფიკას და გამოწვევებს ვეღარ პასუხობს“.*** აქ საღი აზრი არ იკითხება, დამეთანხმებით. თუ 14 წლის განმავლობაში მათივე მიღებული კანონი სრულიად მისაღები იყო, შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, **როდესაც სამხატვრო ხელმძღვანელები ჩაუდგნენ სათავეში აქციებს, რაღა თქმა უნდა, მიუღებელი აღმოჩნდა.** ეს გახლავთ რეპრესიული მექანიზმი ხელოვანთა თავისუფალი აზრის ჩასახშობად. ამიტომ ამბობენ, **„არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, თეატრის სპეციფიკას და გამოწვევებს ვეღარ პასუხობს“.** თეატრის კი არა, ხელისუფლების სასურველ სპეციფიკას ვერ პასუხობს და ამიტომ ხელის შემშლელ პირობებს ქმნიან თავისუფალი აზრის გამომხატველი ხელოვანების ნაწარმოების ჩასახშობად.

**შემდეგ ვნახოთ:** ***„თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელისა და თეატრის დირექტორის თანამდებობების ერთდროულად არსებობა იწვევს მათ შორის უფლებამოსილების აღრევას, მართვის შეფერხებასა და თეატრის სათანადო ფუნქციონირებას ვერ უზრუნველყოფს“.*** სრული დემაგოგიაა. ამ მდგომარეობის დასადგენად სპეციალური კომისიის შექმნა და ადგილზე ვითარების შესწავლა იყო საჭირო, რაც არ გაკეთებულა და არცერთ თეატრში არსებული მდგომარეობა არ მოუკითხავთ. **ორივე თანამდებობას თავისი განსაზღვრული კომპეტენციები აქვს და მათი აღრევა შეუძლებელია. მართვის შეფერხებაც შეუძლებელია, ვინაიდან სამხატვრო ხელმძღვანელი მისთვის მისაღებ კანდიდატურას ნიშნავს.** ახალი რედაქციით, არსებული სამხატვრო ხელმძღვანელები **ავტომატურად თეატრის დირექტორებად დაინიშნებიან.** ახლა საკითხავია, რეჟისორებმა სპექტაკლების დადგმებსა და მხატვრული სტილის განვითარებაზე უნდა იფიქრონ თუ ბუღალტერიას, ლურსმანსა და ჩაქუჩს სდიონ?! მენეჯერისა და ხელოვანის პროფესიები სხვადასხვაა და არცთუ ისე ხშირად ემთხვევა ერთმანეთს... **ძნელია ერთმა პიროვნებამ უზრუნველყოს შემოქმედებითი, ფინანსური, ადმინისტრაციული, ტექნიკური და ორგანიზაციული საქმიანობა.**

კანონპროექტში არ არის დაკონკრეტებული მოსალოდნელი რეფორმის აუცილებლობა, იმის გარდა, რომ უნდათ თეატრს ერთპიროვნული და ხელისუფლებისთვის მისაღები ადამიანი მართავდეს. სწორედ ეს არის ამ კანონის მიზანი. ამიტომ მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით ***„დირექტორი პასუხისმგებელია თეატრის საქმიანობაზე და პერსონალურად აგებს პასუხს მისი საქმიანობის ჯეროვნად წარმართვაზე“.***

ასევე დირექტორი უნდა იყოს უმაღლესი განათლების მქონე პირი, მაგრამ დაკონკრეტებული არ არის სახელოვნებო დარგის თუ სხვა პროფესიის, რაც გაურკვევლობას ქმნის. **მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის ი) ქვეპუნქტით** თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სამხატვრო ხელმძღვანელს. სხვათაშორის სამხატვრო ხელმძღვანელი სხვა მუხლებშიც გვხვდება და საინტერესოა, **უყურადღებობით ხომ არ გამორჩათ „კანონმდებლებს“ ის გარემოება, რომ ეს თანამდებობა კანონის დასაწყისშივე გააუქმეს და იგი დირექტორს აჰკიდეს ტვირთად. თ) ქვეპუნქტში** აღნიშნულია, რომ ხელმძღვანელობს სამხატვრო საბჭოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში). სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობის გაუქმების შემთხვევაში აუცილებელია სამხატვრო საბჭოს არსებობა, რომ თეატრმა ნორმალურად იფუნქციონიროს. **პარლამენტარებს უნდა ვამცნო, რომ სამხატვრო საბჭოები თეატრებში არ არსებობს და კანონში მხოლოდ ფიქტიურია.**

სრულიად გაუგებარია **მ) ქვეპუნქტი,** სადაც დირექტორი ***„უფლებამოსილია მოახდინოს ცალკეული უფლებამოსილებების დელეგირება (უფლებამოსილების დელეგირება თეატრის დირექტორს არ ათავისუფლებს თეატრის საქმიანობაზე პასუხისმგებლობისაგან)“.*** არ არის განმარტებული, ვის უკეთებს დელეგირებას, რაც სამომავლოდ გაუგებრობის წარმოქმნის საფუძველია და ზედმეტი ინტრიგის ბუდედ არ უნდა იქცეს თეატრში.

**მე-4 პუნქტით,** ***„პროფესიულ სახელმწიფო თეატრში თეატრის დირექტორს საკუთარი შეხედულებით ნიშნავს მინისტრი. მინისტრი ასევე უფლებამოსილია, თეატრის დირექტორი დანიშნოს კონკურსის საფუძველზე, ან სარეკომენდაციო საბჭოს ან/და სამხატვრო საბჭოს წარდგინებით. ან/და უარი თქვას მათი წარდგენილი კანდიდატის დანიშვნაზე და დირექტორი დანიშნოს საკუთარი შეხედულებით“.*** თუ მინისტრი საკუთარი შეხედულებით ნიშნავს დირექტორს, მაშინ დანარჩენი ქმედებები ფიქციაა. უფრო მძიმე იქნება დირექტორის დანიშვნა მუნიციპალურ თეატრებში, სადაც **მე-10 მუხლის მე-7 პუნქტით** სარეკომენდაციო საბჭოების არარსებობის გამო **ქალაქის მერმა თავისი შეხედულებით შეიძლება თეატრისგან შორს მდგომი ან პარტიული პირი დანიშნოს.** ასეთი „ალტერნატივა“ საშუალებას იძლევა მინისტრმა პირდაპირ მიიღოს გადაწყვეტილება და სხვა ვარიანტები მხოლოდ „დემოკრატობანას“ თამაშია, რომელსაც სასურველი შედეგი არ მოჰყვება.

ამ შემთხვევაში ძალიან ცუდ და კომიკურ შედეგს მივიღებთ. მსგავსი მაგალითი ისედაც გვაქვს. **თელავის თეატრში** აგერ 14 თვეა, დირექტორად და სამხატვრო ხელმძღვანელის დროებით შემსრულებლად დანიშნული იყო **ინდმეწარმე მიხეილ ბენბაშვილი,** რომელიც პარალელურად არის საზკვების ობიექტის მეპატრონე. თავიდანვე დირექტორად დანიშნეს, ხოლო შარშან თებერვალში კულტურის მინისტრმა სრულიად გაურკვეველი მიზეზით სამხატვრო ხელმძღვანელის მოვალეობის შესრულებაც აჰკიდა. ახლახან კი, **2025 წლის 17 თებერვალს,** დირექტორად **ზაქარია რაზმაძე** დაინიშნა, რომელიც ამავე დროს **ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დირექტორიცაა და ახალი კანონის მიღების წინსწრებით დაევალა სამხატვრო ხელმძღვანელობაც და ამავე დროს ინდმეწარმეცაა.** საინტერესოა, რომ იგი **მიხეილ ბენბაშვილის** მიერ მისი კანდიდატურის წარდგენის დღესვე დაინიშნა. **დავიჯერო, თელავში ან მთელ საქართველოში პროფესიონალი რეჟისორი ვერ მოიძებნა, რომ შემთხვევით ადამიანებს არ ნიშნავდნენ?** მოგეხსენებათ, კულტურის ცენტრის საქმიანობა საგრძნობლად განსხვავდება თეატრისგან. ამას გარდა, თეატრი საჯარო იურიდიული პირია, რომლის ხელმძღვანელსაც ეკრძალება კომერციული საქმიანობა, მაგრამ ამას თელავში არავითარი მნიშვნელობა არ აქვს...

მეტსაც გეტყვით, ნაციონალების დროს თეატრის დირექტორად დაინიშნა **მერაბ ხიზანიშვილი,** რომელიც ამავე დროს მეღორეობის ფერმის გამგე იყო. მან მოსვლისთანავე განუცხადა დასს, რომ საღამოს 6 საათის შემდეგ თეატრში არავინ დავინახოო... ხოლო, როდესაც საჭირო გახდა ახალი სპექტაკლისთვის პერსონაჟთა ფეხსაცმელების შეკვეთა, განაცხადა, რომ საწყობში უამრავი ფეხსაცმელია და შეარჩიეთო... **ერთხელაც დასმა მას დანიშვნასთან დაკავშირებით მისალოცი დეპეშა გაუგზავნა კ. სტანისლავსკის სახელით. კაცი გახარებული იყო და ამაყობდა — აი, ვინ მომილოცაო...** ხოლო სამი წლის წინ სამხატვრო ხელმძღვანელის მოვალეობას ცოტა ხნით, შეთავსებით მთავარი ბუღალტერი ასრულებდა. თეატრის მეტი დაცინვა გაგონილა?!

კიდევ უფრო დიდ უვიცობას ვაწყდებით შემდეგ წინადადებაში: ***„...მოქმედი კანონმდებლობა თეატრის ხელმძღვანელის დანიშვნის ვადებთან დაკავშირებით, იმპერატიულ ნორმებს შეიცავს, კონკურსის წესით ხელმძღვანელის დანიშვნას არ ითვალისწინებს და, სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, თეატრის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლებს სათანადოდ არ აწესრიგებს“.*** კარგი იქნებოდა, პროექტის ავტორებს მოქმედი კანონი წაეკითხათ. კანონი იმპერატიულ ნორმებს უნდა შეიცავდეს, აბა, რა კანონი იქნება მაშინ! უფრო მეტი, თანაც დაუსაბუთებელი, იმპერატივია ამ კანონპროექტში. სწორედ კონკურსის წესია განსაზღვრული: **ცხადდება კონკურსი, რომლის შემდეგაც კანდიდატებს არჩევს მინისტრი და განსახილველად უგზავნის მრჩეველთა საბჭოს, რომელიც კენჭისყრით გამოავლენს გამარჯვებულს — ეს არ არის კონკურსი?! ხელმძღვანელი კი თავისუფლდება 4-წლიანი ვადის ამოწურვისას, ამასთანავე, მას შეუძლია, კიდევ ერთი ვადით ამ თანამდებობის დაკავება. განა ეს არ არის განმარტება?!** თეატრის ხელმძღვანელად ისედაც ითვლება სამხატვრო ხელმძღვანელი და რა აზრი აქვს დირექტორად გადაყვანასა და სახელის შეცვლას?! **მე გეტყვით — ეს იქნება არა შემოქმედებითი, არამედ პოლიტიკური თანამდებობის პირი, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს დასის მორჩილებას ხელისუფლების მიმართ. აი, ეს გახლავთ მთავარი!**

თუკი თეატრში ვაკანსია არ აღმოჩნდება, დირექტორს 3 თვის კომპენსაციით პანღურით მოისვრიან და მის შრომით მოწყობაზე პასუხისმგებლობას არავინ იღებს. ამავე დროს, ეს გახლავთ პიროვნების დისკრედიტაცია, ვინაიდან სრულიად უდანაშაულო ადამიანი უფრო დაბალ თანამდებობაზე აღმოჩნდება, რაც ადამიანის უფლებების დარღვევაა.

ამას გარდა, კანონპროექტის სათაურიდან უნდა ამოეღოთ ზედმეტი სიტყვა **„პროფესიული“,** ვინაიდან სახელმწიფო მხოლოდ **პროფესიულ** თეატრებს განაგებს. აგრეთვე **„სამხატვრო ხელმძღვანელი“,** რომელიც ამ კანონპროექტით უქმდება. აქედან გამომდინარე, ვინაიდან თეატრს ერთპიროვნულად დირექტორი ხელმძღვანელობს, **სავალდებულო უნდა იყოს სამხატვრო საბჭოს შექმნის აუცილებლობა.** კანონის **„პროფესიული თეატრების შესახებ“** მიღებისთანავე გამოითქვა საყვედური იმის გამო, რომ სახალხო თეატრები სტატუსის გარეშე რჩებოდა. **ამიტომ ამ კანონპროექტში სათაურიდან უნდა მოიხსნას სიტყვა „პროფესიული“ და დაერქვას კანონი „თეატრების შესახებ“,** რათა უფრო ფართოდ აისახოს თეატრალური სფერო.

ვინაიდან კურიოზს ვხვდებით ზოგადი დებულებების **პირველი თავის მე-2 მუხლში** შესული ამოცანების **ა) ქვეპუნქტში ვკითხულობთ თეატრების ჩამონათვალს, პროფესიული სახელმწიფო, მუნიციპალური, შერეული და კერძო თეატრები. კანონპროქტში კი მხოლოდ სახელმწიფო თეატრია ნახსენები. სად უნდა აისახოს შერეული, კერძო და სახალხო თეატრები?!**

მუნიციპლური თეატრების საკითხი რეგულირდება **„საქართველოს ორგანული კანონით ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, მე-16 მუხლის** (მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები) **ტ) პუნქტით,** რომლითაც დავალებულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებების, კინოთეატრების, მუზეუმების, **თეატრების,** საგამოფენო დარბაზებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფა. **სამწუხაროდ, შერეული და სახალხო თეატრები არსად იხსენიება.** უფრო მეტიც, **სახალხო თეატრებს** ხელმძღვანელობდა **საქართველოს ხალხური შემოქმედების სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი,** რომელიც 2003 წელს **ფოლკლორის ცენტრს** შეუერთდა, ხოლო 2012 წლიდან სახალხო თეატრების კურატორობა **კულტურის სამინისტრომ** იკისრა, რასაც კოორდინაციას უწევდა **რეგიონებთან ურთიერთობების სამმართველო,** რომელიც მოგვიანებით გაუქმდა და ადგილობრივ მუნიციპალურ მმართველობაში გადავიდა, სადაც კულტურის ცენტრთა შემადგენლობაში შევიდა. სამწუხაროდ, ეს ღონისძიება არასრულყოფილი და მოუქნელი აღმოჩნდა, ვინაიდან სათანადო ყურადღება აღარ მიექცა. ამიტომაც ეს საკითხი კანონმა უნდა დაარეგულიროს.

კანონპროექტიდან ამოღებულია ორი მუხლი: **მე-14 მუხლით** განსაზღვრული პასუხისმგებლობა ამ კანონის დარღვევისთვის და **მე-15 მუხლით** განსაზღვრული გარდამავალი დებულებანი **ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე თეატრის დაარსების შესახებ.** ეს გაურკვეველია, ვინაიდან არსებობს **ცხინვალის თეატრი** და წარმატებითაც მოღვაწეობს.

გასაგებია, რომ პასუხისმგებლობის აღების დაკისრება არავისთვის არ უნდათ. **მე-15 მუხლის** ამოღება ეფუძნება 2013 წლის კანონის მეორე თავის **მე-5 მუხლის 1 და 3 ქვეპუნქტს,** რომლითაც თეატრი კულტურის სამინისტროს დაექვემდებარა. თუმცა სხვა თეატრის დაარსების შესაძლებლობა დაუტოვეს **მე-15 მუხლის 1, 2 და 3 ქვეპუნქტებით.**

**ვფიქრობ, აუცილებელია თეატრის მოღვაწეებთან ერთად ეს კანონი საფუძვლიანად განიხილონ და სათანადო რეალური შესწორებები შეიტანონ.** კმარა გაუმართლებელი ექსპერიმენტები და არაკომპეტენტური კანონები, რომლებიც ხელს უშლიან თეატრების ნორმალურ მუშაობას! **გასაკვირია, რომ ოფიციალურად მუშაობაში არ არის ჩაბმული პარლამენტის კულტურის კომიტეტი, რომელსაც შეეძლო სპეციალისტებთან შეხვედრის ორგანიზება, რათა საქმე ასეთ კურიოზამდე არ მიეყვანა.** თეატრის დირექტორი უნდა იყოს ავტორიტეტული და პროფესიონალი პიროვნება, კანონპროექტი კი სხვა მანიპულაციის საშუალებას იძლევა, რაც არ არის გამართლებული!



# მიხეილ ცაგარელი:
# ივნისი ერთ-ერთი ყველაზე რთული და ქარიშხლიანი პერიოდია



## ივნისის თვის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
ივნისის თვე ვერძისთვის აქტიურია, მაგრამ რთული, განსაკუთრებით გარე სამყაროსთან კომუნიკაციის, გადაწყვეტილებებში თანმიმდევრულობის და სხვა ადამიანების მოსაზრებების მოსმენის კუთხით. თვის დასაწყისში ზოგიერთი სიტუაცია მხოლოდ იმპულსის მოპოვებას დაიწყებს, ამიტომ ეს ყველაზე ხელსაყრელი დროა მნიშვნელოვანი მოლაპარაკებების ჩასატარებლად, 5 ივნისიდან დაძაბულობა შეიმჩნევა კომუნიკაციებში, საკუთარი ინტერესების რეალიზაციის მიზნით, ვერძი საკმაოდ მკაცრ პოლიტიკას გაატარებს. ივნისის შუა რიცხვებისთვის ზოგიერთი წინააღმდეგობა მიაღწევს კულმინაციას და დასრულდება ურთიერთობის შეწყვეტით. 23 ივნისიდან ვერძი სავსეა ოპტიმიზმით, შთაგონებით, შესაძლებლობებით.

**კურო** (21.04-20.05)
ივნისის თვე კუროსთვის ოჯახური კავშირების განმტკიცების, პირადი სურვილების გამძაფრების პერიოდია, თუმცა, ეს თვე ძალიან დატვირთულია. ამიტომ ბევრმა კურომ შეიძლება განიცადოს აღმასვლა და დაღმასვლა როგორც ემოციურად, ასევე ფიზიკურად. ყველაზე მეტად დაძაბული პერიოდია 5-23 ივნისამდე, ცვლილებებია სახლში, ოჯახში, რისთვისაც კურო შეიძლება არ იყოს მზად. შესაძლებელია გადაადგილება, სერიოზული საოჯახო შემომატება ახალი წევრის. კურომ ამ პერიოდში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ბოლომდე უნდა გადადოს. უფრო სასიამოვნო მოვლენები და განახლებები მოხდება კუროს სახლში. ამავდროულად, კურომ უნდა დააბალანსოს იმპულსები.

**ტყუპი** (21.05-22.06)
ივნისში ტყუპები იგრძნობს ენერგიის მატებას, კომუნიკაციის, ყურადღების ცენტრში ყოფნის სურვილს, თვის დასაწყისში მოლაპარაკებებით, პოზიტიური შედეგებით ისარგებლებს. 5-დან 23 ივნისის პერიოდში სიტუაცია ცოტა გართულდება, მოსალოდნელია ფობიების, ქვეცნობიერი შიშების და არაადეკვატური რეაქციების გამოვლინება იმაზე, რაც ხდება. ამავდროულად, ზეწოლა მშობლების მხრიდან, არ არის გამორიცხული, არასერიოზულმა დამოკიდებულებამ ბიზნესისა და ვალდებულებების მიმართ, თავად ტყუპების უყურადღებობამ, გამოიწვიოს სხვების გაღიზიანება, შესაძლებელია ზურგს უკან გაჩნდეს ჭორები. თვის ბოლოს იგრძნობს თავს ტყუპები უფრო თავისუფლად, თავდაჯერებულად და დაცულად, მიუხედავად იმისა, რომ ეს არახელსაყრელი პერიოდია ხანგრძლივი მოგზაურობისთვის.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
ივნისი კირჩხიბისთვის ყველაზე დისჰარმონიული თვეა ამ წელში. ენერგიების არასტაბილურობა და არახელსაყრელი კოსმობიოლოგიური მდგომარეობა გამოიწვევს ფსიქო-ემოციურ აშლილობას და ორივე ქრონიკული დაავადებების პროგრესირებას. ის მაინც შეძლებს წარმატებით მოლაპარაკებას, რასაც ხელს შეუწყობს ძალა და ოპტიმიზმის მოზღვავება, კომუნიკაციისა და თანამშრომლობის სურვილი. 5-დან 23 ივნისამდე პერიოდში, მოუწევს დაუგეგმავი გადახდების გადახდა, მენეჯმენტთან ურთიერთობა გართულდება. მისთვის მთავარია, არ დაემორჩილოს პროვოკაციებს, არ ჩართოს ემოციები რთულ სიტუაციებში. თვის ბოლოს კირჩხიბი იგრძნობს ენერგიების განახლებას.

**ლომი** (23.07-23.08)
ლომისთვის ივნისი აქტიური პერიოდია. ვინც ლომის ზოდიაქოს ბოლო პერიოდში დაიბადნენ (ანუ 12-22 აგვისტო), მათ შესაძლოა ამ თვეში ნერვული აგზნებადობა, შფოთვა, აგრესიულობა განიცადონ. ამიტომ თავად ლომი გახდება კონფლიქტის, წინააღმდეგობების და ურთიერთობების რღვევის ინიციატორი. ამ მხრივ ყველაზე ინტენსიური პერიოდია 5-დან 23 ივნისამდე. გარდა ამისა, ლომს სიფრთხილე მართებს, უცნობებთან არ შევიდეს კონფლიქტში, ადამიანების რეაქცია შეიძლება იყოს არაადეკვატური. ლომი შეძლებს, შეინარჩუნოს ოპტიმიზმი და მიაღწიოს სასურველ შედეგებს საქმეში. მას დიდი წარმატება აქვს პირად ცხოვრებაში, თვის ბოლოს ლომმა უმჯობესია, იფიქროს ჯანმრთელობაზე.

**ქალწული** (24.08-23.09)
ივნისში ქალწული თანამშრომლობისა და გუნდური მუშაობის საკმაოდ აქტიურ პროცესს განიცდის, თუმცა, ის ყოველთვის არ შეიძლება იყოს კონსტრუქციული და ნაყოფიერი. ქალწული მხოლოდ თვის დასაწყისში ისარგებლებს ერთობლივი საქმიანობით. 5-დან 23 ივნისამდე პერიოდში ქალწული შევა დაძაბულ და კონფლიქტურ ურთიერთობებში, რაც გავლენას მოახდენს მთელ სამუშაო პროცესზე. გარე სოციალური ცვლილებები ასევე გავლენას იქონიებს ქალწულის კარიერაზე და ფინანსურ სტაბილურობაზე. გარდა ამისა, მას სიფრთხილე სჭირდება, რადგან შესაძლებელია აგრესიული თავდასხმები. მხოლოდ თვის ბოლოს შეძლებს ქალწული, უფრო მშვიდად იგრძნოს თავი, ამიტომ თანამშრომლობა უფრო დადებით შედეგს მოიტანს.

ივნისის თვეში ბევრი ცვლილება და ტრანსფორმაცია იქნება გამოწვეული ენერგიების განახლებით პლანეტა **ვენერას** ტრანზიტის გამო (პლანეტები, რომლებიც დაკავშირებულია გრძნობების და ემოციების სფეროსთან) **კუროს** ნიშანში (6 ივნისი, 08:44), პლანეტა **მერკურის** (კომუნიკაციის სფერო) შესვლა **კირჩხიბის** ზოდიაქოში (9 ივნისი, 02:59), პლანეტა **იუპიტერის** (ბიზნესი და ფინანსური სტრუქტურები) ტრანზიტი **კირჩხიბის** ნიშანში (10 ივნისის 01:03 საათიდან) და პლანეტა **მარსის** (თვითგამოხატვისა და აქტივობის პრინციპი) შესვლა **ქალწულის** ზოდიაქოში (17 ივნისი, 12:37). ამ ასპექტების ყველაზე ძლიერ ზემოქმედებას იგრძნობენ ადამიანები **6 ივნისიდან 17 ივნისამდე — ეს არის პიკი, დედამიწის ბიოსფეროს ნეგატიური მდგომარეობისა.** ეს პიკი ბევრ ადამიანს დაამახსოვრდება, როგორც კოსმიური ქარიშხლის პერიოდი, რომელმაც გავლენა მოახდინა მათ კარიერაზე, წარმატებასა და ცხოვრებაში სტრატეგიულ გეგმებზე. პლანეტა **სატურნის** გავლენა პლანეტა **ნეპტუნთან** ერთად ვერძის ზოდიაქოში გამოიწვევს ეთნიკური განახლების 36-წლიან ციკლს, არსებობს ანალოგია 1989 წელთან, კოსმიურ ქარიშხალზე, რომლის პიკიც **5 ივნისიდან 26 ივნისამდე** იქნება. ბიოსფეროს მდგომარეობის ასეთი მკვეთრი ვარდნა (9 ივნისიდან 21 ივნისის ჩათვლით 30 ქულაზე ქვემოთ) შექმნის დაძაბულობას დედამიწის ქერქში. შედეგად, დიდი მიწისძვრებია მოსალოდნელი ახლო აღმოსავლეთში (თურქეთი, ავღანეთი), სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და კამჩატკაზე. მოხდება ვულკანები, რის გამოც კლიმატი უფრო ცივი გახდება, რაც შეამცირებს მოსავლიანობას. გაძლიერდება აგრესია ქვეყნებსა და ეთნიკურ ჯგუფებს შორის. **28 ივნისიდან გაუმჯობესდება ვითარება — 25 ივნისს ახალი მთვარის და 26 ივნისს 23:10 საათზე პლანეტა მერკურის ლომის ზოდიაქოში შესვლის შემდეგ.** ახალი მთვარის ციკლის დაწყებიდან, 2025 წლის პირველ და მეორე ნახევრების გამყოფი საზღვარი დაიხაზება. ამიტომ **10 ივნისს სავსემთვარეობიდან 25 ივნისის ახალ მთვარემდე** პერიოდში დიდი სიფრთხილეა საჭირო, სარისკო გადაწყვეტილებებში უნდა დაიოკონ ემოციები და სურვილები.

## ივნისის თვის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
ივნისი სასწორისთვის აქტიური პერიოდია, რომელიც შეიძლება ასოცირდებოდეს ძლიერ სულიერ გარდაქმნებთან, პარტნიორებთან რთულ ურთიერთობებთან, რაც თავისებურად მოახდენს გავლენას მათ იდეოლოგიასა და მსოფლმხედველობაზე. ენერგია ყველაზე დესტრუქციულად შეიძლება გამოვლინდეს 5-დან 23 ივნისის პერიოდში, სასწორს შეექმნას სამართლიანობის, ზნეობის, ვალდებულებების დარღვევა და მომხდარი ცვლილებები გაურკვეველი დარჩეს. გარდა ამისა, ფინანსური ზარალი შესაძლებელია დანაკარგების, წარუმატებელი ინვესტიციების და შესყიდვების გამო, სასწორი უფრო მეტად იქნება დამოკიდებული პარტნიორებზე. შეუფერებელი პერიოდია საზღვარგარეთ მოგზაურობისა და მივლინებისთვის. თვის ბოლოს სასწორს ექნება მეტი პოზიტიური შესაძლებლობა.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
ივნისი ღრიანკალისთვის რთული პერიოდია, რადგან ცვლილებები მოხდება ჩვეულ გარემოში, გაჩნდება ახალი პასუხისმგებლობები, სამუშაო, რომელიც მოითხოვს დამატებით ცოდნას და უნარებს. ღრიანკალის ირგვლივ სამყარო დაიწყებს განახლებას, ამიტომ მოუწევს ადაპტაცია, სულიერი და პროფესიული განვითარება. 5-დან 23 ივნისამდე პერიოდია მისთვის ყველაზე რთული, მოხდება ცვლილებები სოციალურ ცხოვრებაში, რაც ასევე აისახება კარიერაზე და ფინანსურ კეთილდღეობაზე. ამ პერიოდში არასასურველია სარისკო პროექტებში ჩართვა, მაშინაც კი, თუ პარტნიორები, კოლეგები და მეგობრები აქტიურად ჩაერთვებიან. თვის ბოლოს თავად ღრიანკალს განწყობა უფრო ოპტიმისტური აქვს.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
მშვილდოსნისთვის ივნისი აქტიურობის, ახალი პროექტების დასაწყისია. თუმცა, მისი ურთიერთობა პარტნიორებთან საუკეთესო არ იქნება. შესაძლოა გამოჩნდნენ ახალი პარტნიორები საინტერესო იდეებით, რომლებიც შეძლებენ, პოზიტიური ცვლილებები შეიტანონ მშვილდოსნის ცხოვრებაში. თუმცა, წარსული შეთანხმებები და ვალდებულებები მის საქმიან და შემოქმედებით იმპულსებს შეაკავებს და რეალობაში დააბრუნებს. შესაძლოა კონფლიქტი, ჯარიმები. ყველაზე უარყოფით გარე გავლენას 5-დან 23 ივნისის პერიოდში იგრძნობს, ორივე მხარის იმპულსური ქმედებები გამოიწვევს საქმიან ან გაცნობითი ურთიერთობების შეწყვეტას. თვის ბოლოს სიტუაცია არც ისე დაძაბული იქნება, ბევრი მათგანი ოპტიმიზმით და იუმორითაც გაიხსენებს.

**თხის რქა** (22.12-19.01)
ივნისში თხის რქა თავს არაკომფორტულად იგრძნობს, რადგან ბევრი რამ შეიძლება წარმოიშვას, ქაოსი ბიზნესში, გაუგებრობები ურთიერთობებში, სტაბილურობის დაკარგვა დამთრგუნველ გავლენას მოახდენს მის ცნობიერებაზე. თხის რქა მხოლოდ თვის დასაწყისში და ბოლოს შეძლებს ძალიან წარმატებულ მოქმედებას. 5-დან 23 ივნისამდე პერიოდში მუშაობას და კონტაქტებს შეიძლება თან ახლდეს კამათი, გაუგებრობები. მოვლენები, რომლებიც განვითარდება, გავლენას მოახდენს სამუშაოს შედეგებზე, გაჩნდება ბიუროკრატიული დაბრკოლებები და საბოტაჟები. გართულდება ურთიერთობა. თხის რქა შვილებს ძალიან ფრთხილად უნდა მოეპყრას და იზრუნოს მათზე. მხოლოდ თვის ბოლოს შეძლებს თხის რქა, აღადგინოს წესრიგი საქმეებსა და ურთიერთობებში.

**მერწყული** (20.01-18.02)
მერწყულისთვის ივნისი შინაგანი პოტენციალის გამოვლენის, ნიჭის რეალიზების, თვითდამკვიდრების, პოზიციების გამყარებისა და ადამიანებში გავლენის მზარდი პერიოდია. მერწყული შეძლებს დატკბეს წარმატებებით, გაიზრდება მისი თავდაჯერებულობა, შეძლებს წარმატებით გააძლიეროს პირადი ურთიერთობები. თუმცა, 5 ივნისიდან შესაძლოა, კონფლიქტები წარმოიშვას პარტნიორთან. მერწყულმა შეიძლება დაკარგოს მხარდაჭერა, რაც მის ნდობას შეარყევს. 5-დან 23 ივნისის პერიოდში ის ფრთხილად უნდა ჩაერთოს ფინანსურ ტრანზაქციებში, ყურადღებით შეამოწმოს ფინანსური დოკუმენტაცია და ასევე სასურველია დიდი შესყიდვების გადადება. თვის ბოლოს მერწყული უფრო წარმატებული იქნება ბიზნესში, თუმცა, შესაძლოა სხვა შემზღუდველი ფაქტორებიც გამოჩნდეს.

**თევზები** (19.02-20.03)
ივნისში თევზებისთვის 5-დან 23 ივნისამდე პერიოდში გაძნელდება ურთიერთგაგება, თევზების მოთხოვნები გაიზრდება, მოსალოდნელია იმედგაცრუება და განწყობა. ამ პერიოდის განმავლობაში არასასურველია რემონტის დაწყება, რადგან თევზები ფინანსურ ტყვეობაში აღმოჩნდებიან. მათი გავლენა კოლეგებსა და მეგობრებს შორის გაიზრდება. რთულ სიტუაციებში სწორ გადაწყვეტილებებს მიიღებს, საქმიან კავშირებს წარმატებით გამოიყენებს. როცა თევზები ყურადღებას მთლიანად დაიპყრობს, შესაბამისად, გაჩნდება სახლში მცირედი პრობლემები, რაც საყვარელი ადამიანების განაწყენებას გამოიწვევს. თვის ბოლოს თევზები თავს კომფორტულად იგრძნობს, პოპულარობა მოიმატებს. თუ სიყვარულში უფრო წარმატებული იქნება, გამარჯვების ალბათობა უფრო მეტად გაიზრდება.



# ტყუპების ზოდიაქოს ნიშანი –

***ივნისის დასაწყისში დაბადებული ტყუპები გამოირჩევიან ღრმა აზროვნებით, არიან ცნობისმოყვარეები, მჭევრმეტყველები და კომუნიკაციის ოსტატები. ახასიათებთ განსაკუთრებით სწრაფი ანალიზის უნარი, აქვთ ბევრი იდეა, სწრაფად ეწყობიან ახალ გამოწვევებს, მაგრამ მათ განხორციელებაში სჭირდებათ დამხმარე ან პარტნიორი. რაც შეეხება პირად ურთიერთობებს, უყვართ საუბარი სიყვარულსა და სილამაზეზე, თუმცა, თუ ვინმე ინტელექტითა და აზროვნებით არ მოეწონათ, მაშინვე შორს იჭერენ თავს.***

## ზოდიაქოს ნიშნები

**ვერძი:** 21 მარტი — 20 აპრილი; **კურო:** 21 აპრილი — 20 მაისი; **ტყუპები:** 21 მაისი — 22 ივნისი; **კირჩხიბი:** 23 ივნისი — 22 ივლისი; **ლომი:** 23 ივლისი — 23 აგვისტო; **ქალწული:** 24 აგვისტო — 23 სექტემბერი; **სასწორი:** 24 სექტემბერი — 22 ოქტომბერი; **ღრიანკალი:** 23 ოქტომბერი — 22 ნოემბერი; **მშვილდოსანი:** 23 ნოემბერი — 21 დეკემბერი; **თხის რქა:** 22 დეკემბერი — 19 იანვარი; **მერწყული:** 20 იანვარი — 18 თებერვალი; **თევზები:** 19 თებერვალი — 20 მარტი.



ერთ-ერთი დამაარსებელი **მარლამ ღვალაძე.** გარდაიცვალა 51 წლის ასაკში, მაიმუნის წელიწადში.



**1933 წლის 5 ივნისს, მამლის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი, მინიატიურების თეატრის დამაარსებელი **თენგიზ ჩანტლაძე.** გარდაიცვალა 55 წლის ასაკში, დრაკონის წელიწადში.



**1935 წლის 5 ივნისს, ღორის წელიწადში,** დაიბადა შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი, კოტე მარჯანიშვილისა და შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი **კახი კავსაძე.** გარდაიცვალა 86 წლის ასაკში, ხარის წელიწადში.



**1958 წლის 5 ივნისს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, რეჟისორი და სპორტსმენი **სოსო ჯაჭვლიანი.** ქართულმა ფილმმა მისი მონაწილეობით „ნატვრის ხე", 1979 წელს იტალიაში საერთაშორისო კონკურსზე მიიღო პრემია — დონატელოს „დავითი". გარდაიცვალა 65 წლის ასაკში, ვირთხის წელიწადში.

**1906 წლის 6 ივნისს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა საბჭოთა საქართველოს პარტიული მოღვაწე, საკავშირო კპ(ბ) წევრი **მიტროფანე კუჭავა,** რომელიც 1953 წელს იყო ლავრენტი ბერიას წინააღმდეგ გამართულ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სპეციალური სასამართლო პროცესის წევრი. გარდაიცვალა 93 წლის ასაკში, კურდღლის წელიწადში.





**1930 წლის 6 ივნისს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა გამოთვლითი ტექნიკისა და ავტომატური მართვის დარგის მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,

# მიმდინარე კვირა: 2 – 8 ივნისი

## ტყუპების ნიშნით დაიბადნენ ცნობილი ქართველები:



**1950 წლის 5 ივნისს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, გიორგი შენგელაიას ფილმის „სიყვარული ყველას უნდა" გმირი — **ბაბულა** და სერიალის „ჩემი ცოლის დაქალების" პერსონაჟი **ეგონა გუნავა,** იგივე **ლაურა რეხვიაშვილი.**



**1956 წლის 5 ივნისს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა არაპროფესიონალი მსახიობი, გიორგი შენგელაიას ფილმის „სიყვარული ყველას უნდა" გმირი — **ბურნუთა,** იგივე **ვახტანგ ფანჩულიძე.**



**1961 წლის 5 ივნისს, ხარის წელიწადში,** დაიბადა სპორტსმენი — წყალში მხტომელი, ორგზის სსრ კავშირის ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი, ესპანეთისა და ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირების ჩემპიონი **ლიანა ცოტაძე.**



**1938 წლის 6 ივნისს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა საქართველოს დამსახურებული არტისტი, 1991-2005 წლებში რუსთავის თეატრის დირექტორი **ჯემალ მაზიაშვილი.**



**1981 წლის 6 ივნისს, მამლის წელიწადში,** დაიბადა მომღერალი, ქალაქური ფოლკლორის შემსრულებელი **ნინო ჩხეიძე.**



**1985 წლის 6 ივნისს, ხარის წელიწადში,** დაიბადა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი 2013-2015 წლებში, პოლიციის პოლკოვნიკი **ალექსანდრე ჭიკაიძე.**



**1959 წლის 8 ივნისს, ღორის წელიწადში,** დაიბადა მოჭადრაკე, საერთაშორისო დიდოსტატი, საქართველოს ხუთგზის ჩემპიონი, სენიორთა შორის ევროპის ჩემპიონი და სენიორთა შორის (50+) მსოფლიოს ჩემპიონი **ზურაბ სტურუა.** არის ერთადერთი ქართველი მოჭადრაკე, რომელმაც დაამარცხა მსოფლიოს ჩემპიონი **გარი კასპაროვი.**



**1967 წლის 8 ივნისს, თხის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, ქართულ ენაზე სხვადასხვა უცხოურენოვანი სერიალების გამხმოვანებელი **დიმიტრი ტატიშვილი.**

## ტყუპების ნიშნით იყვნენ დაბადებულნი:



**1888 წლის 2 ივნისს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა რეჟისორი, ქართული დრამატული სტუდია-თეატრის „ჯაბადარის სტუდიის" დამფუძნებელი **გიორგი ჯაბადარი.** ის არის პირველი ქართველი რეჟისორი, რომელმაც გერმანიაში დადგა ქართული პიესა „ღალატი". გარდაიცვალა 50 წლის ასაკში, ვეფხვის წელიწადში.



**1912 წლის 2 ივნისს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა აფხაზი მსახიობი და რეჟისორი, საქართველოსა და აფხაზეთის (ასსრ) სახალხო არტისტი **აზიზ აგრბა.** 1936-1938 წლებში თამაშობდა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრთან არსებულ დრამატულ სტუდიაში. გარდაიცვალა 79 წლის ასაკში, თხის წელიწადში.

**1937 წლის 2 ივნისს, ხარის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი და სპორტული კომენტატორი, ტელედიქტორი **ნუგზარ ჯულელი.** გარდაიცვალა 82 წლის ასაკში, ღორის წელიწადში.





**1856 წლის 3 ივნისს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა მწერალი, ქართული ისტორიული რომანის ერთ-ერთი ფუძემდებელი **ვასილ ბარნოვი (ბარნაველი).** იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, გარდაიცვალა 78 წლის ასაკში, ძაღლის წელიწადში.



**1897 წლის 3 ივნისს, მამლის წელიწადში,** დაიბადა პოეტი **ტერენტი გრანელი (კვირკველია).** ფსევდონიმი „გრანელი", რაც ლათინურად მარცვალს ნიშნავს, აირჩია 1919 წელს. გარდაიცვალა 37 წლის ასაკში, ძაღლის წელიწადში.



**1936 წლის 3 ივნისს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი **რევაზ სირაძე.** გარდაიცვალა 76 წლის ასაკში, დრაკონის წელიწადში.



**1953 წლის 3 ივნისს, გველის წელიწადში,** დაიბადა ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი **გოგა ფიფია,** რომელმაც მთავარი როლი შეასრულა ფილმებში „როცა აყვავდა ნუში" (ლექსო) და „მზიური" (პიონერთა რაზმის ხელმძღვანელი). გარდაიცვალა 58 წლის ასაკში, დრაკონის წელიწადში.



**1893 წლის 5 ივნისს, გველის წელიწადში,** დაიბადა ბიოქიმიკოსი, მცენარეთა ბიოქიმიისა და ენოქიმიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის

## ასტროლოგიური კვირა მიხეილ ცაგარელის მიხედვით

### 2 ივნისი , ორშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპების ზოდიაქოში. ამოდის 04.29 საათზე, ჩადის 19.30 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს ქალწულის ზოდიაქოში 07.00 საათზე. ამოდის 10.54 საათზე, ჩადის 00.12 საათზე (მთვარის მე-7 დღე იწყება 11.59 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 03.39 საათიდან 07.01 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს და ხვალ ნუ გასცემთ შეუსრულებელ დაპირებებს. კარგი დღეა კონტაქტებისთვის, ლოცვისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის. პარტნიორულ ურთიერთობებში ნუ იქნებით პედანტი, მეწვრილმანე, ზედმეტად პირდაპირი, გამოიყენეთ იუმორი. შედეგიანია ღვიძლის, ლიმფური და ნერვული სისტემების, მხედველობის, ტერფების მკურნალობა. გამახვილებულ სექსუალურ ენერგიას ნუ გარდაქმნით ურთიერთობათა გარჩევაში. საკვებ რაციონში შეიტანეთ მჭლე ხორცი, თევზეული, ბოსტნეული. რთული დღეა სიყვარულისა და ქორწინებისთვის, ახალი ნაცნობობისთვის, გამოცდების ჩასაბარებლად, წყლის ტრანსპორტით მოგზაურობისთვის, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, ცხოველთა კასტრაციისთვის, სარისკო მოქმედებისთვის. კარგი დღეა გასაუბრებისთვის, დალაგებისთვის, საფინანსო-საბანკო ოპერაციებისთვის, ვაჭრობისთვის, აუდიტისთვის, მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის, თმების შესაჭრელად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა. **ქვები:** ყვითელი და მწვანე იასპი, მალაქიტი, აქატი, ონიქსი. **პოზიტიური დღეა** ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპებისთვის.

### 3 ივნისი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპების ზოდიაქოში. ამოდის 04.28 საათზე, ჩადის 19.31 საათზე. **მთვარე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 11.59 საათზე, ჩადის 00.34 საათზე (მთვარის მე-8 დღე იწყება 13.19 საათზე. მე-2 ფაზა იწყება 07.42 საათზე). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დააფასეთ სათანადოდ პარტნიორული და მეგობრული ურთიერთობები, პარტნიორულ ურთიერთობებში გამოავლინეთ მეტი ყურადღება, მზრუნველობა, ნუ იქნებით ზედმეტად კრიტიკული, მეწვრილმანე. აკონტროლეთ საკვების და სასმლის ხარისხი. სხვათა საქმეებში ნუ ჩაერევით მათი თხოვნის გარეშე. მოერიდეთ ქორწინებას, ახალ ნაცნობობას, მეგობრულ კონტაქტებს, გამოცდების ჩაბარებას, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვას, ცხოველთა კასტრაციას, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებას, სარისკო მოქმედებებს. კარგი დღეა გასაუბრებისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, აუდიტისთვის, დალაგებისთვის, ქიმწმენდისთვის, საფინანსო-საბანკო ოპერაციებისთვის, სწავლისთვის, მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის, ვაჭრობისთვის, საქმიანი მიმოწერისთვის, დიეტის დასაწყებად, ხელშეკრულების დასადებად, პედიკიურისა და მანიკიურის გასაკეთებლად, თმების შესაჭრელად, ცხოველებთან კონტაქტისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი. **ქვები:** ყვითელი და მწვანე იასპი, მალაქიტი, აქატი, ქრიზოპრაზი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის.

### 4 ივნისი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპების ზოდიაქოში. ამოდის 04.28 საათზე, ჩადის 19.31 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 13.01 საათზე, ჩადის 00.53 საათზე (მთვარის მე-9 დღე იწყება 14.36 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 15.13 საათიდან 17.39 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** საზოგადოებრივი ვალდებულების შესრულებას ნუ გაექცევით. კარგია კარის თავზე სიუხვისა და ყოვლათისათვის ნალის ჩამოკიდება. პარტნიორულ ურთიერთობებში ნუ ეცდებით პარტნიორით მანიპულირებას და მისი სისუსტეების გამოყენებას. შედეგიანია ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, ნერვული და ლიმფური სისტემების, მხედველობის, ტერფების მკურნალობა. გამახვილებულ სექსუალურ ენერგიას ნუ გარდაქმნით კონფლიქტში. საკვებ რაციონში მეტად შეიტანეთ ხილი, ბოსტნეული, სალათები, კენკრა. ნეგატიური დღეა ქორწინებისთვის, გამოცდების ჩასაბარებლად, ახალი ნაცნობობისა და მეგობრული კონტაქტებისთვის, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, ცხოველთა კასტრაციისთვის, სარისკო მოქმედებებისთვის. სასიკეთო დღეა დალაგება-დასუფთავებისთვის, ქიმწმენდისთვის, საბანკო-საფინანსო ოპერაციებისთვის, ვაჭრობისთვის, აუდიტისთვის, წამლების შესაძენად, მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის, თმების შესაჭრელად, დიეტის დასაწყებად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭქვეშა ჯირკვალი, ნაწლავთა სისტემა, ყელი, თირკმლები. **ქვები:** ყვითელი, მწვანე იასპი, მალაქიტი, ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

### 5 ივნისი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპების ზოდიაქოში. ამოდის 04.27 საათზე, ჩადის 19.32 საათზე. **მთვარე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 14.02 საათზე, ჩადის 01.11 საათზე (მთვარის მე-10 დღე იწყება 15.52 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 12.10 საათიდან 12.37 საათამდე. **ტენდენციები:** ეს დღე შედარებით მშვიდი და პოზიტიურია. განთავისუფლდით ზედმეტი და უსარგებლო ნივთებისგან. კარგი დღეა საქმიანი და სასიყვარულო ურთიერთობებისთვის. შესაძლებელი იქნება ძველი გააზრებული, პოზიტიური იდეების რეალიზაცია. პარტნიორულ ურთიერთობებში მეტად დაეყრდენით გულახდილობას, მშვიდობიანობას, დიპლომატიურობას, კომპრომისებს. შედეგიანია კბილების, სისხლძარღვების, გრძნობათა ორგანოების მკურნალობა. ნუ მიიღებთ ბევრ სითხეს, მარილიან კერძებს. მოერიდეთ თხილს, თაფლს და სხვა ალერგიის გამომწვევ პროდუქტებს, მანქანის ყიდვა-გაყიდვას, მჭრელ საგნებთან ურთიერთობებს. სასიკეთო დღეა სწრაფად შესრულებადი საქმეებისთვის, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, პარფიუმერია-კოსმეტიკის, აქსესუარების, ავეჯის, მუსიკალური აპარატურის შესაძენად, შემოქმედებითი მუშაობისთვის, ქორწინებისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ხელოვნების ნიმუშების ყიდვა-გაყიდვისთვის, დიზაინისა და არქიტექტურისთვის, კოსმეტიკური პროცედურებისთვის, პარტნიორული თანამშრომლობისთვის, საიუბილეო საღამოებისა და ექიმებთან კონსულტაციისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები, კანი. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, საფირონი, თოფაზი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის.

# 21 მაისი – 22 ივნისი



აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი **ივერი ფრანგიშვილი.** გარდაიცვალა 75 წლის, ძაღლის წელიწადში.



**1934 წლის 6 ივნისს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი **ლეო ფილფანი.** გარდაიცვალა 61 წლის ასაკში, ღორის წელიწადში.



**1961 წლის 6 ივნისს, ხარის წელიწადში,** დაიბადა კინოსტუდია „ქართული ფილმის" მსახიობი, ცნობილი კინორეჟისორის **მიხეილ კობახიძისა** და მსახიობ **ნათელა მაჭავარიანის** შვილი **გეგა კობახიძე.** იყო 1983 წლის 18 ნოემბრის თვითმფრინავის გატაცების მცდელობის ერთ-ერთი მონაწილე. დახვრიტეს 23 წლის ასაკში, ვირთხის წელიწადში.



**1911 წლის 7 ივნისს, ღორის წელიწადში,** დაიბადა ფეხბურთელი, თბილისის „დინამოს" მეკარე, საკავშირო პირველობის უმაღლესი ლიგის ფარგლებში ჩატარებული პირველი მატჩის მონაწილე, საბჭოთა კავშირის ვიცე-ჩემპიონი **ალექსანდრე დოროხოვი.** გარდაიცვალა 67 წლის ასაკში, ცხენის წელიწადში.

## ტყუპების ნიშნით დაიბადნენ:



**1975 წლის 4 ივნისს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მსახიობი, სამი ოქროს გლობუსის, „ოსკარისა" და კინომსახიობთა გილდიის ორი ჯილდოს მფლობელი **ანჯელინა ჯოლი.** აღიარებულია მსოფლიოს ერთ-ერთ ულამაზეს ქალად.



**1941 წლის 5 ივნისს, გველის წელიწადში,** დაიბადა პოლონელი მსახიობი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი **ბარბარა ბრილსკა.** საბჭოთა მაყურებელმა ის გაიცნო ელდარ რიაზანოვის ფილმიდან „ბედის ირონია, ანუ გაამოთ".



**1946 წლის 5 ივნისს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა იტალიელი მსახიობი **სტეფანია სანდრელი.** პოპულარობა მოუტანა ფილმმა „განქორწინება იტალიურად", სადაც მას პარტნიორობას უწევდა იტალიელი კინოვარსკვლავი მარჩელო მასტროიანი.



**1960 წლის 6 ივნისს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა იტალიური წარმოშობის ამერიკელი მუსიკოსი, ვირტუოზი გიტარისტი, კომპოზიტორი **კარლ პლეისი.**



**1981 წლის 7 ივნისს, მამლის წელიწადში,** დაიბადა რუსი მოდელი და ყოფილი პროფესიონალი ჩოგბურთელი, მსოფლიოს ყოფილი მერვე ჩოგანი **ანა კურნიკოვა.**



**1940 წლის 8 ივნისს, დრაკონის წელიწადში**, დაიბადა ამერიკელი მომღერალი და მსახიობი, **ფრენკ სინატრასა** და მისი პირველი მეუღლის **ნენსი ბარბატოს** ქალიშვილი **ნენსი სინატრა.**



**1954 წლის 8 ივნისს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა სსრკ — ამერიკელი მოჭადრაკე, საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატის კანდიდატი **ირინა ლევიტინა.** ასევე ის არის ბრიჯში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი.



**1955 წლის 8 ივნისს, თხის წელიწადში,** დაიბადა ინგლისელი კომპიუტერული მეცნიერი, ინტერნეტ-რესურსების ადრესაციის სისტემის გამომგონებელი **ტიმოთი ბერნერს-ლი.** შესულია ცოცხალ 100 გენიოს ადამიანს შორის.



**1989 წლის 8 ივნისს, გველის წელიწადში,** დაიბადა ფრანგი მომღერალი, ტენორი **ამორი ვასილი,** რომლის სადებიუტო ალბომმა „VINCERO" 2009 წელს მიიღო ორმაგი პლატინის დისკი და მსოფლიო მასშტაბით გამოიცა.



**1910 წლის 3 ივნისს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მსახიობი, **ჩარლი ჩაპლინის** ყოფილი მეუღლე და **ერიხ მარია რემარკის** მეუღლე მის გარდაცვალებამდე **პოლეტ გოდარდი.** გარდაიცვალა 79 წლის ასაკში, ცხენის წელიწადში.



**1922 წლის 3 ივნისს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა ფრანგი რეჟისორი და სცენარისტი **ალენ რენე.** ქართველმა მაყურებელმა ის გაიცნო ფილმით „ჰიროსიმა, ჩემო სიყვარულო". გარდაიცვალა 91 წლის ასაკში, ცხენის წელიწადში.



**1907 წლის 4 ივნისს, თხის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მსახიობი **კატრინ რასელი,** რომელსაც კარიერის განმავლობაში ხუთჯერ ჰქონდა მოგებული ოქროს გლობუსი, ოთხჯერ იყო წარდგენილი „ოსკარის" ნომინაციაში. გარდაიცვალა 69 წლის ასაკში, დრაკონის წელიწადში.



**1898 წლის 5 ივნისს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა ესპანელი პოეტი და დრამატურგი **ფედერიკო გარსია ლორკა.** მეგობრობდა სიურრეალისტ მხატვარ სალვადორ დალისთან და რეჟისორ ლუის ბუნუელთან. წამებით მოკლეს 38 წლის ასაკში, ვირთხის წელიწადში.



**1902 წლის 5 ივნისს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა ავსტრიელი პოეტი და მთარგმნელი **ჰუგო ჰუპერტი.** 1966 წელს ის მონაწილეობდა შოთა რუსთაველის საიუბილეო ზეიმში, მასთან ინტერვიუ დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტში". ჰუბერტის მოგონებები საქართველოზე შესულია მისი მემუარების მესამე წიგნში. გარდაიცვალა 79 წლის ასაკში, ძაღლის წელიწადში.



**1928 წლის 5 ივნისს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა ინგლისელი რეჟისორი, მსახიობ **ვანესა რედგრეივის** ყოფილი მეუღლე **ტონი რიჩარდსონი.** მიღებული აქვს ორი „ოსკარი" ფილმისთვის „ტომ ჯოუნსი". გარდაიცვალა 63 წლის ასაკში, თხის წელიწადში.

## ტყუპების ნიშნით იყვნენ დაბადებულნი:



**1448 წლის 2 ივნისს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა ადრეული რენესანსის ფლორენციელი მხატვარი **დომენიკო გირლანდაიო.** რომში, ვატიკანის სიქსტეს კაპელაში მის მიერ მოხატულია ფრესკა „პეტრე და ანდრია მოციქულების მოწოდება". გარდაიცვალა 45 წლის ასაკში, ვეფხვის წელიწადში.



**1763 წლის 6 ივნისს, თხის წელიწადში,** დაიბადა საფრანგეთის იმპერატორ **ნაპოლეონ ბონაპარტის** პირველი მეუღლე **ჟოზეფინა ბოარნე.** გარდაიცვალა 51 წლის ასაკში, ძაღლის წელიწადში.



**1799 წლის 6 ივნისს, თხის წელიწადში,** დაიბადა რუსი პოეტი და მწერალი, ახალი რუსული ლიტერატურის ფუძემდებელი **ალექსანდრე პუშკინი.** სასიკვდილოდ დაიჭრა დუელში, გარდაიცვალა 37 წლის ასაკში, მამლის წელიწადში.



**1875 წლის 6 ივნისს, ღორის წელიწადში,** დაიბადა გერმანელი მწერალი და ესეისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში, **ჰაინრიხ მანის** ძმა, **კლაუს მანისა და ერიკა მანის** მამა **თომას მანი.** გარდაიცვალა 80 წლის ასაკში, თხის წელიწადში.



**1903 წლის 6 ივნისს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა კომპოზიტორი, დირიჟორი და პედაგოგი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი **არამ ხაჩატურიანი.** დიმიტრი შოსტაკოვიჩთან და სერგეი პროკოფიევთან ერთად, ის დასახელებულია საბჭოთა მუსიკის ერთ-ერთ ტიტანად. გარდაიცვალა 75 წლის ასაკში, ცხენის წელიწადში.



**1944 წლის 6 ივნისს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა გერმანული ელექტრონული მუსიკის კომპოზიტორი, ცნობილი ჯგუფის „Tangerine Dream" წევრი **ედგარ ფროზე.** გარდაიცვალა 71 წლის ასაკში, თხის წელიწადში.



**1848 წლის 7 ივნისს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა ფრანგი მხატვარი **პოლ გოგენი.** შემოქმედებაში იყენებდა კაშკაშა შეფერილობის სიბრტყობრივ ფორმებს და საგნების შემომსაზღვრელ შავ კონტურს. თავის სტილს „სინთეტიზმს" უწოდებდა. გარდაიცვალა 54 წლის ასაკში, კურდღლის წელიწადში.



**1953 წლის 7 ივნისს, გველის წელიწადში,** დაიბადა ჩეხი მსახიობი **ლიბუშე შაფრანკოვა.** ქართველმა მაყურებელმა ის გაიცნო ფილმიდან „სამი კაკალი კონკიასათვის". გარდაიცვალა 68 წლის ასაკში, ხარის წელიწადში.



**1895 წლის 8 ივნისს, თხის წელიწადში,** დაიბადა ფეხბურთელი, „მადრიდის რეალის" წევრი, შემდეგ მწვრთნელი და პრეზიდენტი **სანტიაგო ბერნაბეუ.** მის სახელს ატარებს „მადრიდის რეალის" საშინაო სტადიონი. გარდაიცვალა 83 წლის ასაკში, ძაღლის წელიწადში.

## ასტროლოგიური კვირა მიხეილ ცაგარელის მიხედვით

### 6 ივნისი, პარასკევი

**მზე** იმყოფება ტყუპების ზოდიაქოში. ამოდის 04.27 საათზე, ჩადის 19.33 საათზე. **მთვარე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 15.03 საათზე, ჩადის 01.30 საათზე (მთვარის მე-11 დღე იწყება 17.08 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები: სიყვარულის, ხელოვნების მმართველი პლანეტა ვენერა დღეიდან 4 აგვისტომდე გადაინაცვლებს კუროს ზოდიაქოში** და ამით ხელს შეუწყობს სასიყვარულო და პარტნიორული ურთიერთობების სტაბილურობას, ერთგულებას, სიფრთხილესა და წინდახედულობას, ტრადიციულობას, შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენას, ფინანსური „ყნოსვის" გამახვილებას, ამავდროულად განავითარებს სიჯიუტეს, პირდაპირობას. ფინანსურ წარმატებას განაპირობებს საბანკო-სამშენებლო, აგრობიზნესის, დიზაინის, არქიტექტურის, ეკოლოგიის, ხელოვნების სფეროებში. დღეს შესაძლებელია, კოლეგებმა არ მოინდომონ დახმარების გაწევა თქვენი ვალდებულებების შესრულებაში. იყავით მიზანმიმართული, შესაძლებელი იქნება მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრა. პარტნიორულ ურთიერთობებში მოიმატებს ილუზიები და საყვარელი ადამიანის იდეალიზაცია. საკვებ რაციონში შეიტანეთ ყაბაყი, ყვავილოვანი კომბოსტო. არ ვარგა ალერგიის გამომწვევი პროდუქტების მიღება. კარგი დღეა საყიდლებისთვის, კოსმეტიკური პროცედურებისა და გართობისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები, კანი. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, საფირონი, თოფაზი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თევზებისთვის.

### 7 ივნისი, შაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპების ზოდიაქოში. ამოდის 04.27 საათზე, ჩადის 19.33 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს ღრიანკალის ზოდიაქოში 06.38 საათზე. ამოდის 16.05 საათზე, ჩადის 01.50 საათზე (მთვარის მე-12 დღე იწყება 18.27 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 05.06 საათიდან 06.24 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს და ხვალ ნურაფერს დაგეგმავთ, თავისუფალი გრაფიკით იცხოვრეთ. კარგია საჩუქრების ჩუქება, ქველმოქმედება, აკონტროლეთ დღეს და ხვალ ემოციები. გამხმარ ტოტებს ნუ შეჭრით, კარგია სამკურნალო მცენარეების დარგვა, მორწყვა. დღეს თქვენი ჩაფიქრებული გეგმები შემოწმდებიან ქმედითუნარიანობაზე. პარტნიორულ ურთიერთობებში მოერიდეთ სუბიექტურობას, ილუზიებს, ტყუილს, ეჭვიანობას, სარკაზმს, უკომპრომისობას. თავი შეიკავეთ ინტიმური კონტაქტების, აბორტის გაკეთებისა და გინეკოლოგთან ვიზიტისაგან. ეფექტურია ყელი-ყურ-ცხვირის, ენდოკრინული სისტემის მკურნალობა. საკვებ რაციონში მეტად შეიტანეთ ბრინჯი, ცხიმიანი თევზი, ისპანახი. მოერიდეთ რენტგენს, სხივურ თერაპიას, ახალი საქმის დაწყებას, მგზავრობას, ადგილსამყოფლის შეცვლას, სოცუზრუნველყოფისა და დაზღვევის ორგანიზაციებთან ურთიერთობას, სისხლის აღებას. კარგი დღეა მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, ნადირობასა და თევზაობისთვის, თვითშემეცნებისთვის, კოსმეტიკური პროცედურებისა და მასაჟისთვის, თმების შესაჭრელად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო, რეპროდუქციული სისტემა. **ქვები:** ოპალი, ობსიდიანი, თოფაზი, მარჯანი, ონიქსი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, სასწორისთვის.

### 8 ივნისი, კვირა

**მზე** იმყოფება ტყუპების ზოდიაქოში. ამოდის 04.27 საათზე, ჩადის 19.34 საათზე. **მთვარე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 17.09 საათზე, ჩადის 02.12 საათზე (მთვარის მე-13 დღე იწყება 19.48 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** გაუფრთხილდით ძვირფასეულობას. აკონტროლეთ ხასიათში ემოცია, აგრესია, ამპარტავნება, სიჯიუტე, სარკაზმი, ეჭვიანობა, სიამაყე. მოიმატებს კრეატიულობა, რომლის მეშვეობით შეძლებთ სხვების ადვილად დარწმუნებას. სიბრძნის და ფარული ცოდნის მიღების დღეა. პარტნიორული გაცნობისთვის ხელსაყრელი პერიოდია. არ ვარგა ინტიმურ კონტაქტში შესვლა, ალკოჰოლური სასმლის მიღება, ახალი საქმის დაწყება, პარტნიორული თანამშრომლობა, მგზავრობა, სესხის აღება. კარგი დღეა თვითშემეცნებისთვის, კომპეტენტურობის გამოსავლენად, ნადირობასა და თევზაობისთვის, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, რეცხვისა და რემონტისთვის, გეგმების დასახვისთვის, ავტორიტეტულ ადამიანებთან შეხვედრებისთვის, ცხოველების, ანტიკვარიატის შესაძენად, მასაჟისა და კოსმეტიკური პროცედურებისთვის, თმების შესაჭრელად. საკვებ რაციონში შეიტანეთ უცხიმო თევზი და ზღვის პროდუქტები, ასკილის ნაყინი. კარგია ნიადაგის თოხნა, გაფხვიერება, ხეხილის მყნობა, მცენარეების მორწყვა, სამკურნალო მცენარეების შეგროვება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო, რეპროდუქტიული სისტემები. **ქვები:** ოპალი, ობსიდიანი, თოფაზი, ზურმუხტი, მარგალიტი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ტყუპებისთვის, მშვილდოსნისთვის.



# სამედიცინო ჰოროსკოპი

**ასტროლოგების აზრით, სამედიცინო სფეროსათვის მნიშვნელოვანია თხის რქის ზოდიაქოს ნიშანი, რომელიც პასუხისმგებელია ფსიქოლოგიურ გამძლეობაზე, მოთმინებაზე, სიზუსტესა და თვითდისციპლინაზე, ქალწული — როგორც დეტალებზე ორიენტირებული და თევზები, რომელსაც ახასიათებს გამოკვეთილი მზრუნველობა და თანაგრძნობა. ქვემოთ შემოგთავაზებთ თითოეული ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულ ექიმთა თვისებებს, როგორ იბრძვიან ისინი ავადმყოფთა გაჯანსაღებისთვის და რამდენად გულისხმიერად უდგებიან პაციენტების მკურნალობას.**




**1. ვერძი** მოწოდებით ექიმია, მიდრეკილია სწრაფი მოქმედებისა და სიკეთის ქმნისკენ. ამ ნიშნით დაბადებულ ექიმს, თითქმის ყველას, შანსი აქვს, გახდეს მედიცინის გამორჩეული ვარსკვლავი. ის ვერძები, რომლებსაც თავიდანვე შეუძლიათ სირთულეების გადალახვა, მთებს გადააადგილებენ. მათთვის ქირურგია იდეალურია, განსაკუთრებით ნეიროქირურგია, ასევე ინფექციური დაავადებების მკურნალობა. სჭირდებათ ეფექტი: „აქ და ახლა“.

**ვერძის** ნიშნით იყო დაბადებული **ქართველი ინფექციონისტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ვახტანგ ბოჭორიშვილი. 1970 წელს, ქოლერის ეპიდემიის დროს, მან პირველმა გამოიყენა ანტიბაქტერიული ფილიპსის ხსნარი.** შეიმუშავა და დანერგა მცირეწლოვან **ბავშვებში კრიტერიუმები სალმონელოზის კლინიკური დიაგნოზისთვის,** რამაც შეამცირა სიკვდილიანობა. ვერძის ნიშნით იყო დაბადებული ცნობილი გასტროენტეროლოგი **ხუტა პაჭკორია.** მას დანერგილი ჰქონდა **გასტროენტეროლოგიურ დაავადებათა უამრავი სადიაგნოსტიკო მეთოდი,** პროფესორი **ვახტანგ მეუნარგია** მასზე ამბობდა: **ხუტას აქვს რაღაც ისეთი, რასაც დიდი ექიმობა ჰქვია. ვერძის** ნიშნით იყო დაბადებული ცნობილი **ქირურგი ნიკოლაი სკლიფოსოვსკი,** წლების განმავლობაში ის ხელმძღვანელობდა სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო კლინიკურ ინსტიტუტს.




**2. კუროები** კარგი **ქირურგები და თერაპევტები** არიან, პრაქტიკულნი და ფიზიკურად გამძლენი. მათ ახასიათებთ მეთოდური და სისტემატური მუშაობა, ხოლო გულმოდგინება ხელს უწყობს დაგროვილი ცოდნის გამოყენებას. ხშირად ირჩევენ ენდოკრინოლოგიას, ოტოლარინგოლოგიას და ინფექციური დაავადებების მკურნალობას. პაციენტები მათ ენდობიან.

**კუროს** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ იყო დაბადებული სისხლის ცირკულაციის პირველი აღმწერი **უილიამ ჰარვეი.** ასევე, ამ ნიშნით დაიბადა მსოფლიოში ექთნების სკოლის პირველი იდეოლოგი და ორგანიზატორი **ფლორენს ნაითინგეილი.** დაამტკიცა, რომ ავადმყოფის გამოჯანმრთელება დამოკიდებულია არამხოლოდ ექიმის უნარზე, არამედ საავადმყოფოებში მოვლის ხარისხზე. მის დაბადების დღეს — 12 მაისს, დაწესებულია ექთნების საერთაშორისო დღე. კუროს ნიშნით არის დაბადებული პედიატრი, ქირურგი, უამრავი ბავშვის გადამრჩენი **ლეონიდ როშალი.**




**3. ტყუპები,** მიუხედავად იმისა, რომ ცვალებადი ბუნების, მოუსვენარი ადამიანები არიან და ხშირად იცვლიან ინტერესებს, ამ ნიშნით დაბადებული ექიმები, პაციენტის უმცირესი ჩივილებიდან გამომდინარე, ხედავენ დაავადების მთლიან სურათს და ზუსტ დიაგნოზს სვამენ. აქვთ ბრწყინვალე მეხსიერება, მზად არიან მკურნალობის ახალი მეთოდების დანერგვისთვის.

**ტყუპების** ნიშნით იყო დაბადებული **გერმანელი ფსიქიატრი და ნევროპათოლოგი, „ალცჰაიმერის დაავადების“ პირველი მკვლევარი ალოის ალცჰაიმერი.** ასევე, **ტყუპები** გახლდათ ცნობილი **ნეიროქირურგი ნიკოლაი ბურდენკო,** რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა შეიმუშავა ზურგის ტვინის მაგარი გარსისა და მორძო ტვინის გამტარი გზების გადაკვეთის ქირურგიული ოპერაციები, ჩაატარა ნერვული მონაკვეთების გადანერგვა.




**4. კირჩხიბი** ის ექიმი და ჰუმანიტარია, რომელმაც კლინიკურ პრაქტიკაში „ღიმილის თერაპია“ შემოიტანა. პაციენტებთან ურთიერთობაში მზრუნველები არიან და ხშირ შემთხვევაში, ისინი ირჩევენ პედიატრიას, ან ფსიქოთერაპიას, ასევე, გასტროენტეროლოგიასა და გულმკერდის ქირურგიას. ამ ნიშნის ქვეშ დაბადებული ექიმები შრომისმოყვარეები და მომთმენები არიან, არ იშურებენ საკუთარი გამოცდილების გადაცემას კოლეგებისთვის.

**კირჩხიბის** ნიშნით იყო დაბადებული **არგენტინელი ექიმი — სისხლძარღვთა და გულმკერდის ქირურგი რენე ფავალორო,** რომელმაც 1967 წელს, მსოფლიოში პირველად, **გულის კორონალური შუნტირების** ოპერაცია ჩაატარა.

**კირჩხიბის** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაიბადა **ქართველი ქირურგი რამაზ დათიაშვილი,** რომელმაც 42 წლის წინათ, 1983 წლის 18 ივნისს, სსრ კავშირის მედიცინის ისტორიაში, პირველმა ჩაატარა **კიდურების რეპლანტაციის ოპერაცია** — 3 წლის ლიტველ გოგონას — **რასა პრასცევიჩიუტე-სეპტს** უბედური შემთხვევის შედეგად მოკვეთილი ტერფები მიაკერა.




**5. ლომები** თავდაჯერებული ექიმები არიან, პაციენტის ავადმყოფობას არ ნებდებიან. მათი დევიზია: **არსებობს მხოლოდ კარგი შედეგის შანსი და არ არსებობს სხვა შანსი!** თუმცა, თუ რამეში ეჭვი შეეპარათ, ღიზიანდებიან და ნერვიული ხდებიან. როდესაც პალატებში ლომები ჩნდებიან, პაციენტებს ტემპერატურა უვარდებათ, წნევაც კი ნორმას უბრუნდება. ექიმი ლომები ხშირად აღწევენ მაღალ თანამდებობებსა და სამეცნიერო ხარისხებს, იზიდავთ კარდიოლოგია, ოფთალმოლოგია და მიკროქირურგია.

**ლომის** ნიშნით იყო დაბადებული **ცნობილი ოფთალმოლოგი, თვალის მიკროქირურგიის ერთ-ერთი უდიდესი სპეციალისტი სვიატოსლავ ფედოროვი.** ასევე, ამ ნიშნით იყო დაბადებული **ცნობილი ექიმი ფიოდორ ჰააზი,** რომლის დევიზიც იყო: **იჩქარეთ სიკეთის კეთებისაკენ!** მან საკუთარი ხარჯებით გახსნა საავადმყოფო და მრავალი წლის განმავლობაში ღარიბებს ამარაგებდა მედიკამენტებით, ცდილობდა, ციხეებში წამების აკრძალვას და პატიმრების შვილებისათვის ციხის საავადმყოფოებისა და სკოლების გახსნას. **ლომის** ნიშნით არის დაბადებული ამერიკის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის მოსახელე, **ექიმი-ონკოლოგი დონალდ ლ. ტრამპი.** მას „სხვა დონალდსაც“ უწოდებენ, არც დღევანდელი პრეზიდენტის ნათესავია. რამდენიმე წლის წინათ **პრეზიდენტ ტრამპს** მისთვის უთქვამს: **დონალდ ლ. ტრამპ, ანუ შენ, ალბათ, უფრო მნიშვნელოვანი ხარ, ვიდრე დონალდ ჯ. ტრამპი, ანუ მე!**




**6. ქალწული** ჯანმრთელობის სახლს მართავს, ამიტომ ამ ნიშნის ადამიანები „განწირულნი“ არიან ექიმის პროფესიისთვის, არ ეშინიათ პასუხისმგებლობის და საქმეს ზედმიწევნით ეკიდებიან. აქვთ მაღალგანვითარებული ინტუიცია, ქმნიან საკუთარი მკურნალობის სისტემას. ქალწულებს შორის ხშირად გვხვდებიან გენეტიკოსები და ქირურგები.

ერთ-ერთი უდიდესი **ამერიკელი გულ-სისხლძარღვთა ქირურგი მაიკლ დებეკეი ქალწულის** ზოდიაქოს ნიშნით იყო დაბადებული, დეტალებზე ორიენტირებული, მოწესრიგებული და ზრუნვის უნარით დაჯილდოებული. **ქალწულის** ნიშნით იყო დაბადებული **ქირურგი ალექსანდრე ვიშნევსკი,** რომელმაც გამოიგონა ვიშნევსკის ლინიმენტი და ნოვოკაინის ბლოკადის მეთოდი. ასტროლოგებს მიაჩნიათ, რომ **ქალწულის** ნიშნით იყო დაბადებული **მედიცინის მამა ჰიპოკრატეც.** მან შთამომავლობას დაუტოვა არამხოლოდ ექიმის ფიცის ტექსტი, არამედ „ჰიპოკრატეს კრებულიც“, სადაც შეგროვილი და შეჯამებული ჰქონდა თავისი დროის 100-ზე მეტი სამედიცინო ტრაქტატი. ერთ-ერთი მათგანი ეხებოდა „წმინდა დაავადებას“ — ეპილეფსიას. **ქალწულის** ნიშნით იყო დაბადებული **ძველი რომის დიდი ექიმი კლავდიუს გალენიც,** რომელიც გლადიატორის სკოლის ქირურგი გახლდათ და მედიცინის ისტორიაში პირველმა შეიმუშავა ჭრილობების, ამოვარდნილობების და მოტეხილობების მკურნალობის ახალი მეთოდები. შეიმუშავა და აღწერა ტვინის გახსნის მეთოდი. **გალენამდე არავის უფიქრია, რომ „ცხოველთა ორგანოები ადამიანის ორგანოების მსგავსია“.** ვარაუდობენ, რომ **ავიცენაც ქალწულის** ნიშნით იყო დაბადებული, მან სიკვდილის შემდეგ მიიღო მუსლიმანური სამყაროს დიდი მკურნალის ტიტული. **ქალწულის** ზოდიაქოს ნიშნით იყო დაბადებული **გულის კათეტერის გამომგონებელი ვერნერ ფორსმანი.** ეს კათეტერი მან 1928 წელს საკუთარ თავზე გამოსცადა: ანესთეზიის გარეშე, ვენაში შეიყვანა და გულის მარჯვენა ნახევრამდე მიიტანა. ამბობენ, რომ მედიცინას მანამდე არ ენახა ასეთი შოკისმომგვრელი ექსპერიმენტი.




**7. სასწორებისთვის** მედიცინა ხელოვნებაა. ისინი დახვეწილი და ინტელექტუალური პიროვნებები არიან, ამ ექიმებისთვის მნიშვნელოვანია მკურნალობის პროცესი და არა მყისიერი შედეგი. **სასწორი თუ ქირურგია, სწორედ მასზეა ნათქვამი „სანამ გაჭრი, შვიდჯერ გაზომე“.**

ვარაუდობენ, რომ **სასწორი** იყო **ქირურგი და ანატომი ჰეროფილე,** რომელმაც მსოფლიოში პირველად, რელიგიური აკრძალვების მიუხედავად, **ადამიანის გვამებზე აუტოფსია ჩაატარა.**

**სასწორის** ნიშნით იყო დაბადებული **ცნობილი ქირურგი სერგეი იუდინი,** რომელმაც მსოფლიოში პირველი სისხლის ბანკი შექმნა და რომელმაც მიცვალებულის სისხლის გადასხმა პირველად სცადა.

## ზოდიაქოს ბორბალი

**8.** ღრიანკალებისთვის პაციენტის ავადმყოფობა პირად მტრად იქცევა, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა მათი პრინციპული საკითხია. ამ ექიმებს იზიდავთ რისკი და სტრესი, მზად არიან, აიღონ დიდი პასუხისმგებლობა და იმუშაონ ისეთ სფეროებში, რომელიც რთული გადაწყვეტილებების მიღებას მოითხოვს. ისინი არიან: **მეან-გინეკოლოგები, ყველა დარგის ქირურგები, რეანიმატოლოგები, ონკოლოგები, რადიოლოგები და ქიმიოთერაპევტები.**




**ღრიანკალის** ნიშნით იყო დაბადებული **პოლიომიელიტის ვაქცინის შემქმნელი ჯონას სალკი. ღრიანკალის** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ იყო დაბადებული **ქართველი ექიმი-კარდიოლოგი ბული ჩაფიძე.** ასევე, ამ ნიშნით იყვნენ დაბადებული **გერმანელი ფიზიოლოგი და ფარმაკოლოგი რუდოლფ მაგნუსი,** ასევე **იტალიელი ფსიქიატრი, კრიმინოლოგიასა და სისხლის სამართალში ანთროპოლოგიური მიმართულების ფუძემდებელი მარკო ეზეკია** — იგივე **ჩეზარე ლომბროზო.** ღრიანკალის ნიშნით იყო დაბადებული **შვეიცარიელი ექიმი ფილიპ ფონ ჰოენჰაიმი — პარაცელსუსი.** დაწერა ტრაქტატი „ქალთა დაავადებებზე“.






**9.** მშვილდოსნის ნიშნით დაბადებულ ექიმებს შეიძლება ვუწოდოთ **ენთუზიასტები.** ისინი მამაცები არიან და ყოველთვის მზად არიან წინსვლისთვის. მათ შორისაა ბევრი პლასტიკური ქირურგი, მკვლევარი და ინოვაციური მკურნალობის სისტემების შემქმნელი. ბევრს უჭირთ მშვილდოსნის დაუოკებელი ენერგიის ატანა.

მშვილდოსანი გახლდათ **ცნობილი ექიმი ნიკოლაი ამოსოვი,** რომელმაც **ორგანიზმის გაჯანსაღების თავისებური სისტემა** შექმნა. შენიშნა, რომ ოპერაციის შემდგომ პერიოდში, გულის პათოლოგიებით დაავადებული პაციენტები სწრაფად ჯანსაღდებოდნენ, თუ ჩირსა და ნიგოზს მიირთმევდნენ. სწორედ დაკვირვების შედეგად შექმნა უნივერსალური გამაჯანსაღებელი საშუალება, რომელსაც **„ამოსოვის პასტა“** ეწოდა. **ევროპაში პირველი ჰიგიენის ინსტიტუტის დამაარსებელი მაქს იოზეფ პეტენკოფერიც** მშვილდოსნის ნიშნით იყო დაბადებული, ასევე **საველე ქირურგიის დამაარსებელი ნიკოლაი პიროგოვიც.**

**10.** თხის რქის ნიშნით დაბადებული ექიმები წარმოუდგენლად პასუხისმგებლიანები არიან. მათთვის მნიშვნელოვანია მკურნალობის გეგმის შედგენა და ეტაპობრივად მუშაობა, ამჩნევენ უმცირეს დეტალებს და იმახსოვრებენ. როდესაც ამ ნიშნის ექიმთან დაბრუნდებით, არ მოგიწევთ შეხსენება, ადრე რა პრობლემით მიხვედით. **ქირურგია და ტრავმატოლოგია თხის რქების** საყვარელი სფეროებია. ამ ნიშნით დაიბადა **ქირურგი, სამედიცინო მოწყობილობებისა და ინსტრუმენტების გამომგონებელი ფრიდრიხ ფონ ესმარხი.** მან შექმნა **ე.წ. ესმარხის ტოლჩა,** ამავე სახელწოდების **მაკრატელი და ტურნიკეტი.** თხის რქის ნიშნით არის დაბადებული **ცნობილი კარდიოქირურგი ლეო ბოკერია.**







**11.** მერწყულის ნიშანი მიდრეკილია **ნეიროტექნოლოგიისკენ,** ისინი ხშირად პიონერები არიან მედიცინის ტექნოლოგიურ განახლებაში, იზიდავთ უახლესი მეთოდები და კვლევები, ხშირად მუშაობენ მონათესავე სპეციალობებში და ბევრ აღმოჩენას აკეთებენ. მერწყულის ნიშნით იყო დაბადებული **ამერიკელი პედიატრი ლეილა დენმარკი** — ისტორიაში ყველაზე ხანდაზმული პრაქტიკოსი პედიატრი, რომელიც 103 წლამდე მუშაობდა, მონაწილეობა ჰქონდა მიღებული ყივანახველის საწინააღმდეგო ვაქცინის შემუშავებაში.

**12.** თევზების ნიშნით დაბადებულ ექიმებს განვითარებული აქვთ ინტუიცია, რომლის წყალობითაც მათთვის დიაგნოსტიკის უზარმაზარი სფერო იხსნება, პასუხისმგებლობით უდგებიან საქმეს, თუმცა, ზოგჯერ, ამ პროფესიისთვის ზედმეტად ემოციურები არიან, მზად არიან თანაგრძნობისა და თავგანწირვისთვის. აქვთ მოთმინების უნარი, ინარჩუნებენ სიმშვიდეს და პაციენტებში განკურნების რწმენას ნერგავენ, ეხმარებიან ყველაზე რთული გზების გავლაში.

თევზების ნიშნით იყო დაბადებული **ექიმი და საზოგადო მოღვაწე,** მოქანდაკე **თამარა აბაკელიას** დისშვილი **იოსებ აბაკელია. იოსებ სტალინის მკურნალი ექიმი, კარდიოლოგი და თერაპევტი ვლადიმერ ვინოგრადოვიც** თევზების ზოდიაქოს ნიშნით იყო დაბადებული.

*მოამზადა* ***ქეთევან ხამიცაშვილმა***




## საეკლესიო კალენდარი

✝ **2 ივნისი. ორშაბათი. კრება მანგლისის ჯვარისა.** ღირსთა: ზაბულონისა და სოსანასი, ნინო მოციქულთა სწორის მშობელთა; მოწამეთა: თალალესი, ალექსანდრესი და ასტერისა; მოწამისა ასკალონისა; აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა ალექსი მოსკოველისა.

✝ **3 ივნისი. სამშაბათი.** მოციქულთა სწორთა: **კონსტანტინე მეფისა და დედისა მისისა ელენე დედოფლისა;** კრება ვლადიმირის ღმრთისმშობლის ხატისა.

✝ **4 ივნისი. ოთხშაბათი. ღირსისა მამისა ჩვენისა დოდო გარეჯელისა;** მოწამისა ვასილისკოსი, აფხაზეთის კომანში წამებულისა; მოწამისა იოანე-ვლადიმერისა, სერბეთის მთავრისა; ხსენება მეორე მსოფლიო კრების წმიდათა მამათა.

✝ **5 ივნისი. ხუთშაბათი. ღირსისა დავით გარეჯელისა და მოწამისა მისისა ლუკიანესი. მამადავითობა თბილისში. ღირსისა დამიანესი, მეფეყოფილისა დემეტრესი, გარეჯელისა, „შენ ხარ ვენახის“ მთქმელისა;** ღირსისა მიქაელ აღმსარებელისა, სინადელი ეპისკოპოსისა; ღირსმოწამისა მიქაელისა. **წმიდა იოანე I-ისა — მთავარეპისკოპოსისა მცხეთისა და სრულიად ივერიისა.**



**7 ივნისი – წმიდა იოანე ნათლისმცემლის პატიოსანი თავის მესამედ პოვნა**

✝ **6 ივნისი. პარასკევი. ამაღლების წარგზავნა.** ღირსისა სვიმეონ მესვეტისა; მოწამეთა: მელეტი სტრატილატისა, სტეფანესი, იოანესი, სერაპიონ ეგვიპტელისა, კალინიკე მოგვყოფილისა, თეოდორესი და ფავსტოსი და მათთანა მრავალთა მხედართა.

✝ **7 ივნისი. შაბათი. სულის შაბათი. მიცვალებულთა ხსენება. წმიდა იოანე ნათლისმცემლის პატიოსანი თავის მესამედ პოვნა;** მღვდელმოწამისა თერაპონტისა, კვიპრელი ეპისკოპოსისა.

✝ **8 ივნისი. კვირა. სულთმოფენობა. ყოვლადწმინდა სამების დღესასწაული.** მრავალთა წმიდათა ქართველთა მამათა და დედათა, აჭარაში თურქთაგან წამებულთა; მოციქულთა სამოცდაათაგანთა: კარპესი და ალფესი; მოწამისა გიორგი ახლისა; მოწამეთა ამბერკისა და ელენესი; ღირსისა იოანე აღმსარებელისა, ფსიხაიტისა.

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია და გაზეთი „ასავალ-დასავალი“ მწუხარებას გამოთქვამენ და სამძიმარს უცხადებენ **მხატვარ დავით თოთიბაძეს** მეუღლის —

# მაკა ვეკუას

გარდაცვალების გამო.






**მაღაზია «ბუკვიცა»**

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე

574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.

**100-პროცენტიანი გარანტიით კურნავს!**

თოდუების საგვარეულო მალამოებითა და წამლებით ქალბატონმა ლამარამ ათასობით ადამიანი გამოაჯანმრთელა. ის კურნავს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, დარჩენილ ნაწიბურებს, ნაწოლებს, გამაგრებულ ნანემსრებს, თმის ბუდობრივ ცვენას, ბუასილს, დისბაქტერიოზს (შეკრულობას, აშლილობას). მისი მალამოები სწრაფად შეგიხორცებთ დაჩირქებულ ჭრილობებს (დიაბეტიანებს), მოგირჩენთ ჰაიმორიტს (ქრონიკულს), მოგაშორებთ ქერტლს, ტილებს (ერთი პროცედურით). სწრაფად და წარმატებით კურნავს სოკოვან დაავადებებს, ფრჩხილების გასქელებას, დახეთქილ ქუსლებს, ჩირქოვან გამონაყარს კანზე, მწერების ნაკბენს, „ტატუებს“ აცილებს უმტკივნეულოდ (პირველივე წასმაზე ქრება ქავილიც და სიწითლეც).

ტელეფონები: 599-16-10-82, 593-99-62-52

**იმედის კლინიკა**

თბილისი, დიდი დიღომი, მირიან მეფის 10ა

imediclinic.com



* ორსულ ქალთა კონსულტაცია
* სამშობიარო სახლი
* პედიატრიული კლინიკა
* გინეკოლოგიური დეპარტამენტი

პროფესიონალიზმი, უახლესი აპარატურა, ოჯახური გარემო

სამშობიარო: 032 229-56-50

პედიატრიული კლინიკა: 032 223-85-80



საქართველო- ისრაელის ერთობლივი კლინიკა

**გიდმედი**

გქონდეთ ჩვენი იმედი!

ნებისმიერი ქირურგიული და უროლოგიური პათოლოგია

თბილისი, ლუბლიანას ქ. 2/6, მეხუთე სართული. 591 35 33 55


**32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:**

თარაზულად: 1. ფანტელი; 7. ჯამნა; 12. ბაირონი; 13. რიალი; 14. დეკრეტი; 15. რილკე; 16. ცნობარი; 17. მარგო; 18. არაბობა; 22. თაობა; 23. ყირიმი; 26. რომეო; 27. ფლამინგო; 28. მილე; 30. ფოსტერი; 32. ანტურაჟი; 33. რიტორიკა; 35. ლორეალი; 36. სილიკონი; 40. ცერბერი; 41. პირიტი; 44. სენტენცია; 45. ლიტანია; 49. ბენინგი; 50. აპოლინერი; 55. გალიანო; 56. მარაბუ; 58. სანტიმეტრი; 59. რექტორი; 60. ნაგაზი; 61. კარაბადინი; 62. ანილინი.

შვეულად: 1. ფედრა; 2. ნოკია; 3. ეფესო; 4. იბიცა; 5. კიროსი; 6. ფოლადი; 7. ჯირითი; 8. მილიონი; 9. არემარე; 10. მაკრამე; 11. ციტოლოგია; 19. როლანდი; 20. ბამბუკი; 21. ბუნგალო; 23. ყოფილი; 24. რესურსი; 25. მტევანი; 28. მირი; 29. ლოტრეკი; 31. არაბია; 34. კარტი; 36. სესია; 37. ლანდო; 38. კვერი; 39. ნიცშე; 41. პაბი; 42. რანდა; 43. ტანკა; 45. ლიგურია; 46. ტელექსი; 47. ნეაპოლი; 48. ანონიმი; 51. პრადა; 52. ლიტრა; 53. ნიმფა; 54. რიტმი; 56. მინი; 57. რიგა.

**მილიციალივერიკობალტიმორიკონერიშარიაგაზეთი**
**მორიელიტაბაკარადარიალიკანტელეკალორიალიონი**

| სამართალდამცავი ორგანო | ძეხვის სახეობა | ქიმიური ელემენტი, ლითონი | იტალიელი კომპოზიტორი | ფრანგი მსახიობი მამაკაცი | დიდი გომ-ბეშო | თხევადი ცხიმი |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიგრძის საზომი ერთ. საზღვაო საქმეში | ციმციმი | ... ანჯაფარიძე | ქალაქი აშშ-ში | მსახიობი შონ ... | მსახიობი ნუგზარ ... | პერიოდული გამოცემა |



თარაზულად: 1. თოვლის ფიფქი; 7. მდინარე ინდოეთში; 12. ინგლისელი პოეტი; 13. ირანის, იემენის ფულის ერთეული; 14. კანონის ძალის უმაღლესი ხელისუფლების დადგენილება; 15. ავსტრიელი პოეტი; 16. სხვადასხვა ცნობათა კრებული; 17. ა. დიუმას — „დედოფალი ...“; 18. არაბების ბატონობის ხანა საქართველოში; 22. შთამომავლობის თითოეული საფეხური; 23. ნახევარკუნძული შავ ზღვაში; 26. ჯულიეტას სატრფო (ლიტ.); 27. წყლის დიდი ფრინველი; 28. ფრანგი ფერმწერი; 30. ამერიკელი მსახიობი ჯოდი ...; 32. გარემომცველ პირობათა ერთობლიობა; 33. მჭევრმეტყველების თეორია; 35. პარფიუმერიის ფრანგული ფირმა; 36. მაღალმოლეკულური პოლიმერის სახეობა; 40. სამთავიანი ძაღლი ბერძნულ მითოლოგიაში; 41. მინერალი — გოგირდის ალმადანი; 44. მორალური ხასიათის გამონათქვამი, ზნეობრივი დარიგება; 45. საყოველთაო ლოცვა; 49. ამერიკელი მსახიობი ანეტ ...; 50. ფრანგი პოეტი; 55. ინგლისელი დიზაინერი; 56. ყარყატების ოჯახის დიდი ფრინველი; 58. მეტრის მეასედი; 59. უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელი; 60. დიდი, ავი ძაღლი; 61. ასტრონომიული საწინასწარმეტყველო წიგნი (ძვ.); 62. ზეთოვანი სითხე, გამოიყენება საღებავების დასამზადებლად.

შვეულად: 1. ჟან რასინის დრამა; 2. ფინური ტელეფონების ფირმა; 3. ძველი ბერძნული ქალაქი აზიაში; 4. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 5. სპარსეთის მეფე, „დიდად“ წოდებული; 6. მოვერცხლისფერო ლითონი; 7. ცხენების ჭენება, ისინდი; 8. ფილმი „როგორ მოვიპაროთ ...“; 9. გარემო; 10. ტანსაცმელზე დაკერებული დაწნული ზონარი; 11. მეცნიერება უჯრედების აგებულების და განვითარების შესახებ; 19. საფრანგეთის ისტორიული ოლქის ბრეტონის მარკგრაფი; 20. ტროპიკული ქვეყნების მცენარე; 21. ერთსართულიანი კოტეჯი ინგლისში; 23. რაც ან ვინც წინათ იყო; 24. რისამე მარაგი; 25. ხელის ნაწილი მაჯიდან თითის წვერამდე; 28. რუსული კოსმოსური ხომალდი; 29. ფრანგი ფერმწერი ანრი ტულუზ ...; 31. არზაყანის ცხენის სახელი („მთვარის მოტაცება“); 34. ბანქო; 36. პარლამენტის პერიოდული სხდომა; 37. ძველებური ოთხადგილიანი ეტლი; 38. „ობლის ნამცხვარი“; 39. გერმანელი ფილოსოფოსი; 41. ინგლისური ლუდხანა; 42. გრძელი შალაშინი; 43. იაპონური პოეზიის ჟანრი; 45. ჩრდილოეთ იტალიის ოლქი; 46. სააბონენტო ტელეგრაფირების საერთაშორისო ქსელი; 47. ქალაქი იტალიაში; 48. უცნობი ავტორი; 51. ამერიკელი დიზაინერი; 52. წონის ქართული ერთეული (ძვ.); 53. მეორეხარისხოვანი ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 54. თანაბარზომიერი მონაცვლეობა რაიმე ელემენტებისა; 56. მოკლე კაბა; 57. ლატვიის დედაქალაქი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| ზოდიაქოს ნიშანი | ბრტყლად შემწვარი ვარია | ლოკატორი | ქალაქი ესპანეთში | ფიგურული სახაზავი | ირანის ფულის ერთეული | რაიონული ცენტრი რაჭაში |
|---|---|---|---|---|---|---|
| მსახიობი კლაუდია ... | „უმაღლესი“ საზოგადოება | უმაღლესი ხარისხის ბროლი | თერგის ხეობის მონაკვეთი ყაზბეგის რაიონში | კარელიურ-ფინური ხალხური სიმებიანი საკრავი | სითბოს რაოდენობის საზომი ერთეული | ქალაქი საფრანგეთში |

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

**ასავალ დასავალი**

2025 წლის 2 – 8 ივნისი №23 (1594)

გამოდის ორშაბათობით

მედიაკორპორაცია "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

**მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი**

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:**

**mail@asavali.com**

„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**

ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**

გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**


2009882637296


THE FLAG OF THE UNITED STATES OF AMERICA

This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

2007-032096-001 Stephen T. Ayers, AIA Acting Architect of the Capitol